# გილოცავთ ბარბარობას/

ყოველდღიური გაზეთი

**ახალი თაობა**

Akhali-Taoba


**10 დეკემბრიდან!**

**3ფ[ფქბ სფჯ,ფ4 +**

**cfmfhsdtkjc** ნჯ3ბ $

**cfvjwbm ekj** * ქფ3ბ

**trktcbbc bcnjhbf**


jhif,fsb7 !& ltrtv,thb7 @)!@ 1299 (5989) afcb5 #) stshb


# სად წავიდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი?!

გვ. 3



## ნანა კაკაბაძე: პოლიტპატიმრების აღიარების გამო პარლამენტზე ზეწოლა ხორციელდება“

გვ.2



# ხელისუფლება ბორდელებს დაერია

ვინ დგას გონიოს საროსკიპოების უკან გვ.3 რა მოხდა გონიოში

**ხათუნა გოგალაძე: რა გაახურეს საქმე ამ დარიალიპესით“** გვ.5



**გოგი ხუციშვილი: რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა უნდა გვქონდეს!“** გვ.5



**ვინ მფარველობს პროკურატურაში ასლან აბაშიძეს** გვ.3





**ილია II: იფიქრეთ დროის შესახებ და იკითხეთ წიგნები“** გვ. 2, 4

**ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა** გვ.6 **გაგრძელდება**



**13 დეკემბრიდან!**

**3ფ[ფქბ სფჯ,ფ4 +**

სერია „დიდი ქართველები“

## ექვთიმე თაყაიშვილი

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




9 771987 938006

**7** აჭარის ტელევიზია სასამართლო სხდომების გაშუქების უფლებას ითხოვს

**3** რიჩარდ ნორლანდი: მნიშვნელოვანია, რომ ქალები ლიდერ პოზიციებს იკავებდნენ“

**4** ტატა ახალაია: აფხაზეთი კიტოვანმა დაგვაკარგვინა!“

**7** დაადგენს თუ არა საქართველო თავს მომაკვდავი ენების სიას

# ნანა კაკაბაძე: პოლიტპატიმრების აღიარების გამო პარლამენტზე ზეწოლა ხორციელდება“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***— პარლამენტმა 160 ადამიანი აღიარა პოლიტპატიმრად, თუმცა საუბრობენ, რომ მათი რიცხვი გაცილებით მეტია. როგორ ფიქრობთ, გაგრძელდება კიდევ ეს პროცესი თუ პარლამენტი მხოლოდ ამით შემოიფარგლება?***

— როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ შრომატევადია ეს პროცესი, განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ მიმართულებით არ მუშაობდა. არადა, იმისათვის, რომ ეს იყოს ცხადი და ნათელი, საჭიროა, რაც შეიძლება მეტი იცოდეს საზოგადოებამ ამათ შესახებ, ასევე თვითონ დეპუტატებმა, რომლებიც ღებულობენ ამ გადაწყვეტილებას. ამ ყველაფრისთვის, ასე ვთქვათ, დაღეჭილად მიაწოდო მათ ეს ინფორმაცია, საკმაოდ რთულია. თქვენ იცით, რომ ეს სიები წლების განმავლობაში გროვდებოდა და საქმეებზე წლების განმავლობაში ხდებოდა მუშაობა, მიმდინარეობდა ამ ადამიანების სასამართლო პროცესები, ჩვენ ვესწრებოდით ამ პროცესებს, შემდგომ ვიხილავდით მათ საქმეებს კომისიაში და ბუნებრივია, გაცილებით უფრო სხვა რეალობა იყო, როდესაც ერთი მხრივ, სასამართლოებზე დადიოდი, მეორე მხრივ, იცავდი თუ ჩართული იყავი და მესამე ის, რომ თვითონ კომისიაში ხდებოდა ამის განხილვა და ეს ყველაფერი ერთობლიობაში შედეგს იძლეოდა. ახლა, როდესაც ხელისუფლებამ თქვა, კი ბატონო, მე მზად ვარ, ვაღიარო პოლიტიკური პატიმრები, შენ გჭირდება, რომ მათ ეს ყველაფერი რაღაცნაირად თვალნათლივ დაანახო. რასაც ჩვენ მთელი ამ წლების მანძილზე ვუყურებდით, ძალიან ძნელია მათ ერთ კვირაში მიაწოდო და დაანახო. ამიტომ ძალიან შრომატევადი აღმოჩნდა ეს და თითქმის 24-საათიანი მუშაობის რეჟიმში მოხდა ამ სიების მომზადება და შემდგომ ამის პარლამენტისთვის გადაცემა. დღეს დგას საკითხი იმისა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი შესაძლებელია ვერ მოხვდა ამ სიაში, ვერ მოხვდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ადამიანებს ელემენტარულად არ ჰყავდათ ადვოკატები, რომლებსაც ჰქონდათ საშუალება, ჩამოსულიყვნენ ქუთაისში და იქ მოეტანათ ეს ინფორმაცია, საქმეები. იცით, რომ მოთხოვნა იყო, რომ უნდა ყოფილიყო განაჩენი, უნდა ყოფილიყო პოლიტიკური დასაბუთება, განცხადება. ამას ყველაფერს კი სჭირდება, შეიძლება ვიღაცისთვის ძალიან უმნიშვნელო, მაგრამ ვიღაცისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თანხები. რომ დაიქირაო ადვოკატი, წამოვიდეს თბილისიდან ქუთაისში, დაგიწეროს მოკლე ანოტაცია, განაჩენი ჩამოიტანოს, სიტყვით გამოვიდეს, უპასუხოს კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, ეს ყველაფერი დროსთან და ფინანსებთან არის დაკავშირებული.

***— კი მაგრამ, რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც არ ჰქონდათ იმის საშუალება, რომ ადვოკატი აეყვანათ და ეს ხარჯები გაეღოთ და ამ დროს ისინიც პოლიტიკური ნიშნით არიან დაპატიმრებულები?***

— დგას ეს საკითხი, რა დააშავეს იმ ადამიანებმა, ვისაც ამის შესაძლებლობები არა აქვს. სამწუხაროა, რომ აბსოლუტურად სამართლიანი არაფერი არ არის ამ ქვეყანაში ესეც ამ უსამართლობას ითვალისწინებს. მე გამოვედი ინიციატივით და ვთხოვე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, ქალბატონ ეკა ბესელიას კომიტეტს, რომ კომისიაში ნამდვილად არიან ის ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად უნდათ, რომ ასე არ მოხდეს და ყველა ადამიანი, ვინც ამას იმსახურებდა, ვინც მართლაც იყო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი, ეს ადამიანები არ დარჩნენ უყურადღებოდ. ჩვენ ვითხოვეთ, რომ მოგვეცეს საშუალება, შევიდეთ თითოეულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, კომისია სრული შემადგენლობით და მოვახდინოთ ინტერვიურება ამ ადამიანების, პატიმრების, რომლებიც თვლიან, რომ ისინიც პოლიტიკური ნიშნით არიან დევნილნი. ამით სამართლიანობა იქნება აღდგენილი. არ ვიცი, ამას რამდენად გამოეხმაურება პარლამენტი, იმიტომ, რომ მან უნდა მიმართოს სასჯელაღსრულების სამინისტროს და უნდა ითხოვოს ასეთი სახის ნებართვა, რომ კომისიურად იქ შევიდეთ. ესეც გარკვეულწილად პრობლემებთან არის დაკავშირებული. თუ ეს მოხერხდება, ძალიან კარგი იქნება, იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ გვეცოდინება, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ფაქტიურად ყველა ადამიანის საკითხი მიგვეტანა კომისიაში. აქედან გამომდინარე მე ვფიქრობ, რომ ეს აუცილებლად გასაკეთებელია. თუ ამას ვერ შეძლებს ჩვენი კომისია, ეს იქნება სერიოზული ხარვეზი ჩვენი მუშაობისა. იმიტომ, რომ აღმოჩნდება, ჩვენ გვყავს პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული პოლიტპატიმრები ქვეყანაში და ეს სამართლიანობას ჩრდილს მიაყენებს.



***— საუბარია იმაზეც, რომ დასავლეთი ხელს უშლის ამ პროცესებს, არ აწყობს პოლიტპატიმრების აღიარება და მით უმეტეს, ამის გაგრძელებას ხელს არ შეუწყობსო...***

— დასავლეთი მთელი ამ წლების განმავლობაში ამბობდა, რომ ეს რეჟიმი იყო არა რეჟიმი, არამედ დემოკრატიის შუქურა. დასავლეთმა მხარი დაუჭირა 2003 წლის რევოლუციას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ამ აღიარებით, დასავლეთის უდიდესი შეცდომის, თუ არა დანაშაულის აღიარებაც ხდება ხომ? მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების ბრალი ხომ არ იკვეთება, აქ იკვეთება ის არასწორი პოლიტიკაც, ის არასწორი მხარდაჭერაც, რომელიც მოხდა 2003 წელს და მერე წლების განმავლობაში, როდესაც ქუჩებში ხალხს ხოცავდნენ, როდესაც გირგვლიანი მოკლეს, ბუტა რობაქიძე მოკლეს, ვაზაგაშვილი მოკლეს, ასზე მეტი ბიჭი პოლიციამ ქუჩაში ჩაცხრილა, ჩამოვიდა ბუში და თქვა, რომ ეს არის დემოკრატიის შუქურა. დღეს კი გამოდიან და იძახიან, რომ დაკავება არის არასამართლიანი და პოლიტიკური ნიშნით დევნილიაო, ამასაც კი იძახიან. ხოლო მაშინ, როდესაც ხალხს ქუჩაში ხოცავდნენ, იყო დუმილი და დუმილს კიდევ არა უშავდა რა, იყო შეფასებები, რომ ეს არის დემოკრატიის შუქურა. დღეს, როდესაც შენ ამბობ, რომ ქვეყანაში წლების განმავლობაში 190 პოლიტპატიმარია, ის, რომელიც ამ მომენტისთვის ზის ციხეში, თორემ უკვე რამდენია განთავისუფლებული, მაზე აღარ ვლაპარაკობ, ეს კიდევ მეორე თემაა. ერთია ვინც ციხეებშია, მაგრამ მეორეა, ვინც გამოვიდა. იგივე იგორ გიორგაძის ხალხი, სრულად არიან განთავისუფლებულები, როგორ, ისინი არ არიან პოლიტპატიმრები? ნორა კვიციანი, რომელიც წლების განმავლობაში ციხეში იჯდა, რა, არ არის პოლიტპატიმარი? ეს კიდევ მეორე პრობლემაა და ჩვენ ამ ადამიანებზე დღეს ფაქტიურად აღარ ვმსჯელობთ, მაგრამ ესენიც ხომ პოლიტპატიმრები იყვნენ?! დაინტერესებულმა საზოგადოებამ, ჟურნალისტებმა და კიდევ სხვებმა ხომ ვიცოდით, რომ ეს ადამიანები იყვნენ პოლიტპატიმრები. დღეს დასავლეთს ძალიან მწვავე რეაქცია აქვს იმაზე, რომ ჩვენ ვსაუბრობთ პოლიტპატიმრებზე და ყველანაირ საბაბს პოულობენ იმისათვის, რომ ამ პროცესებში ხელი შეგვიშალონ. მე დასავლეთს სრულად არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ მათ, ვინც წლების განმავლობაში გაიძახოდა, რომ სააკაშვილი იყო დემოკრატიის შუქურა. ახლა კი სერიოზული წინააღმდეგობა მოდის მათგან, რადგან არ უნდათ იმის აღიარება, რომ მათი ნაქები ხელისუფლება ასე საშინლად იქცეოდა. ამიტომ ჩვენ არაერთ წინააღმდეგობას ვაწყდებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარედან. ნაციონალური მოძრაობის ნარჩენები, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან და თავს ოპოზიციად ასაღებენ და იძახიან, რას ამბობთ, ვინ არის პოლიტპატიმარი, ჩვეულებრივი რიგითი კრიმინალები არიან და ამ ნიშნით ვაპატიმრებდითო. ასევე ნაციონალების მომხრე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც იძახიან, რომ ორი კვირა იყო ძალიან ცოტა დრო, რომ ჩვენ დავრწმუნებულიყავით, რომ ეს ადამიანები მართლა იყვნენ პოლიტპატიმრები და ასე შემდეგ. საკმაოდ ბევრი ჯგუფი იბრძვის ამ პროცესის წინააღმდეგ. ერთადერთი, რომელსაც ეს აინტერესებს, არის საზოგადოება.

***— დასავლეთში ახალი ხელისუფლების მიმართ განწყობა რომ ცუდია, ამას ბევრი აღარც მალავს. ევროპის სახალხო კრების თავმჯდომარე აცხადებს, რომ საქართველოში მდგომარეობა რთული და საგანგაშოაო... როგორ ფიქრობთ, ნაციონალების მხარდასაჭერად კეთდება ეს განცხადებები თუ ისინი მართლა ასე ხედავენ?***

— მე ეჭვი მეპარება, რომ ისინი ამას მართლაც ასეთნაირად ხედავენ და ვერ ხედავენ რეალობას. თუმცა მეორე ფაქტორი ის არის, რომ ყოფილი ხელისუფლება საკმაოდ წარმატებულია და ამას ვერ წაართმევ. მე მგონი, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული „პიარშჩიკები“ არიან ნაციონალები, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეალობა მაინც რეალობაა. მშვენივრად იცოდნენ, რა ხდებოდა ციხეებში. იცოდნენ ციხის ბუნტის შესახებ. დაინტერესებულმა ჯგუფმა იცოდა, როგორ იქცეოდა ბაჩო ახალაია, იმიტომ, რომ არაერთხელ გაუკეთეს რეკომენდაციები ნაციონალების მთავრობას, რომ ახალაია უნდა ჩამოსცილდეს ამ სისტემასო. შედარებით რბილად, არასაჯაროდ, მაგრამ ასეთი რეკომენდაციები უკეთდებოდათ ნაციონალებს. მათ იცოდნენ როგორიც იყო რეალობა, მაგრამ დღეს ამის აღიარება საჯაროდ, რომ ჩვენ ამ რეჟიმს ვუჭერდით მხარს, რომელსაც ჰყავდა პოლიტპატიმრები, ციხეებში ნაწამები ადამიანები და იქ ლამის კონცლაგერები იყო მოწყობილი და ის კადრები, რაც გავიდა, ამაზე არაფერს არ ამბობენ. ამ კადრების შემოქმედების საქმეს რატომ არ იძიებენ. ვინმე იძახის ამას?! სადმე ასეთი რეკომენდაციები კეთდება? არადა, წამება — ეს არის ყველაზე დიდი დანაშაული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რაც კი რამ არსებობს. ომის დროსაც კი აკრძალულია წამება. აბა, თუ გაჩნდება სადმე ასეთი რეკომენდაციები. ეს კი თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ტენდენციურია დღეს ის დასავლეთი, რომელიც მხარს უჭერდა 2003 წლის რევოლუციას და შემდგომ ამ რეჟიმს.

***— ქალბატონო ნანა, თქვენ იმათზეც ისაუბრეთ, ვინც უკვე გამოსულია და ვინც პოლიტიკური ნიშნით იყო დაკავებული. მათ აღიარებას არ აპირებს პარლამენტი?***

— ჩვენ ისინი ვაღიარეთ, იმ კომისიამ, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა ამ საქმეებზე, ჩვენ ვაღიარეთ, მაგრამ ახლა პარლამენტზეა სიტყვა. პარლამენტმა ან უნდა გაიზიაროს ეს, ან არ უნდა გაიზიაროს. ჩვენ სიებში იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც პატიმრები იყვნენ, გათავისუფლებულები კი თავისთავად ვარდებოდნენ ამ სიებიდან. ახლა აღმოჩნდა, რომ ისინი დაზარალდნენ, რადგან არ იყვნენ ჩვენს სიებში და ვერ მიიღეს ეს სტატუსი. მაგრამ ხომ არსებობს ეს ძველი სიები და ძალიან მარტივად დასადგენია, ვინ იყო ამ სიებში. მთავარი არის პარლამენტის პოლიტიკური ნება, რომ მან აღიაროს ისინი. თუ მათაც აქვთ სერიოზული ზეწოლა, რომ დაანებეთ თავი ამ პოლიტპატიმრების თემას, თუ ხელისუფლებაც დაექვემდებარება ამ ზეწოლას, ბუნებრივია, იმაზე მეტის აღიარების სურვილი არ ექნება პარლამენტს, რაც უკვე აღიარებულია. დასავლეთმა ჯერ ესეც ვერ გადაყლაპა.

---

## ილია II: იფიქრეთ დროის შესახებ და იკითხეთ წიგნები“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II დროის მნიშვნელობაზე იქადაგა.

როგორც პატრიარქმა გუშინდელი ქადაგებისას ბრძანა, დრო უძვირფასესია, რაც უფალმა ადამიანს მისცა. „ადამიანმა მისთვის განკუთვნილ დროში ყველაფერი უნდა მოასწროს. ჩვენ ზედმეტად თავისუფალი ადამიანები ვართ და არ გვესმის, რამდენად ძვირფასია დრო. იმედია, ვიფიქრებთ იმაზე, რას ნიშნავს დრო და მივალთ დასკვნამდე, რომ ის მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. უნდა ვიჩქაროთ კეთილი საქმის კეთება და გაჭირვებულების დახმარება“, — აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა გაიხსენა ისტორია, რომლის თანახმადაც, ომისას დაჭრილ ჯარისკაცებთან მუდმივად დადიოდა ერთი ობოლი ბავშვი და მათ ანუგეშებდა. როგორც უწმინდესმა ბრძანა, სამხედროებმა მას მახარობელი დაარქვეს და იმ დღეს, როდესაც ბავშვი არ მივიდოდა, იწყენდნენ.

„ყოველი ჩვენგანი უნდა იყოს მახარობელი. თუ ახლობლის მატერიალური დახმარება არ შეგიძლიათ, სიტყვით მაინც ანუგეშეთ. იმედმა გადაარჩინა საქართველო. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა კი გაშალა თავისი საფარველი და დაღუპვას გადაგვარჩინა. ამიტომ მოგიწოდებთ, იფიქრეთ დროის შესახებ და იკითხეთ წიგნები“, — მიმართა მრევლს უწმინდესმა.

ქადაგების დასასრულს პატრიარქმა ტრადიციულად რამდენიმე სასულიერო პირი დააჯილდოვა.

**ინტერპრესნიუსი**

---

## გამოკითხულთა 78,8% ნაციონალების მიერ ჩადენილ ქმედებებზე პასუხისმგებლობას ოქრუაშვილსაც აკისრებს

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ , 7 დეკემბრიდან 14 დეკემბრამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, გამოკითხვაში მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილ ქმედებებზე, პასუხისმგებლობას თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილსაც აკისრებს.

კითხვაზე, „ეკისრება თუ არა პასუხისმგებლობა ირაკლი ოქრუაშვილს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩადენილ ქმედებებზე“, გამოკითხვაში მონაწილეთა 78,8 პროცენტმა უპასუხა, რომ მას პასუხისმგებლობა ეკისრება, 12,1 პროცენტი კი საწინააღმდეგო მოსაზრებას აფიქსირებს.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, გამოკითხვაში მონაწილეთა 9,1 პროცენტს გაუჭირდა.

**ნიუსპრესი**

## გირგვლიანისა და 26 მაისის საქმის გამოძიების შესახებ პროკურატურა ახალ დეტალებს წლის ბოლომდე გაახმაურებს

სანდრო გირგვლიანის საქმისა და 26 მაისის მოვლენების გამოძიების შესახებ, ახალ დეტალებს გამოძიება წლის ბოლომდე გაახმაურებს.

ამის შესახებ საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა პირდაპირ ტელეეთერში განაცხადა.

მისი თქმით, იმისთვის რომ ეს საქმეები სრულყოფილად იქნას გამოძიებული, სამართალდამცველები აქტიურად მუშაობენ.

შეგახსენებთ, რომ გირგვლიანის საქმეზე ხელახალი გამოძიება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო, ხოლო 26 მაისის მოვლენების დაჩქარებული წესით გამოძიების თხოვნით, „სახალხო კრებამ,“ მთავარ პროკურატურას რამდენიმე დღის წინ მიმართა.

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# სად წავიდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტი?!

შორენა მარსაგიშვილი



ცოტა ხნის წინ ეროვნული ბანკის ყოფილმა თანამშრომლებმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს. მათ ახალ ხელისუფლებას მიმართეს და სამართლიანობის აღდგენა ითხოვეს. ისინი ფიქრობენ, რომ 4 წლის წინ სამსახურიდან უკანონოდ გაათავისუფლეს.

მათ სურვილი ჰქონდათ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტსაც შეხვედროდნენ, თუმცა გიორგი ქადაგიძემდე მიღწევა არც ისეთი მარტივი აღმოჩნდა.

საქართველოს ეროვნული ბანკიდან გათავისუფლებული თანამშრომლების საინიციატივო ჯგუფის ინფორმაციით, ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე მივლინებით საზღვარგარეთ გაემგზავრა. ამის შესახებ მათ ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან შეიტყვეს.

თუმცა, საუბარში აღნიშნული სამსახურის ხელმძღვანელმა კახა ბარაბაძემ ვერ დააზუსტა თუ რომელ ქვეყანაში და რამდენი ხნით გაემგზავრა გიორგი ქადაგიძე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ოქტომბრის თვეში საქართველოდან დიმიტრი შაშკინიც მივლინებაში გაემგზავრა, საიდანაც დღემდე არ დაბრუნებულა.

# ხელისუფლება ბორდელებს დაერია

## ვინ დგას გონიოს საროსკიპოების უკან

## რა მოხდა გონიოში

შორენა მარსაგიშვილი

წინა მოწვევის პარლამენტში ჯონდი ბაღათურიამ ხელისუფლება რამდენჯერმე დაადანაშაულა პროსტიტუციის მფარველობაში. მისი მტკიცებით, სწორედ ხელისუფლება მფარველობდა გონიოში არსებულ ბორდელებს, რომელთა მეპატრონეებიც თურქეთის მოქალაქეები იყვნენ.

ამ ბორდელებში ძირითადად შუა აზიელი გოგონები საქმიანობდნენ. მათ ერთი პირობა ჰქონდათ წაყენებული, რომ მხოლოდ თურქ კლიენტს უნდა მომსახურებოდნენ. მიმდინარე წლის დასაწყისში ერთ-ერთმა გოგონამ თავი მოიკლა. გონიოს ბორდელების გარშემო ხმაური სწორედ ამის შემდეგ ატყდა.

როგორც ადგილობრივები ამბობდნენ, გონიოში რამდენიმე ათეული ბორდელი ფუნქციონირებდა. მოსახლეობამ ადგილობრივ ხელისუფლებას ამ პრობლემის მოგვარება რამდენჯერმე სთხოვა. შეგროვდა ხელმოწერებიც, მაგრამ რეაქცია არავის ჰქონია. არც პარლამენტში გაკეთებულმა განცხადებებმა გამოიღო შედეგი. ბორდელებმა ისევ გააგრძელეს მუშაობა. პოლიტიკოსები კი საარჩევნო სამზადისს შეუდგნენ.

არჩევნებიდან ძალიან მალე გონიოში რამდენიმე ბორდელი დაიხურა. თურქებს ახალი ხელისუფლებისგან ჯერ გარანტიები არ ჰქონდათ. მოსახლეობამაც ისევ დაიწყო საჩივრების წერა და პირველი შედეგიც უკვე მიიღეს. ალბათ ნიშანდობლივია, რომ საოცნებო ხელისუფლებამ პირველი ასეთი ოპერაცია სასტუმრო „ოცნებაში" ჩაატარა.

სამართალდამცავების ცნობით, გონიოში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად პროსტიტუციის ბიზნესში ჩართული ორგანიზებული ჯგუფი დააკავეს. 15 დეკემბერს, გვიან ღამით ჩატარებული ოპერაციის შედეგად, სასტუმრო „ოცნებიდან" სამართალდამცველებმა 20-მდე ქალი და რამდენიმე მამაკაცი აიყვანეს. მათგან 5 დააკავეს და ხელვაჩაურის რაიონის პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს. დაკავებულთაგან 2 ქალი საქართველოს მოქალაქეა, მამაკაცები კი თურქეთის მოქალაქეები არიან. სპეცოპერაცია მოქალაქეების შეტყობინების შემდეგ დაიგეგმა. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მათ სასტუმროდან გასული ხმაური ხშირად აწუხებდათ.

„ოცნებაში" ჩატარებულმა სპეცოპერაციამ სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ხალხი ამ თემით მაგრად გაერთო. ზოგმა 2003 წლის დეკემბერში ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია გაიხსენა. ოქრო მაშინ შიდა ქართლის გუბერნატორი იყო. ალბათ ყველას გახსოვთ, როგორ შეიჭრა ის ხაშურის სიახლოვეს მდებარე ბორდელში და იქ დასაქმებული ხალხი დააწიოკა.

სოციალურ ქსელებში უფრო ადრე ჩატარებული სპეცოპერაციაც გაიხსენეს. ასეთი ოპერაციები თბილისში, ცირკის წინ ტარდებოდა და მას თემურ მღებრიშვილი ატარებდა. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება მღებრიშვილმა ასე მოიხსენია: „ოპერაცია ჟუჟუნა 2002".

გონიოში ჩატარებულ ოპერაციას ნაციონალები არ გამოხმაურებიან. ბოლო დროს ყველა დაპატიმრებას ისინი პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებენ. ამჯერად რატომღაც დაკავებულები თავისიანებად არ გამოუცხადებიათ.

როგორც უკვე ვთქვით, ამ სპეცოპერაციით ხალხმა დიდად იხალისა. მეორე მხრიდან თუ შევხედავთ, სულაც არ არის ეს სახალისო თემა. განსაკუთრებით გონიოს მოსახლეობისათვის. გონიოელები ამბობენ, რომ შებინდებულზე ქალები გარეთ გამოსვლას ერიდებიან. რადგანაც მათ თურქი მამაკაცები შეურაცხყოფას აყენებენ. სამართალდამცავების გამოძახების შემთხვევაში კი ყოველთვის მათ ამტყუნებენ.

გონიოს ბორდელების თემა აქტიურად შუქდებოდა მედიით, მოსახლეობა საჩივარს საჩივარზე წერდა. მერე ამ მომჩივანებს კუდში იბარებდნენ და აფრთხილებდნენ. რამდენიმე განცხადება გაკეთდა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. ნაციონალებმა ეს თემა მთლიანად დააიგნორეს. რამაც ეჭვები კიდევ უფრო გაამძაფრა.

ვნახოთ, რას იზამენ მეოცნებეები. საოცნებო მთავრობამ ბორდელების დაწიოკება სასტუმრო „ოცნებიდან" დაიწყო. გონიოს მოსახლეობა ამბობს, რომ მათ სოფელში კიდევ ბევრი საროსკიპოა დასაწიოკებელი.

# ვინ მფარველობს პროკურატურაში ასლან აბაშიძეს

## ნოდარ იმნაძის შვილი არჩილ კბილაშვილს მორიგ მიმართვას უგზავნის

შორენა მარსაგიშვილი

**ნატო იმნაძე უკვე 22 წელია, სიმართლის დადგენას ითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ მამამისის, ნოდარ იმნაძის მკვლელობა ძალიან გახმაურებული იყო, დღემდე ჭიანურდება ამ საქმის გამოძიება. ამ საქმეში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ლიდერი ასლან აბაშიძე ფიგურირებს.**



ნაციონალებმა აჭარიდან აბაშიძის განდევნა დიდი სიხარულით აღნიშნეს. თავი ისე მოჰქონდათ, რომ ყოველგვარ ასლანურს ებრძოდნენ. ბევრს საუბრობდნენ მის დანაშაულზე. ნატო იმნაძეს მაშინ მიეცა იმედი, რომ ნოდარ იმნაძის საქმე გამოძიებული იქნებოდა. ასე რატომღაც არ მოხდა. ნაციონალები ისე ჩაბარდნენ ისტორიას, რომ აბაშიძე ამის გამო არ შეუწუხებიათ.

ბოროტი ხმები ნაციონალებსა და აბაშიძეს შორის ფარულ გარიგებაზე დიდი ხანია საუბრობენ. 2001 წლის დამლევს ზურაბ ჟვანიამ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი დატოვა. ამ პოსტზე 3 კანდიდატურა იქნა წარდგენილი. სპიკერად ნინო ბურჯანაძე აირჩიეს. მან ვაჟა ლორთქიფანიძეს „აღორძინების" ხმებით აჯობა.

მაშინვე გამოვიდა ხმა. რომ აბაშიძე ჟვანია-სააკაშვილის გუნდს გაურიგდა. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნოდარ იმნაძის საქმეს არ წამოწევდნენ, მხარს მათ კანდიდატურას დაუჭერდნენ. გარიგება შედგა და როგორც ჩანს, ის ძალაში ვარდების რევოლუციის შემდეგაც დარჩა.

ხელისუფლების შეცვლას ნატო იმნაძე კიდევ ერთხელ შეხვდა იმედით. კიდევ ერთხელ გაუჩნდა იმედი, რომ სამართალი პურს სჭამდა. ზუსტად ერთი თვის წინ მან არჩილ კბილაშვილს საგანგებოდ მიმართა. ეს მიმართვა მაშინ „ახალმა თაობამ" სრულად გამოაქვეყნა. ერთი თვის თავზე ნატო იმნაძე ისევ იმედგაცრუებულია და არჩილ კბილაშვილს მორიგ მიმართვას უგზავნის, სადაც კიდევ ერთხელ ახსენებს, რომ

„გენერალურ პროკურატურაში არის ჯგუფი თანამშრომლებისა და თანამდებობის პირებისა, რომლებიც შეგნებულად ანადგურებდნენ ნოდარ იმნაძის განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლის საქმის დოკუმენტაციებს, ნივთმტკიცებებს და დადგენილების ტექსტს". „ახალი თაობა" დაზარალებული ნატო იმნაძის მიმართვის ტექსტს სრულად გთავაზობთ:

– ამა წლის 16 ნოემბერს მოგმართეთ განცხადებით, რათა გენერალურ პროკურატურაში ჩატარებულიყო შიდა გამოძიება მამაჩემის, ნოდარ იმნაძის მკვლელობის ფაქტზე საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამდებობის პირთა მიერ წინასწარ შეცნობით დანაშაულის დაფარვის, სისხლის სამართლის საქმის დადგენილების გაყალბების და დოკუმენტაციის განადგურების ფაქტზე.

ამა წლის 26 ნოემბერს, გენერალური პროკურატურის კანცელარიიდან შემატყობინეს, რომ ჩემი განცხადება არა გენერალური პროკურატურის გენინსპექციას, არამედ გენერალური პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, რევაზ ზარანდიას გადაეცა. მაპატიეთ, ბატონო გენერალურო პროკურორო, მაგრამ როგორც ცნობილია:

1. პროკურორის მიერ ჩადენილ დანაშაულს იძიებს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია და არა ანტიკორუფციული დეპარტამენტი.

2. ანტიკორუფციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე რევაზ ზარანდია გახლავთ ის ადამიანი, რომელსაც, როგორც ჩემთვის ცნობილია, მამაჩემის ნოდარ იმნაძის განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლის საქმე ებარა 1999-2004 წლებში და დადასტურებულია, რომ ამ ადამიანმა 1999 წლის სექტემბერში გიორგი კაპანაძეს მის სამუშაო კაბინეტში გადააწერინა ზემოთ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის დადგენილება (რომელიც გ. კაპანაძემ 1999 წლის 14 სექტემბერს გაზეთ „რეზონანსში" გამოაქვეყნა) და მეც, 2004 წელს ოფიციალურად გადმომცა სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის დადგენილება.

ბატონო გენერალურო პროკურორო,

როგორც მე ჩემს განცხადებაში აღვნიშნე, რევაზ ზარანდიას მიერ ჯერ გიორგი კაპანაძისთვის, ხოლო ხუთი წლის შემდეგ ჩემთვის გადმოცემული დადგენილების ტექსტები შინაარსობრივად რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ორივე დადგენილება დათარიღებულია 1991 წლის 7 აგვისტოთი და ორივეს მამაჩემის მკვლელობის საქმის გამომძიებელი მერაბ აბაშიძე აწერს ხელს. მიმაჩნია, რომ ჩემი განცხადება რევაზ ზარანდიას კი არ უნდა გადასცემოდა, არამედ ჩემი განცხადების საფუძველზე რევაზ ზარანდია მინიმუმ მოწმის სახით მაინც უნდა დაეკითხათ.

იმის იმედად, რომ ეს განცხადება ანტიკორუფციული დეპარტამენტიდან გენერალურ ინსპექციას გადაეწერებოდა, ამა წლის 11 დეკემბერს მივმართე ანტიკორუფციულ დეპარტამენტს კითხვით, თუ რა ბედი ეწია ჩემს განცხადებას. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გავიგე, რომ ჩემი განცხადება ნაცვლად გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციისა, ქ. ბათუმის პროკურატურის პროკურორისთვის რამაზ შავაძისათვის გადაუგზავნიათ...

როგორც ამბობენ, ეს ყველაფერი სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს! ჩემი ეჭვი გამართლდა, მე თქვენდამი მოწერილ განცხადებაში აღვნიშნავდი, რომ „გენერალურ პროკურატურაში არის ჯგუფი თანამშრომლებისა და თანამდებობის პირებისა, რომლებიც შეგნებულად ანადგურებდნენ ნოდარ იმნაძის განზრახ მკვლელობის სისხლის სამართლის საქმის დოკუმენტაციებს, ნივთმტკიცებებს და დადგენილების ტექსტს". ფაქტი სახეზეა! თქვენ თვალწინ, ბატონო გენერალურო პროკურორო, გენერალური პროკურატურის გარკვეული პირები ჩემს განცხადებას გენერალური პროკურატურიდან, უხეშად რომ ვთქვათ, აქრობენ და ამისამართებენ ქ. ბათუმის პროკურატურაში. რა უნდა დავარქვათ ყოველივე ამას? გენერალური პროკურატურის გარკვეული პირების მიერ განზრახ ჩადენილი ქმედება, რომელსაც რაღაც მიზანი გააჩნია? თუ მალავს გენერალური პროკურატურის გარკვეული პირები თავის დანაშაულს? და თუ რა მიზანი ამოძრავებდა განცხადების ქ. ბათუმში გამგზავნს, ეს, ბატონო გენერალურო პროკურორო, თქვენთვის მომინდია.

ბატონო გენერალურო პროკურორო,

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ რაც მე განცხადებით მოგმართეთ, მაგრამ გენერალური პროკურატურის გარკვეულმა პირებმა ნაცვლად იმის, რომ საგამოძიებო მოქმედებები დაეწყოთ, ჩემი განცხადება დასასვენებლად ქ. ბათუმში გააგზავნეს. უმორჩილესად გთხოვთ, პირად კონტროლზე აიყვანოთ და უმოკლეს დროში დააბრუნოთ ქ. ბათუმის პროკურატურიდან ჩემი განცხადება. დაავალოთ კომპეტენტურ სამსახურს შეისწავლოს და სასწრაფოთ გამოიძიოს გენერალურ პროკურატურაში მომხდარი დანაშაული, – ვკითხულობთ ნატო იმნაძის მიმართვაში.

იმედი ვიქონიოთ, რომ კბილაშვილის უწყება უფრო მეტ გულისხმიერებას გამოიჩენს და ბოლოს და ბოლოს გაირკვევა, რა მოხდა 22 წლის წინ აჭარაში. მით უმეტეს ახლა, როცა ასლან აბაშიძე საქართველოში დაბრუნებას და ლამის პოლიტდევნილად აღიარებას ითხოვს.

# რიჩარდ ნორლანდი: მნიშვნელოვანია, რომ ქალები ლიდერ პოზიციებს იკავებდნენ"



მნიშვნელოვანია, რომ ქალები იკავებდნენ ლიდერ პოზიციებს ქვეყნის საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ, – ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა სასტუმრო „თბილისი მარიოტში", „მომავალ ლიდერ ქალთა" პროგრამით 2011-2012 წლების 21 კურსდამთავრებულისთვის სერტიფიკატების გადაცემის დაწყებამდე, ჟურანლისტებთან საუბარში განაცხადა.

მისი თქმით,Yფაქტია, რომ ქალები შეადგენენ ნებისმიერი საზოგადოების 50%-ზე მეტს და ისინი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები არიან. რაც შეეხება უშუალოდ დღევანდელ ღონისძიებას, ნორლანდის განცხადებით, ეს თემა უკავშირდება თანასწორობას, ამავე დროს, საუკეთესო ადამიანების მონაწილეობას პოლიტიკაში.

„მნიშვნელოვანია, რომ ქალები იკავებდნენ ლიდერ პოზიციებს ქვეყნის საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ. მნიშვნელოვანია ქალების ჩართულობის უზრუნველყოფა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რათა ქვეყანამ პროგრესი განაგრძოს", – განაცხადა ელჩმა.

კურსდამთავრებულებისთვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონიას რიჩარდ ნორლანდთან ერთად საქართველოს პარალმენტის თავმჯდომარის მოადგილე და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მანანა კობახიძე და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საქართველოს ოფისის დირექტორი ლულის ნავარო ესწრებოდნენ. როგორც მანანა კობახიძემ აღნიშნა, გენდერული ბალანსის დაცვის კუთხით საქართველოში ნამდვილად არ არის სახარბიელო ვითარება და უფრო მეტი სამუშაოა ჩასატარებელი, რათა პოლიტიკაში ქალები იყვნენ წახალისებული და გადაწყვეტილების მიმღები ქალები იყვნენ გაცილებით მეტი, ვიდრე დღეს არის. „თუმცა დღეს არის უკეთესობა ამ კუთხით, ვიდრე წინა მოწვევის პარლამენტში იყო, მაგრამ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი", – განაცხადა მანანა კობახიძემ.

მისი თქმით, ის პროექტი, რომელსაც ახორციელებს NDI, არის ძალიან მნიშვნელოვანი, ვინაიდან ლიდერი ქალების, პოლიტიკაში მოღვაწე ქალების შემდგომ დატრენინგებას, მათი უნარჩვევების უკეთ დახვეწას ემსახურება.



ბოლო 9 წელია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით მომავალ ლიდერ ქალთა პროგრამას აფინანსებს. პროგრამის მიზანი, აქტიური ქალების კარიერული წინსვლის მხარდაჭერა და მათი პოლიტიკური აქტივობის ამაღლებაა. ერთწლიანი პროგრამის განმავლობაში მონაწილეთათვის ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტები სხვადასხვა თემებზე ტრენინგებს და სემინარს ატარებენ. აშშ-ის მთავრობა მხარს უჭერს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ამაღლებას და ქალი ლიდერების გაძლიერებას, რადგან მიიჩნევს, რომ ეს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია.

ინტერპრესნიუსი

# ტატა ახალაია: აფხაზეთი კიტოვანმა დაგვაკარგვინა!“

გულიკო ბალაძე

**ქართველ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ გაჰყუჩებია აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, მით უმეტეს, დევნილები, რომლებიც ძალით გამოდევნეს საკუთარი მიწა-წყლიდან, უფრო ძლიერად განიცდიან აფხაზეთის ტრაგედიით მიყენებულ სულის ტკივილს. ამას მოწმობს თუნდაც ახლახან დაბეჭდილი წიგნი, „სულის ტკივილზე გაბმული კვნესა“, რომლის ავტორი გახლავთ აფხაზეთიდან დევნილი მწერალი ტატა ახალაია. გთავაზობთ ინტერვიუს მწერალ ტატა ახალაიასთან.**



***— ქალბატონო ტატა, რატომ დაარქვით თქვენს ახალ წიგნს ასეთი სათაური, „სულის ტკივილზე გაბმული კვნესა“, აფხაზეთის ტრაგედიით გამოწვეული ტკივილის გამო ხომ არა?***

— უსათუოდ. დიდხანს ვფიქრობდი, რა სათაური მიმეცა. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გამიჩნდა აზრი, „სულის ტკივილზე გაბმული კვნესა“ დამერქმია. აფხაზეთი ჩვენი სულის ტკივილია, სულის ტკივილი, რომელიც აფხაზეთის დაკარგვამ დამიტოვა. მე, პირადად, ეს ტკივილი არ გამყუჩებია და არც არასოდეს გამიყუჩდება, რადგან არა მხოლოდ მე, არამედ ბაბუაჩემი, მამაჩემი და ყველა ჩემი ახლობელი იქაა დაბადებული. ჩემი ბავშვობა და ყველაფერი იქ იყო. ამიტომ, როცა ვახსენებ სოხუმს, უკვე ცრემლები მომდის. ჩემი ინსტიტუტი, ჩემი მეგობრები ჩემი გულისტკივილია. ასევეა ყველა, ვინც აფხაზეთიდანაა. ამ ტკივილს ყველა თავისებურად განიცდის. ეს ტკივილი ავსახე ჩემს ნაწარმოებში და ამიტომ დავარქვი ჩემს წიგნს ეს სათაური, თან ვფიქრობდი, მარტო ადამიანი კი არა, ბუნებაც განიცდის ამას და ჩავრთე აფხაზეთის ზღვა, ცა, ღრუბლები და ყველაფერი. მხატვრობა არ მეხერხება, მაგრამ, როდესაც გამომცემლობაში მივედი და დავინახე, მხატვარი ჰყავდათ, ვუთხარი, რომ ეს გულისტკივილი წიგნის ყდაზეც უნდა აესახა. ვუთხარი, ცა არ უნდა იყოს მოწმენდილი, ბუნებაც უნდა ტიროდეს და ზღვაც უნდა ღელავდეს-მეთქი. მხატვარი თბილისელი იყო და გაკვირვებული მიყურებდა. შეიძლება იფიქრა, ეს ქალბატონი ხომ არ გადაირიაო. ვუთხარი, ადამიანი ხელში წიგნს რომ აიღებს და სათაურს წაიკითხავს, უნდა მიხვდეს იმას, რა არის ამ წიგნში დაწერილი. გამორიცხულია, ვინმე სხვას, სხვა ქალაქიდან დაეწეროს ისე მწარედ, როგორც მე ეს დავწერე, როგორც მე ვწერ პიესებს, მოთხრობებს, რომანებს.

***— როგორც ვიცი, თქვენი ნაწარმოებები რაღაც რეალურ ისტორიებზეა აგებული და ამ ისტორიებს თქვენ ეძებთ იმ ადამიანთა შორის, რომელთა მეხსიერებაში არის აფხაზეთი და მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი არ გაჰყუჩებიათ.***

— დიახ. აფხაზეთიდან 3-4 კაცი რომ დავსხდებით სუფრასთან, პირველ რიგში აფხაზეთის სადღეგრძელოს ვსვამთ. აფხაზეთს გაუმარჯოსო, რომ ვიტყვით, ყველას თვალები ცრემლებით გვაქვს სავსე. მე კავშირი მაქვს დევნილებთან, სოხუმელებთან, გაგრელებთან, სხვებთან. ვინც აქ არის, ყველა კარგად მიცნობს. ვინმეს თუ რამე განცდები აქვს, მიყვება. მაგალითად, „უპატარძლო ქორწილი“ სწორედ ასე შეიქმნა. დედამთილი მოვიდა, ტიროდა და მომიყვა თავისი შვილის ქორწინებასთან დაკავშირებული ტრაგიკული ისტორია. ამ ისტორიაზე დავწერე რომანი და პიესა. მინდა, ის დაიდგას და ახალმა თაობამ ნახოს. თუ დააფინანსა აფხაზეთის მთავრობამ ან საქართველოს კულტურის სამინისტრომ, უსათუოდ დაიდგმება თეატრში. შავგულიძის თეატრს ისეთი ფინანსები არ აქვს, რომ ამ პიესის დადგმა დამოუკიდებლად დააფინანსოს.

***— აფხაზ მწერლებთან არ გაქვთ კავშირი?***

— ორჯერ მქონდა ამის მცდელობა. აფხაზეთში მაშინ ბაღაფში იყო. ბაღაფშის ბიძაშვილი ჩემი კარგი დაქალი გახლდათ. ინტერნეტით ხშირად ველაპარაკებოდით ერთმანეთს.

***— ახლა?***

— როგორც კი გარდაიცვალა ბაღაფში და გამოჩნდა ანქვაბი, ეს არხი გადაიკეტა.

***— რატომ?***

— არ ვიცი, მე თვითონ ვაძლევ ზარს, მაგრამ არ მპასუხობს. ვიკითხე, ხომ არაფერი დაემართა-მეთქი და მითხრეს, მარინა ბაღაფში ცოცხალია, კარგად არისო. მისი და აქ იყო გათხოვილი, აქ ცხოვრობდა. მერე წავიდა იქით. მას ვეუბნებოდი, რომ ძალიან მინდოდა, აფხაზ მწერლებთან კავშირი დამემყარებინა. ჩემი წიგნები, რომლებიც გამოვუშვი, ყველა ცნობილია აფხაზეთში.

***— თარგმნეს?***

— არა. აქ ბევრი აფხაზი ცხოვრობს და მათ გაიტანეს.

***— ქართულად კითხვა იციან?***

— ძველმა აფხაზებმა ქართულად კითხვა იციან. ერთი წაიკითხავს და შინაარსს სხვებს მოუყვება. ამიტომ იციან ჩემი წიგნების შინაარსი და დამემუქრნენ.

***— რატომ?***

— დამემუქრნენ, რადგან მე ვწერ სიმართლეს. მაგალითად, შევარდნაძის პერიოდს არ ვაქებ და არ ვადიდებ. დამნაშავეა ჩვენი მხარეც და იქითა მხარეც. არც ერთ მხარეს არ ვაღმერთებ, მაგრამ ერთი ჩემი მეგობარი ექიმი ვარდენ ფილია სოჭში შეხვედრია ჩემს ახლობელს და უთქვამს, რა, ტატა აფხაზეთში ჩამოსვლას არასოდეს აპირებსო? რატომ ამბობ ამას, ტატამ რა დააშავაო? როგორ თუ რა დააშავა, პიესა ხომ დაწერა („ტრაგედიის აჩრდილები“) და ბელგიაში გაიტანაო. ჩემი პიესა, „ტრაგედიის აჩრდილები“, ბელგიაში საერთაშორისო ფესტივალზე დაიდგა. ფესტივალში მსოფლიოს 30 ქვეყანა მონაწილეობდა, პირველი ადგილი დაიკავა და გრან-პრი მივიღე. მათ გააგზავნეს თურქეთის აფხაზები. მეძებდნენ მე და რეჟისორს.

***— რისთვის?***

— მეძებდნენ, რომ შეურაცხყოფა მოეყენებინათ ჩემთვის.

***— „ტრაგედიის აჩრდილებში“ რა იყო აფხაზებისთვის მიუღებელი?***

— აფხაზებისთვის მიუღებელი იყო ის, რასაც ვწერდი. მე ვწერდი, რომ გაგრაში ბავშვს კისერი მოაჭრეს და ბურთს თამაშობდნენ.

***— თქვენი ინფორმაციით, ეს ნამდვილად მოხდა?***

— ეს სინამდვილე იყო, მე არ მომიგონია, გაგრიდან მოიტანეს ამბავი. გარდა ამისა, კაცს წისქვილზე საფქვავი მიჰქონდა, ყური მოაჭრეს, ცხვირი მოაჭრეს და ცოცხლად მიწაში ჩამარხეს. დედას ბიჭი მოუკლეს და მისი თვალი გადააყლაპეს. დაემუქრნენ, თუ არ გადაყლაპავ, მეორე შვილსაც მოგიკლავთო. ეს ტელევიზორშიც იყო. როგორ შემეძლო, სხვანაირად დამეწერა. არც ჩემების მაშინდელ ქცევას ვაქებ.

***— ჩვენი მხარის ქცევაზე რა აზრი გაქვთ?***

— იოსელიანის მხედრიონი ძალიან ცუდად იქცეოდა. ჩვენც გვაყენებდა შეურაცხყოფას. პირადად ჩემს სახლში შემოვიდნენ. ვიფიქრე, ჯარისკაცებს გავუმასპინძლდები-მეთქი. მკითხეს, რა გვარი ხარო. ახალაია, ბატონო-მეთქი. ააა, გამსახურდიას ნაშიერი ხარ, არაო? გავგიჟდი, რა-მეთქი? გამსახურდია თქვენ გყავდათ თბილისში, სოხუმში ერთხელ ჩამოვიდა. კონსტანტინე გამსახურდიას შვილი თქვენი დასაცინია-მეთქი? ფული მომთხოვეს. ფული არ მაქვს, მაგრამ ძალიან კარგი ავეჯი მაქვს და, რაც გინდათ, წაიღეთ-მეთქი.

***— წაიღეს?***

— არა. მხოლოდ ფული უნდოდათ. ჩემ წინ მეზობელთან შევიდნენ, წივილ-კივილი ისმოდა, ფული წაართვეს. კაცმა წინააღმდეგობა გაუწია და, მგონი, ისე დაასახიჩრეს, ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა. ამ ომში მარტო აფხაზები კი არა, ქართველებიც დავზარალდით. ჩვენმა ჯარმა ალყა შემოარტყა ხეს, რომელზეც კაცი ჰყავდათ ჩამოკიდებული და ურტყამდნენ. კაცი აფხაზი იყო. ურტყამდნენ კაზაკები, რუსები, სომხები, ბერძნები. კაცი აფხაზი იყო და ურტყამდნენ, ჩვენ გვერდით რატომ არ ომობო. ამ აფხაზს ცოლი ჰყოლია ქართველი და ყვიროდა, ნათელა, ნათელაო. 15 წლის გოგო ჰყოლია, რომელიც გაუუპატიურეს და გადააგდეს წყალში. ქართველებმა ალყა შემოარტყეს და იხსნეს. ყვიროდა, შეიძლება ჩემი გოგო ცოცხალია და მომინახეთო, მაგრამ ცოცხალი როგორ იქნებოდა წყალში გადაგდებული 15 წლის ბავშვი. ამ კაცმა თქვა, იმიტომ არ ვომობდი, ნახევრად ქართული და ნახევრად აფხაზური ოჯახი მქონდაო. ეს საშინელი ფაქტები აღვწერე ჩემს ნაწარმოებში.

***— ანუ ის ფაქტები, რომლებიც თქვენს პიესაში ასახეთ, აფხაზებს არ მოეწონათ.***

— არა, სიმართლე არ მოეწონათ. მათ ამ ფაქტების გახმაურება არ უნდოდათ. ფესტივალი 1996 წელს იყო. მსოფლიომ ნახა და გაიგო ეს საშინელებები. მაშინ ვინ იცოდა, რა მოხდა აფხაზეთში. მსოფლიომ კი არა, საქართველოში არ იცოდნენ კარგად, რა მოხდა აფხაზეთში. ჩემი პიესის საშუალებით მსოფლიომ გაიგო, რომ აფხაზეთში ქართველების გენოციდი მოხდა, რაც ყველაზე დიდი უბედურება იყო. სხვათა შორის, შევარდნაძეს არ უნდოდა ფესტივალზე მათი გაშვება, მაგრამ ცხონებული თამაზ ნადარეიშვილი დაეხმარა.

***— მართლაც, აფხაზეთში ჩასვლა არ გინდათ?***

— აფხაზეთში ჩასვლა ძალიან მინდა, მაგრამ სეპარატისტულ აფხაზეთში — არა. ნორმალურ აფხაზეთში ჩასვლა მინდა, ისეთში, როგორშიც მე ვცხოვრობდი და როგორიც მე მინახავს.

***— მწერლები, ხელოვანები ძალიან დიდ როლს თამაშობენ კონფლიქტების მოგვარებაში სახალხო დიპლომატიის საშუალებით. აფხაზეთში თქვენი ნათესავები არიან დარჩენილი?***

— არიან, მაგრამ ქმრები აფხაზები ჰყავთ. აქაც ჩამოდიან, ბავშვი ჩამოიყვანეს სამკურნალოდ.

***— თუ თავს დავანებებთ სეპარატისტული იდეოლოგიით შეპყრობილ ადამიანებს, თუ იცით, ჩვეულებრივი ადამიანები რას ფიქრობენ?***

— აფხაზეთში ჩასვლის საშუალება რომ მომცენ, პირველ რიგში, ხალხთან მინდა დალაპარაკება. ადრე ვრეკავდი, აქედან ვუკავშირდებოდი, მაგრამ ახლა აქედან იქ დარეკვაც აღარ შეიძლება. არ ირეკება. მინდა, აფხაზ მოსახლეობას დაველაპარაკო. კარგი მეგობრები მყავდა, ემა აიბა, ზაირა კვამბა, მაგრამ სად არიან, არ ვიცი.

***— რამდენადაც ვიცი, თქვენს ნაწარმოებებში აფხაზები დადებითადაც გყავთ გამოყვანილი. ბოლოს ყველაფერი მეგობრობით მთავრდება. ამას აფხაზები ასევე დადებითად არ აღიქვამენ?***

— არა, დადებითად არ აღიქვამენ. ჩემი ნაწარმოებების ფინალში ქართველებსა და აფხაზებს ყოველთვის მეგობრებად წარმოვადგენ, მაგრამ ეს მათ არ მოსწონთ, რადგან ჩვენ გვადანაშაულებენ. ამის თაობაზე ჩემთან მოაქვთ ამბები. მათ უნდოდათ დავწერო, რომ ჩვენ ვართ ცუდები, ჩვენ დავიწყეთ ომი. ეს მართალია — ჩვენ დავიწყეთ ომი — შევარდნაძემ და იოსელიანმა დაიწყეს ომი. მათთვის ჩვენ ვართ ყველაფერი ცუდის მომტანი.

***— სხვათა შორის, შევარდნაძეს აფხაზების წინააღმდეგ არ დაუწყიათ ომი. სხვა მიზეზით შევიდნენ აფხაზეთში, მაგრამ შემდეგ გამოსავალი ვეღარ იპოვეს. არძინბასთანაც იყო შეთანხმებული, რომ იქ ჯარი უნდა გადაადგილებულიყო. შემდეგ არძინბამ სიტუაცია გამოიყენა.***

— ჩემი აზრით, აფხაზეთში ჯარის შემოყვანა საჭირო არ იყო. ვუყურებდი ტელევიზორს და ასეთი კადრი ვნახე, კიტოვანი დგას ბეტეერით და აფხაზი ჟურნალისტი ეკითხება, რატომ ჩამოხვედითო? კიტოვანმა უპასუხა, 2 საათში ავიღებთ აფხაზეთსო. კი მაგრამ, თუ ამბობთ, აფხაზეთი თქვენი ტერიტორიაა, მაშინ რატომ უნდა აიღოთ, რა არის ასაღებიო. კიტოვანის ამ სულელური პასუხით დავკარგეთ ავტორიტეტი. იქ ჩამოსვლის მიზანი უნდა ყოფილიყო ხალხთან გასაუბრება, ხალხთან დამეგობრება, მთავრობასთან. დიალოგი. 2 საათში ავიღებთ აფხაზეთსო, ამის თქმა რა საჭირო იყო.

***— ახლა კიტოვანი რუსეთშია და, როგორც ჩანს, მშვენივრად გრძნობს თავს..***

— დიახ, რუსეთშია და გადასარევადაა, ჩვენ კი გაგვაუბედურა. წარმოგიდგენიათ, მე, დედისერთა შვილმა, მამა ვერ დავიტირე. მამა ავად იყო, სისხლის გათეთრება ჰქონდა, იწვა და აქეთ არ წამომყვა, შენ თვითონ სად მიდიხარ, არ იცი, ფული არ გაქვს და იქ როგორ დამმარხავო.

***— იქაურობა რომ არ დაგეტოვებინათ, შეგეხებოდნენ?***

— უსათუოდ. ჯანდაცვის მინისტრმა მერი ჯანგველაძემ დამირეკა და მითხრა, დღესვე წადი, არ ვიცი, ხვალ რა იქნებაო. 25 სექტემბერი იყო (საავადმყოფოში ვმუშაობდი და უამრავ დაჭრილებს ვიღებდით). ვაგზალთან იყვნენ მოსული აფხაზები, რუსები, კავკასიელები და ყველა, ვინც მათ ეხმარებოდა. მინისტრმა მითხრა (დაქალები ვიყავით), მეც ხვალ გავდივარო.

***— დღევანდელობას რომ დავუბრუნდეთ — თქვენ ბრძანეთ, მოწესრიგებულ აფხაზეთში ჩავალო.***

— სეპარატისტულ აფხაზეთში ჩასვლა არ შემიძლია.

***— სეპარატისტული განწყობების მოთოკვა რამდენად წარმოგიდგენიათ?***

— პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ, ვისაც ვიცნობდი და ერთ კაბინეტში ვისხედით, მითვლის, ტატას არ უნდა აფხაზეთში ჩამოსვლა, ამას რომ წერსო? ორივე საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე ვიყავით. იმან თუ ასე თქვა, სხვები რას იტყვიან.

***— კარგი ურთიერთობა გქონდათ?***

— ნორმალური. ყოველთვის ვეხუმრებოდი, ფილია რომ ხარ, ქართულად რატომ არ ლაპარაკობ-მეთქი. მპასუხობდა, ფილია კი არა, ფლია ვარო. ვეუბნებოდი, შენ იცი მეგრულად ფლია რა არის-მეთქი? დედა მარშანია ჰყავდა. დედამისი მეგრულად მელაპარაკებოდა.

***— ქართული ფესვები ჰქონია და ცდილობდა, განრიდებოდა მას. ამიტომაა უფრო რადიკალური, ვიდრე — სხვები.***

— რასაკვირველია. აჩბა იყო კიდევ, ძალიან მეგობრულ ურთიერთობაში იყო ჩემთან და მეტყოდა, ოჰ, როგორ მინდა, ახალაია კი არა, ახუბა იყოო. თითქოს ხუმრობით მეუბნებოდა. რატომ გინდა, რა მე მტერი ვარ თუ რა-მეთქი? თუ არ გიყვარვარ და გეზიზღები, ყავის დასალევად რატომ ჩამოდიხარ-მეთქი? ახუბა უფრო მოგიხდებოდაო. ეს იყო მაშინ, როცა სეპარატისტები იწყებდნენ საფუძვლის ჩაყრასა და აყვავებას. მერე გავიგე, რომ აჩბა ყოფილა სეპარატისტული გაერთიანების წევრი. მე ძალიან კარგი ავტორიტეტი მქონდა. საავადმყოფოში 2000 კაცი მუშაობდა. კარგი ურთიერთობა მქონდა აფხაზებთან, რუსებთან, სომხებთან. აქ რომ ჩამოვედი, მერე დავფიქრდი და დავასკვენი, რომ მას უნდოდა ჩემი მის მხარეზე გადაყვანა.

***— თუ სეპარატიზმს მხარდაჭერა არ ექნება, მაშინ როგორ წარმოგიდგენია მისი სიცოცხლისუნარიანობა?***

— ეს ყველაფერი ჩრდილოეთმა გააკეთა. აფხაზეთში ქართულად მხოლოდ ქართველები ვლაპარაკობდით. მათ არც ის მოსწონდათ, რომ ქართულად ვლაპარაკობდით. როცა მთავარმა ექიმმა სამსახურში მიმიღო, მითხრა, რა კარგად ლაპარაკობთ რუსულადო. საშუალო სკოლა რუსულად მქონდა დამთავრებული. მამაჩემი იბრძოდა. სოხუმიდან გერმანიაში ჩავიდა. მან თქვა, ჩემთან იყვნენ ახალგაზრდა ბიჭები საქართველოდან, რუსული არ იცოდნენ და რომ ვეტყოდით, მარჯვნისაკენ, მარცხნივ ბრუნდებოდნენო. ამიტომ გადაწყვიტა ჩემი რუსულ სკოლაში შეყვანა.

## ჩვილის გარდაცვალების ფაქტს სამედიცინო რეგულირების სააგენტო შეისწავლის

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, მარიამ ჯაშის განცხადებით, გორის ბავშვთა საავადმყოფოში ჩვილის გარდაცვალების ფაქტს სამედიცინო რეგულირების სააგენტო შეისწავლის.

როგორც ჯაშმა ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. საექიმო შეცდომების განხილვის მექანიზმი, რეგულირების სისტემა მთლიანად გადასახედია.

შეგახსენებთ, რომ გორის ბავშვთა საავადმყოფო „იავნანაში“ 10 თვის დავით გოგინაშვილი გუშინ გარდაიცვალა.

მედიანიუსი

## ბაღდათის მოსახლეობამ საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მოთხოვნით გზა გადაკეტა

ბაღდათის რაიონის სოფელ დიდველის მოსახლეობამ საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართა და სოფლამდე მიმავალი გზა გადაკეტა. სპეციალისტებს კი გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელების საშუალება არ მისცეს.

როგორც მოსახლეობა აცხადებს, დასავლეთ საქართველოს გაზსადენისა და ნავთობსადენის სამშენებლო სამუშაოების გამო, მათ სოფლამდე მიმავალი გზა კიდევ უფრო მეტად დაზიანდა. ადგილობრივები გზის სავალი რეაბილიტაციას ადგილობრივ მუნიციპალიტეტს სთხოვენ და ამბობენ, რომ თუკი ეს უახლოეს ხანებში არ მოხდება, ნავთობისა და გაზის კორპორაციის ისინი გაზსადენზე სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელების საშუალებას აღარ მისცემენ.

„სოფელს თავის დროზე პირდებოდნენ გზის გაყვანას და არ გაუყვანეს. მოსახლეობა აღიარებს, რომ იყენებენ მომენტს იმის გამო, რომ ჩვენ აქ ვმუშაობთ და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე კეთდება, გავაჩეროთ, ეგებ ბა გავცივოთო. როდესაც მილსადენი გაივლის ამ გზაზე, გზას დაუბრუნდება თავისი პირვანდელი სახე“,– განაცხადა შპს „საქმომშენის“ მთავარმა ინჟინერმა მერაბ ხელაძემ.

მედიანიუსი

## პატრიარქმა ჯარისკაცებს ცოდნის გაღრმავება ურჩია

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ჯარში ჯარისკაცების ინტელექტის ამაღლებაზე იქადაგა.

როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინდელ საკვირაო ქადაგებისას აღნიშნა, თავდაცვის მინისტრი ინტელექტუალურად განვითარებული ადამიანია და მოუწოდებს მას, რომ ჯარშიც დანერგონ განათლება, რადგან ჯარი უნდა იყოს არა მხოლოდ ძლიერი ომისა და ბრძოლისა, არამედ მოაზროვნე და ინტელექტუალური.

პატრიარქმა სამების ტაძარში მყოფ ჯარისკაცებს მიმართა, რომ იფიქრონ, რას მატებენ მათ ის დრო, რასაც ატარებენ სამხედრო დანაყოფებში.

„ჩემი აზრით, თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი პირველი მეგობარი უნდა იყოს არა რადიო, ტელევიზორი და ინტერნეტი, არამედ წიგნები. უნდა იკითხოთ და ისინი მოგცემენ უნარს, რომ გაარჩიოთ, სად არის კეთილი და ბოროტი“,-ბრძანა პატრიარქმა.

მედიანიუსი

# ხათუნა გოგალაძე: რა გაახურეს საქმე ამ დარიალიჰესით“



**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა ყაზბეგში, მდინარე თერგზე დარიალიჰესის მშენებლობასთან და ამ პროექტის მიმართ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ კრიტიკულ შენიშვნებთან დაკავშირებით არაერთი სტატია მოამზადა.**

მოკლედ რომ შეგახსენოთ, დარიალის ხეობაში, მდინარე თერგზე, 110 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დარიალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 2011 წლის სექტემბერში დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს დაახლოებით 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის - 90%-ის მოქცევას ჯერ სადერივაციო მილსადენში და შემდგომ სადერივაციო გვირაბში. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზეზით, ყაზბეგის ეროვნული პარკის ნაწილს დაცული ტერიტორიის სტატუსი მოეხსნა.

გარემოსდამცველების შეფასებით, პროექტის განხორციელების შედეგად, სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იან მონაკვეთზე რადიკალურად შეიცვლება ლანდშაფტი და ხეობა დაკარგავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ-ეთნოგრაფიულ და ტურისტულ ფასეულობას. პროექტს ექნება შეუქცევადი ზეგავლენა მდინარეზე დამოკიდებულ სახეობებზე, მათ შორის, წითელ ნუსხაში შეტანილ ნაკადულის კალმახზე და გამოიწვევს თერგში ამ პოპულაციის გაქრობას.

გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ მიაჩნია, რომ ამ გარემოებების გათვალისწინებით, გარემოს დაცვის სამინისტროს დარიალიჰესის მშენებლობაზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა არ უნდა გაეცა. „მწვანე ალტერნატივამ“ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა და ამ დასკვნის გაუქმება მოითხოვა. გარემოს დაცვის სამინისტრომ (მინისტრი გოგა ხაჩიძე) სარჩელი არ სცნო. პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ „მწვანე ალტერნატივამ“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა. პროცესი რამდენჯერმე გადაიდო. საქმეზე გადაწყვეტილება 19 დეკემბერს გამოცხადდება.

წინასაარჩევნოდ, კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერები აცხადებდნენ, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში საქართველოში დიდი ჰესების მშენებლობის საკითხი გადაიხედებოდა. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ „ქართული ოცნებიდან“ ყაზბეგის მაჟორიტარმა დეპუტატმა მირიან წიკლაურმა პირობაც დადო, რომ დარიალიჰესის საკითხის გარკვევას აუცილებლად მოითხოვდა. მოგვიანებით, დეპუტატმა მირიან წიკლაურმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადა, რომ სანამ სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა საკითხს არ გაარკვევს, ჰესზე სათავე ნაგებობის მშენებლობა არ დაიწყება.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა დარიალიჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით, გარემოს დაცვის ახალი მინისტრის ხათუნა გოგალაძის შეფასება გუშინ მოისმინა.

„ამ საქმეზე სასამართლო პროცესი მიმდინარეობს და მის დასრულებას ველოდები. იქ რაღაც საკითხებია, რომლებიც ჩემს კომპეტენციას და გამოცდილებას სცილდება, რომ რაღაც ან ასე ვთქვა, ან ისე. ნებისმიერი სახის მშენებლობა ახდენს რაღაც გავლენას გარემოზე. არსებობს მოსაზრება, რომ ყველაფერი წესის მიხედვით გაკეთდა, როგორც უნდა გაკეთებულიყო. მე ეჭვის შეტანის საფუძველი არცერთ მხარეს არ მაქვს. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს გარემოს და თუ ეს ზიანი გარდაუვალია, მაქსიმალურად მინიმალური იყოს,“ – განაცხადა მინისტრმა.

რაც შეეხება საქართველოს ყოფილი მთავრობის განკარგულებას, რომელიც ძალაშია და რომლის მიხედვითაც, ყაზბეგის დაცული ტერიტორიების ნაწილი „დარიალი ჰესის“ მშენებლობისთვის კომპანია „დარიალ ენერჯის“ უნდა გადაეცეს, გარემოს დაცვის მოქმედი მინისტრი აცხადებს, რომ მას მთავრობის განკარგულების გაუქმების უფლება არ აქვს. „ეს არის მთავრობის განკარგულება, განკარგულების გაუქმება არცერთ მინისტრს არ შეუძლია. შესაბამისად, გადაეცემა თუ არა დაცული ტერიტორიების ნაწილი მშენებლობისთვის, არვიცი. ჯობია სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდოთ,“ – აღნიშნა ხათუნა გოგალაძემ.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრისთვის ცნობილია, რომ მთავრობის განკარგულებას მინისტრი ვერ გააუქმებს, თუმცა მინისტრს უფლება აქვს, მთავრობას განკარგულების ბათილად ცნობის დასაბუთებული მოთხოვნით მიმართოს, რაც ქალბატონ გოგალაძეს არ გაუკეთებია. მინისტრის მხრიდან სასამართლოზე აპელირება, მინიმუმ „გარემოსდამცველის“ მხრიდან უპასუხისმგებლობაა იმ პირობებში, როცა მოქმედი მთავრობა ყოველდღე აცხადებს, რომ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, რომ მართლმსაჯულება ყოფილი ხელისუფლების გავლენის ქვეშ არის, გიგანტური ჰესების მშენებლობა კი ყოფილი ხელისუფლების პროექტი და ინტერესის საგანია. ვიდეომასალიდან ჩანს, რომ მინისტრი კითხვებზე პასუხის გაცემის დროს არასერიოზულად იქცევა და ცდილობს ინტერვიუს თავი აარიდოს.

საუბრის დასრულების შემდეგ, ჩვენმა კორესპონდენტებმა მოისმინეს რა უთხრა გარემოს დაცვის მინისტრმა თავის პრესმდივანს: „რა გაახურეს საქმე ამ დარიალიჰესით“...

მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს არ აქვს ამ განცხადების დამადასტურებელი ჩანაწერი. ჩვენი კორესპონდენტების გარდა მინისტრის ეს განცხადება სხვა ჟურნალისტებმაც მოისმინეს. სწორედ ამის გამო გადავწყვიტეთ დარიალიჰესის მშენებლობის შესახებ მინისტრის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ამსახველი განცხადების გამოქვეყნება.

**მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# გოგი ხუციშვილი: რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა უნდა გვქონდეს!“

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილთან:**

***– ბატონო გოგი, რას იტყვით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინისა და პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის შეხვედრაზე?***

– წინასწარ ცნობილი იყო, რომ ეს შეხვედრა ტექნიკურ ხასიათს ატარებდა. ეს ხაზგასმით იყო ნათქვამი. ცნობილი იყო, რომ ეს იქნებოდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, ერთგვარი მოთელვა. გარკვეული პოზიციების ერთმანეთთან შეჯერება და იმის განსაზღვრა, რომ მომდევნო შეხვედრები რა ფორმატით, როგორი პროცედურებით შეიძლება წარიმართოს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ წინასწარ ქართულ მხარეს გარკვეული კონტაქტი ჰქონდა რუსულ მხარესთან. უკვე იყო საუბარი თუ რა პრიორიტეტული საკითხები არის შესაძლებელი, რომ მოლაპარაკების საგანი გახდეს.

***– მაგალითად, რა შეიძლება გახდეს მოლაპარაკების საგანი?***

– მაგალითად, ეკონომიკის საკითხები. ვაჭრობის, ეკონომიკური ურთიერთობის, ჰუმანიტარული ურთიერთობის და ა.შ. გამოდის, სუფთა ფურცლიდან არ ვიწყებთ. რაღაც ეტაპი უკვე იყო. შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრის ფაქტი წინგადადგმულ ნაბიჯის წარმოადგენს ორივე მხრიდან. ჩვენი მხრიდან ეს იყო ინიციატივა, წინადადება და ეს არ არის გასაკვირი, რადგან ჩვენ ობიექტურად ვართ დაინტერესებული იმაში, რომ არსებული მდგომარეობა შეიცვალოს, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა. რუსეთმა ცოტა ცივი რეაქცია მისცა ამას ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. საქართველოში უკვე გამოჩნდა ის ძალა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული, რომ დიალოგი განავითაროს და რუსეთის ფედერაციასთან სერიოზული დიალოგი დაიწყოს, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია.

***– ამ შეხვედრასთან დაკავშირებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბზიგნევ ბჟეზინსკიმ განცხადება გააკეთა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენა ამერიკის მეგობრობის ხარჯზე შეიძლება მოხდეს. როგორ ფიქრობთ, რამ მისცა ამ განცხადების გაკეთების საფუძველი?***

– ეს იყო ვარაუდი, რომელიც პრაქტიკულად გაფრთხილებას ნიშნავდა, რომ თუ ამ მიმართულებით წავიდა, მაშინ ეს ამერიკის მეგობრობის ხარჯზე მოხდება, მაგრამ მე ვთვლი, რომ ამ მიმართულებით არ წავა ჩვენი ურთიერთობა. რუსეთის გავლენის ქვეშ ჩვენ არ მოვექცევით, მაზე საუბარი შეუძლებელია. ჩვენ გვექნება საუბარი იმ საკითხებზე, რომელიც რეალურად განხორციელებადია.

***– შეიძლება თუ არა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს, ამერიკის შეერთებულ შტატებს აშფოთებდეს სწორედ ის, რომ ევრაზიის კავშირი, რუსული ორბიტის ქვეშ დაბრუნება, მოხდეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი რამის ხარჯზე და ეს შეიძლება მაპროვოცირებელი აღმოჩნდეს?***

– ეს შეუძლებელია. გეტყვით, ამ ყველაფრის ფონი რა არის: ლუკაშენკო გამოვიდა ინიციატივით, რომ მომავალ წელს საქართველოს დსთ-ში დააბრუნებს. ლუკაშენკოს უნდა, რომ თავისი როლი წარმოაჩინოს რეგიონში. მას უნდა მომრიგებლის, შუამავლის როლი ითამაშოს რუსეთსა და საქართველოს შორის. რაღაცნაირად თითქოს ისტორიული მისია ითამაშოს, მაგრამ ეს არ გამოუვა, რადგან საქართველო არავითარ შემთხვევაში არ დააყენებს დღის წესრიგში დსთ-ში დაბრუნების საკითხს. იმ გაყინულ მდგომარეობაში, რომელიც ახლა რუსეთ-საქართველოს შორის არის შეუძლებელია, რომ ამაზე საუბარი იყოს. ამიტომ ეს ლუკაშენკოს არ გამოვა. ეს, რა თქმა უნდა, ცნობილია ვაშინგტონში. რაც შეეხება ბჟეზინსკის განწყობას, მასზე იმოქმედა, როგორც ჩანს, ლუკაშენკოს განცხადებამ, ვაი თუ რაღაც ხდება, რაც იცის ლუკაშენკომ და მე არ ვიცი. მეორე მხრივ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, სააკაშვილის გუნდი ცდილობს თავისი ლობისტური არხების მეშვეობით ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია მოახდინოს. მათი მხრიდან მუდმივი პედალირება ხდება იმაზე, რომ ივანიშვილი არის სწორედ ის პიროვნება, რომელიც იმისთვის არის მოსული, რომ საქართველო რუსულ ორბიტაზე დააბრუნოს, რომ ადრე თუ გვან ეს მოხდება, რადგან მილიარდები მას რუსეთში აქვს ნაშოვნი და რომ ასე ვთქვათ, რუსეთთან ვალშია. ეს არის სრულიად ხელოვნური მსჯელობა. მე ვფიქრობდი, რომ ეს ვარაუდი საერთოდ გაბათილდა, რადგან რუსეთისგან ძალიან ცივი რეაქცია მივიღეთ. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ვაშინგტონში, ზოგიერთ წრეებში კითხვები და ეჭვები ისევ არის.

***– როგორ ფიქრობთ, იმ ორ პრინციპს, რომელზეც ახალი ხელისუფლება საუბრობს საქართველოს თავისუფალი არჩევანი, რომ თავად აირჩიოს, რომელ კავშირში გაწევრიანდება, ვინ იქნება მისი სტრატეგიული პარტნიორი და ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიული მთლიანობის დაცვას საფრთხე ემუქრება?***



– არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ეს არის ის ორი პრინციპი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობაში. საქართველომ ინტენსიური ურთიერთობა, რომც დაიწყოს რუსეთთან ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის გამო დასავლეთმა სამაგიერო გადაგვიხადოს და აღარ სცნოს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. ეს ორი საკითხი ერთი მეორეზე არ არის დამოკიდებული, რომ ჩვენ დასავლეთის კეთილგანწყობა დავკარგოთ. დარწმუნებული ვარ, არ გვემუქრება რუსეთს ისე დავუახლოვდეთ, რომ დასავლეთთან ჩვენმა ურთიერთობამ მოსკოვზე გაიაროს. ეს არავითარ შემთხვევაში რა მოხდება და თუ მოხდება ეს იქნება კატასტროფა ჩვენი ქვეყნისთვის. ეს იქნება დამღუპველი, მაგრამ ვიმეორებ, ეს არ მოხდება. ჩვენ უნდა გვქონდეს ევროინტეგრაციის პირდაპირი კურსი და ამავე დროს უნდა ვეცადოთ ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობა გვქონდეს რუსეთთან, ჩვენს დიდ მეზობელთან. ორ ქვეყანასა შორის სასარგებლო მიმართულებების განვითარება ხელს არ უშლის არც ევროკავშირთან და რაც ვაშინგტონთან კეთილგანწყობილ ურთიერთობებს.

# სიღნაღის მოსახლეობა დიდთოვლობის გამო სასმელ წყალს შეფერხებით მიიღებს

სიღნაღის მოსახლეობა დიდთოვლობის გამო სასმელ წყალს შეფერხებით მიიღებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, მწყობრიდან გამოვიდა სიღნაღის „ნასომხარის“ სატუმბო სადგურზე არსებული №1 ჭაბურღილის ტუმბო-დანადგარი, რის გამოც 24 საათიან რეჟიმში მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდება დროებით შეწყვეტილია.

დაზიანების სალიკვიდაციოდ მობილიზებულია სიღნაღის სერვისცენტრი და წყალმომარაგების კომპანიის რეგიონული ფილიალის საავარიო ბრიგადები. უამინდობის გამო ხეობაში, სადაც დამონტაჟებულია ტუმბო-დანადგარი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საავარიო ტექნიკა გადაადგილებას ვერ ახერხებს.

„სერიოზული პრობლემის მიუხედავად, ვცდილობთ სიღნაღის მოსახლეობის 80%-ს შეუფერხებლად, 24 საათის განმავლობაში მივაწოდოთ სასმელი წყალი, ხოლო დარჩენილი 20% წყალს 14-16 საათის განმავლობაში იღებს. უახლოეს დღეებში ჭაბურღილის მუშაობა აღდგება და სიღნაღის მოსახლეობა ჩვეულ რეჟიმში, 24 საათიანი გრაფიკით მიიღებს სასმელ წყალს“, – განაცხადა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კახეთის რეგიონულმა მენეჯერმა ფარნა მაყაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# სამტრედიის პოლიციის ყოფილი უფროსი სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა

სამტრედიის პოლიციის ყოფილი უფროსი ზვიად ობოლაძე სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

ყოფილ მაღალჩინოსანს, რომელიც სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დააკავეს, გირაოს სახით 10 000 ლარის გადახდა დაეკისრა.

ობოლაძის დაცვის მხარე წინასწრი პატიმრობის 3 000 ლარიანი გირაოთი ჩანაცვლებას ითხოვდა, თუმცა ეს მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

პოლიციის ყოფილ უფროსს თავდებად სასულიერო პირები დაუდგნენ. მორიგი სასამართლო პროცესი 5 თებერვალს გაიმართება.

ზვიად ობოლაძე სამართალდამცავებმა 14 დეკემბერს დააკავეს. ოფიციალური განცხადების მიხედვით, სამოქალაქო პირის დაკავების დროს ობოლაძემ დაკავებულის ახლობლის მიმართ ძალადობრივი მეთოდი გამოიყენა. კერძოდ, მან მაია ახობაძეს განზრახ ჩაარტყა ხელში მომარჯვებული ცეცხლსასროლი იარაღის ტარი სახეში. დარტყმის შედეგად მაია ახობაძეს მოსტყდა ქვედა ყბის კბილები და მიიღო ტვინის შერყევა.

**ინტერპრესნიუსი**

# ანზორ ქოქოლაძე სამართლებრივ დავას თავს არიდებს და მედიას დეზინფორმაციისთვის იყენებს“



თიბისი ბანკის ადვოკატი, გოჩა სვანიძე ანზორ ქოქოლაძის ბოლო განცხადებას ეხმაურება და აცხადებს: „ანზორ ქოქოლაძის განცხადება, რომ თიბისი ბანკი 3 ობიექტს ასხვისებს თითქოსდა „დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით“, არის მორიგი სიცრუე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, რასაც ბატონი ანზორი დაუზარელად მიმართავს ბოლო რამდენიმე თვეა. ალბათ ბატონი ანზორი გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ თიბისი ბანკმა მიმართა განცხადებით პროკურატურას და მოითხოვა, ცრუ დასმენის მუხლით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ბატონ ქოქოლაძეს სთავაზობდა და დღესაც სთავაზობს პრობლემის სამართლებრივ სივრცეში გადაჭრას, ეს უკანასკნელი ამჯობინებს, მედია გამოიყენოს დეზინფორმაციის იარაღად და ჯიუტად ცდილობს დამახინჯებული, მცდარი ინფორმაციით საზოგადოების შეცდომაში შეყვანას“.

გოჩა სვანიძის თქმით, თიბისი ბანკი არ აპირებს ქოქოლაძის აბსურდული და შეურაცხმყოფელი განცხადებების მოთმენას. შესაბამისად, პროკურატურის პარალელურად, თიბისი ბანკი აპირებს მოიკვლიოს და გადაამოწმოს ქოქოლაძის მიერ ბანკებიდან ადრე გამოყოფილი ფინანსური რესურსების „გადაქაჩვის“ ფაქტები სხვადასხვა, მისივე ან მასთან დაკავშირებული პირების კომპანიებში (მათ შორის, ტექნო ბუმში).

„ჩვენს მიერ მოკვლეული მასალები ასევე გადაეცემა პროკურატურას,“ – ამბობს სვანიძე, – „რაც შეეხება ბანკის მიერ აქტივების გასხვისებას, ეს პროცესი მუდმივად ხდება ბანკებში და თიბისი ბანკი გაასხვისებს თუ არა და რა ფასად გაასხვისებს საკუთარ აქტივებს, ეს მხოლოდ ბანკის გადასაწყვეტია. ამასთან, თუ ქოქოლაძის განცხადების გამო რომელიმე გარიგება ჩაიშლება, საფუძველი გვექნება მას ზარალის ანაზღაურება მოვთხოვოთ.“.

# ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა გაგრძელდება

## კობი–გუდაურის გზაზე ზვავსაცავ ზოლს აღადგენენ

შორენა მარსაგიშვილი

**ქვეყანაში ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობის გაგრძელება–არგაგრძელების თემაზე ცოტა ხნის წინ ურთიერთგამომრიცხავი აზრები ვრცელდებოდა. ამ თემაზე ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა საზოგადოებას უკვე გააცნო. თუმცა, საინტერესო იქნება, გზებისა და ზოგადად საგზაო სექტორის პერსპექტივებთან დაკავშირებულ საკითხებზე საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახალ თავმჯდომარესთან, ზაქარია ხუნძაყიშვილთან ინტერვიუ შემოგთავაზოთ.**



***– ბატონო ზაქარია როგორი იყო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ერთი თვე და რას გეგმავთ უახლოეს პერიოდში?***

– საკმაოდ შრომატევადი თვე მქონდა. პარალელურ რეჟიმში ვმუშაობდით წლის გეგმების სრულყოფილად შესრულებასა და ამავე დროს, მომავალი წლის გეგმების განსაზღვრაზე.

***– საკადრო ცვლილებებს გეგმავთ?***

– არა. ჩვენ ცვლილებების თემას სხვაგვარად ვუყურებთ. არის საკითხები, რომლებიც აფერხებს ამ სექტორის უფრო ეფექტურად განვითარების პროცესს და ცვლილებებს სწორედ ამ კუთხით ვაპირებთ. ჩვენ სუსტი ადგილების შესწავლისა და მათი გაძლიერების გზა ავირჩიეთ პირველივე ეტაპზე.

***– და სად აღმოაჩინეთ სუსტი ადგილები?***

– დეპარტამენტში საჭირო კადრების ნაკლებობა ძირითად სპეციალობებშია, რაც ძალიან ცუდი ფაქტია. ანუ გზების დეპარტამენტში საინჟინრო, საპროექტო, განსაკუთრებით ხიდებისა და ხელოვნური ნაგებობების სპეციალისტები ერთეულები არიან და ახალი კადრების ამ პროფილით განვითარებისათვისაც არანაირი პირობები არ არსებობს. ამ საკითხებზე ჩვენ მსოფლიო ბანკის მისიას წარვუდგინეთ ჩვენი წინადადებები, რაც გაითვალისწინეს კიდეც. სულ მალე, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, დეპარტამენტში, იმ ქართველ საგზაო ინჟინერ-ექსპერტებს მოვიწვევთ, რომლებიც კერძო სექტორში, უფრო ხშირად, უცხოურ კომპანიებთან მუშაობენ. სწორედ ისინი იმუშავებენ ახალგაზრდა მეგზევეების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ასევე, მოვიწვევთ საპროექტო მომსახურებისა და ფინანსისტ ექსპერტებს, რომლებიც პროექტებში მოცემული სტანდარტებისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის მონიტორინგს განახორციელებენ. სუსტი ადგილებია დეპარტამენტის ინსტიტუციურ მოწყობაშიც. ამიტომ, შევქმენით მრჩეველთა საბჭო, სადაც სექტორის ინსტიტუციურად გაძლიერების საკითხები განვიხილეთ.

***– რა ცვლილებებს გეგმავთ ამ კუთხით?***

– დეპარტამენტის ბაზაზე იქმნება გარემოს დაცვისა და განსახლების ახალი სამსახური, რომელიც საგზაო პროექტებში, გარემოზე ზემოქმედების ფაქტორების გათვალისწინებაზე იმუშავებს. განსახლების სამსახური კი გზების გაფართოვებისა და მშენებლობის პროცესში, ნაკვეთების იდენტიფიკაციისა და ქონების შეფასებისას უზრუნველყოფს, რომ მკაცრად იყოს დაცული როგორც სახელმწიფოს, ასევე, კერძო მესაკუთრეთა უფლებები. შეიქმნება ხიდების მენეჯმენტის განყოფილება, რომელიც ქვეყნის მასშტაბით ხიდების მდგომარეობის შესწავლასა და მონიტორინგს განახორციელებს. გაძლიერდება მოძრაობის უსაფრთხოების სამსახურიც. მსოფლიო ბანკთან შეთანხმებით ცვლილება შეგვაქვს სატენდერო პროცედურებში. კერძოდ, სატენდერო პაკეტში მოთავსებული ფინანსური დოკუმენტაცია, რომელიც გარკვეულ ეტაპზე საიდუმლოა, შეინახება არა დეპარტამენტის რომელიმე სეიფში, როგორც აქამდე იყო, არამედ, ბანკის საცავში. დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებული ავტომანქანები და ობიექტებზე მომუშავე მექანიზმები აღიჭურვება სპეციალური მოწყობილობით, რომლითაც შესაძლებელი იქნება სამუშაო გრაფიკის მონიტორინგი დეპარტამენტის გარეთაც. ვფიქრობთ გზების მოვლა-შენახვის სამუშაოებზე კომპანიებთან ხელშეკრულებების ვადების გაზრდას (შეიძლება გახდეს 3-4 წლიანი) რაც ადგილობრივ კომპანიებს საჭირო ტექნიკის შეძენისა და განვითარების საშუალებას მისცემს. ასევე, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს სრული თავისუფლება ექნებათ, თვითონ შეარჩიონ სამუშაოების პროცესში მათთვის მისაღები ქვეკონტრაქტორი ორგანიზაცია და არ დაელოდონ დირექტივას ან თანხმობას სახელმწიფო უწყებიდან. ისინი კონტრაქტით იღებენ ვალდებულებას სამუშაოები დათქმულ ვადაში, ხარისხიანად შეასრულონ და ჩვენთან მხოლოდ ამ ნაწილში იქნებიან ანგარიშვალდებულები.

***– როგორც ვიცით, ქართული კომპანიები საერთაშორისო პროექტებში უცხოური კომპანიების ქვეკონტრაქტორებად მუშაობენ ტენდერებში კი ვერ იმარჯვებენ. რა უნდა მოხდეს, რომ მათ უცხოელებს კონკურენცია გაუწიონ?***

– პირველ რიგში ტექნოლოგიურად გაძლიერება და სწორი მენეჯმენტი სჭირდებათ. ამ წლების განმავლობაში კომპანიები ძალიან დაზარალდნენ. წარმოიდგინეთ გზების მოვლა-შენახვის სამუშაოებზე მომუშავე კომპანიები ისე გაკოტრდნენ, რომ ტენდერებში მონაწილეობას ველარ იღებდნენ და ტენდერები იშლებოდა. ხშირად კომპანიები ზარალდებოდნენ იმითაც, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გრაფიკებზე ადრე სთხოვდნენ სამუშაოების დასრულებას, რაც დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ეს დრო დასრულდა და ვადების გაგრძელების საკითხი ვინმეს კეთილ ნებაზე არ იქნება დამოკიდებული. ხელშეკრულებებში მკაცრად იქნება განსაზღვრული თუ რა შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ვადების გაგრძელება და რა შემთხვევაში ამოქმედდება ჯარიმა ან სხვა უფრო მკაცრი სანქციები. ამავე დროს, იყო მეორე უკიდეურესობაც, ტენდერებში იმარჯვებდნენ კომპანიები, რომელთაც შესაბამისი ტექნიკა არ გააჩნდათ და შემდეგ, გრაფიკებით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოების დასრულება უჭირდათ, ამიტომ, გადასახედია მოქმედი კანონმდებლობაც. ვაპირებთ სატენდერო პირობებში ჩაიდოს მოთხოვნა გარკვეული ტექნიკური ბაზის აუცილებლობაზე. ამ კუთხით, შევქმენით სპეციალური კომისია, რომელიც გადის ყველა ობიექტზე და სწავლობს კომპანიების ტექნიკურ აღჭურვილობას. ასევე, გაძლიერდება ობიექტებზე სამუშაო პროცესის მონიტორინგი. გადაიხედება და უფრო სრულყოფილი გახდება კონტრაქტები, რომლებიც საზედამხედველო კომპანიებთან გაფორმდება. ზედამხედველებს მოეთხოვებათ დეპარტამენტს ყოველდღიურ რეჟიმში მოაწოდონ ფოტოებით დამოწმებული ინფორმაცია, თუ რა ფაზაშია სამუშაოები კონკრეტულ ობიექტზე.

***– ავტობანის მშენებლობა გაგრძელდება?***

– გაგრძელება და თანაც უპრეცენდენტოდ დიდი მასშტაბებით. წარმოიდგინეთ, 2013 წელს მაგისტრალის მომდევნო მონაკვეთებზე, სულ 100 კილომეტრ სამშენებლო გზაზე იქნება სხვადასხვა აქტივობა. აქედან, სამშენებლო სამუშაოები გვექნება ზესტაფონი-სამტრედიის, ქობულეთის შემოვლით, სამტრედია-ლანჩხუთის, თბილისის შემოვლით და რუისი-აგარის გზებზე. აშენდება სტეფანწმინდა-ლარსის გზაზე გველეთის ხიდი. რამდენიმე დღის წინ მივაღწიეთ შეთანხმებას მსოფლიო ბანკთან აგარაგომის შემოვლითი გზის მშენებლობის დაფინანსებაზე. ამ მონაკვეთის პროექტირება უკვე მიმდინარეობს და 2013 წელს მშენებლობა დაიწყება. მომავალ წელს დასრულდება ხაშური-რიკოთისა და ლანჩხუთი-გრიგოლეთის მონაკვეთის პროექტირება. ასევე, დაიწყება რიკოთი-ზესტაფონის მონაკვეთის წინასწარი პროექტის მომზადება. ერთი სიტყვით, ჩქაროსნული მაგისტრალის დასავლეთის მიმართულებას თითქმის მთლიანად მოვიცავთ და უახლოეს წლებში, მთელი მაგისტრალი ოთხზოლიანი, ცალმხრივი მოძრაობის გზა გახდება. გარდა ამისა, მომავალ წელს, 250 კილომეტრამდე გზის, 30 ხიდისა და კობი–გუდაურის გზაზე ერთი ზვავდამცავი გალერეის რეაბილიტაციაა დაგეგმილი. როგორც ხედავთ, საკმაოდ დატვირთული წელი გველის წინ და მინდა გითხრათ, რომ ყველა ობიექტზე სამუშაოები განხორციელდება ტექნოლოგიური სტანდარტებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკების მკაცრად დაცვით. ეს მიდგომა იქნება პრინციპული და მკაცრად მოვითხოვთ მაღალ ხარისხს. რაც შეეხება იმ კომპანიებს, ვინც ამ სამუშაოებზე იქნებიან დასაქმებული, ყველა საგზაო კომპანიას შეუძლია საკუთარი ბიზნესის განვითარებისათვის მათთვის მისაღები კავშირები დაამყარონ ნედლეულის თუ სხვა საშუალებების მომწოდებლებთან. მონოპოლიების ეპოქა დასრულდა და ისინი სამართლიან, კონკურენტუნარიან გარემოში გააგრძელებენ საქმიანობას.

## სასწრაფო დახმარების სამსახურის ავტოპარკი 100%-ით განახლდება

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსა და თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრ „112“-ის ხელმძღვანელობას შორის გუშინ შეხვედრა გაიმართა.

როგორც შეხვედრის შემდეგ ჯანდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, განიხილეს სამედიცინო ცენტრში არსებული პრობლემები, მათ შორის სამედიცინო პერსონალის შრომითი პირობების, ავტოპარკისა და ტექნიკური აღჭურვილობის გამართულობასთან დაკავშირებული საკითხები.

„ჩვენ ვაპირებთ სასწრაფო დახმარების სისტემაში ცვლილებების დაწყებას. გარკვეული ცვლილებები უკვე დაწყებული იყო და გვინდა გავაძლიეროთ. ამის მიზანია, რაც შეიძლება სწრაფად მივიდეს გამოძახების ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადა. იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება დაგვიანებები. ასევე, ბრიგადის მისვლის შემდეგ მაქსიმალურად კვალიფიციური და სწორი დახმარება უნდა მიიღოს პაციენტმა. ჩვენ უკვე გვაქვს გეგმა. არსებობს სამუშაო ჯგუფი. იმედი გვაქვს, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით სასწრაფო დახმარების სისტემა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება“, – აღნიშნა დავით სერგეენკომ.

მისივე თქმით, უკვე დაიგეგმა გარკვეული ღონისძიებები პრობლემების გადაჭრის მიზნით. არსებობს ორწლიანი სამოქმედო გეგმა და პროცესების მონიტორინგისთვის შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც სამინისტროს, ისე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები.

აღნიშნული მონიტორინგის ჯგუფის შექმნას სასწრაფო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელობაც მიესალმება. „გარკვეული პრობლემები არსებობს. დღევანდელი შეხვედრა სწორედ ამის გარკვევას ემსახურებოდა. დაიგეგმა მომავალი ღონისძიებები. უკვე ცნობილია, რომ შემდეგ წელს იგეგმება ხელფასების 20%-იანი ზრდა და ავტოპარკის 100%-ით განახლება. სამინისტროს აქვს თავისი ობიექტური ხედვა ჩვენს სისტემაში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით. ამიტომაც შეიქმნება კომისია, რომელიც არსებულ პრობლემატიკას შეისწავლის“, – განაცხადა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორმა გიორგი თოდუამ.

ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, რომ უახლოეს მომავალში ანალოგიური სამუშაო შეხვედრები რეგიონების სასწრაფო დახმარების ცენტრებსა და ოპერატორი კომპანიების წარმომადგენლებთან შედგება.

**ინტერპრესნიუსი**

# დენი თუ უდენობა, საკითხავი, აი, ეს არის!

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

**21-ე საუკუნისათვის ელექტროობა იგივეა, რაც გლეხისთვის მიწა და მეცნიერისთვის–ჭკუა-გონება. მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი საამაყო საკითხი დენის „მოტყვანა“ იყო. ბაბუ ედუარდის დროს უდენობას შეგუებული ქართველები აღტაცებით შევხვდით 24-საათიან, ესე იგი უწყვეტი ელექტროენერგიის მოწოდებას.**

წუთისოფელში ვის გაუხარია მიწყივ, ჩვენ რომ უწყვეტად გაგვეხარა დენით?! ჭაჭის არაყივით აუვარდა ფასი კილოვატებს, მერე ნაგავი ელექტროენერგიის საფასურს მიაბეს ნაგაზივით და დავიწყეთ საწუთროს ვალის გარდახდა!

დროდადრო ვაუჩერებს მოგვაწვდიდა ნაციონალური ხელისუფლება, აქაოდა, ხალხზე ზრუნვა ჩვენი საქმეაო. ამაზე ცალკე ვილაპარკებ ამ წერილის ბოლოს, მაგრამ მანამდე სხვა რამეს შევეხოთ.

ქალაქებსა და ზოგიერთ სოფელში დაასრულეს გამრიცხველიანება, ძირითადად ამას ,,საქენერგოპროჯორჯია“ აკეთებს, რადგან ეს კომპანია ქართულ ელექტრობაზარზე მთავარი მოთამაშეა. სადაც ,,სოჩიკები“ დააყენეს, ამოისუნთქა მოსახლეობამ. ძალიან ბევრგან ისევ კომუნალური მრიცხველებით მიმდინარეობს ელექტროენერგიის საფასურის ამოღება, რასაც მოსდევს ზემოთხსენებულ კომპანიის მესვეურების დედის ხშირი მოკითხვა, რადგან ზოგჯერ კილოვატსაათის ღირებულება მოსახლეობას სტანდარტულის ნაცვლად წარმოუდგენელი ფასი უჯდება, ზოგჯერ 1 კილოვატსაათი–1 ლარიც!

კომუნალური მრიცხველი ზოგჯერ 30 ან მეტი აბონენტის საერთო ხარჯს კრებს, მერე ,,პროჯორჯიის“ ,,დენის კაცი“ ქვითრებს აბონენტთა რაოდენობის მიხედვით გამოაგზავნის და თუ დროზე არ ჩააცუნცულეს აბონენტებმა გადასახადი, მიერთების საფასურს 2 ლარს უმატებენ ვალად და მომავალი თვის ანგარიშში აისახება კიდეც.

ნაგავმიბმულებმა ხმა საერთოდ არ უნდა ამოიღონ ხმა, აბა ნახეთ რას წერს კომუნალურ მრიცხველზე მიბმული აბონენტის კომუნისტებისდროინდელი ,,სტოჩნიკი“! კომუნისტებისდროინდელი მრიცხველი არასწორიაო, აქვთ ,,საქენერგოს“ მიერ რეკომენდირებული იმპულსური მრიცხველებიც აბონენტებს, მაგრამ მთავარია ტრანსფორმატორზე ტკიპასავით მიკრული მრიცხველი რას წერს! მერე საერთო ხარჯი ნაწილდება აბონენტთა რაოდენობაზე და იწყება წიწკვნა-გლეჯა მეზობლებში: შენ მეტს წვავ,მე-ნაკლებს, მე-,,ბეკოს“ მაცივარი მაქვს, შენი ,,ორსკია“ და ორჯერ მეტს მოიხმარსო!

ისე, როგორი მოსაწონია თუნდაც ის, რომ ნოემბერში იხდი ოქტომბრის ჩვენების მიხედვით გაწერილ ხარჯს? ან ის რად ღირს, რომ ერთიანი რეესტრიდან ვერაფრით ამოალებინებ ისეთ აბონენტებს, რომლებიც ბუნებაში ,,ვარდების რევოლუციამდეც“ რომ აღარ იყვნენ? არც ისე დიდი ხნის წინ ,,საქენერგოს“ სერვისცენტრს მივაკითხე და ვთხოვე, რომ ბაბო აბდუშელიშვილი მაინც ამოიღეთ რეესტრიდან, კაი ხანია, აღარ არის ამქვეყნად-მეთქი. გარდაცვალების ცნობა მოიტანეო. როგორ მივიტანდი, როცა ცხონებულს არავინ დარჩენია ამქვეყნად? მე კიდე აბდუშელიშვილის გარდაცვალების ცნობას ვინ მომცემს? იყოს რეესტრშიო, იტყვით, რას აშავებსო. კი,ბატონო, იყოს, მაგრამ მიცვალებულზე გადანაწილებულ ხარჯს ვინ და როდის გადაიხდის? მკვდრეთით მის აღდგომას რომ დაველოდოთ, ყოველთვიურად 2 ლარს კიდევ დაამატებენ დავალიანების გადაუხდელობისას და რომ მართლა აღდგეს მიცვალებული, რა პასუხი გავცეთ ცხონებულს?!

მოძველებული სადენები ხშირად ისეთ დღეში გვაგდებს, რომ სულ უდენობა სჯობია. არც ისე დიდი ხნის წინ მეგობრულ წრეში შევხვდი ეკონომისტ დემურ გიორხელიძეს, დავეკითხე: დიფერენციაცია არ შეიძლება ფასებისმეთქი? ფასები რეგიონების მიხედვით არ შეძლება იყოს განსხვავებული, შეიძლება– სეზონების მიხედვითო. აფსუს, რა ტყუილად გვაქვს იმერლებს ამდენი ჰესები!

მეგობრები სოციალურ ქსელებში ჩემს ,,დაგვიანებას“ ადვილად ხსნიან, დენი არ აქვს საწყალს ალბათო! არადა დენის უქონლობის მიზეზი ხან ქარია, ხან–თოვლი, ხანაც–წვიმა და ზოგჯერ–სიცხეც! ქარის დროს ,,ზამეკანიები“რთავს დენს, თოვლი, წვიმა და სიცხე კიდე ,,როლიკებში გარღვევებს“ პოულობს!

დავჯდები სტატიის ტექსტის ასაკრეფად და უცებ მოვარდება დიდი ძაბვის დენი, ან სულაც სული გაეპარება ვოლფრამის ძაფში–ეს კი საკმარისია კომპიუტერის გამოსართავად! აი, მაშინ თუ დასეივებული არ მაქვს ფაილი, ამ დროს მეორე უბნამდე მიდის ,,საქენერგოს“ გამოთქმითი ,,ხოტბის შესხმის“ ჩემეული ვერსია!

ვილაც იტყვის, რა გაგიჭირდა ერთი იუპიესის ყიდვაო. მქონდა, 130 ლარი იყო გადახდილი, 15-20 წუთს დენი ამორთვის მერეც მუშაობდა, მაგრამ ერთხელ იმხელა ძაბვის დენი მოვარდა, იუპიესი დაიწვა. დამწვარმა დენი მაინც გაატარა, დაწვა კომპიუტერის ელექტრონული კვების ბლოკი. ამას დაერთო ისიც, რომ სატელიტური სიგნალის გარდამქმნელიც დაიწვა, ნათურები ერთბაშად დასკდა შურიანი კაცის გულივით და ,,სამსუნგის“ ტელევიზორმაც ისეთი შავი კვამლი გამოუშვა, ,,ფეროს“ საკვამურები მონაგონია! 19,50 ლარის დენი დაიწვა ამ დროს ჩემს მრიცხველზე! თუმცა 20 ლარანი ვაუჩერი მქონდა სახელმწიფოსგან ნაჩუქარი. 0,50 ლარი წმინდა მოგება დამრჩენოდა, რატომ ამოვიღებდი ხმას? 50 თეთრი რას უშველიდა ამდენი მოერბოკვერცხებულ საოჯახო ტექნიკის რემონტს?! თურმე მთლიანად კომუნალურ მრიცვხელზე მიერთებულებს დაგვეწვა თუ რამე კაბელიანი გაგვაჩნდა! მხოლოდ ერთ მეზობელს გადაურჩა შავ-თეთრი ,,კორფუჯი“, რომელიც მოძველებულობის გამო საშვილიშვილოდ მივიწყებული ჰქონდათ.

,,პროჯორჯიას“ მინდოდა შევდავებოდი, მაგრამ ხარჯი ასწრებდა სარგებელს კიდევ და თავი გავანებე.

ამდენი იმიტომ ვილაპარაკე, ახალმა ხელისუფლებამ ფასი თუ არ დაუკლო კილოვატებს, ის მაინც მოგვიგვაროს, რომ 14-ის ნაცვლად უფრო მეტს არ ვიხდიდეთ და ნაგავსაც თუ ჩამოხსნის. ეს ოცნება თუ არა, ოცნების დასაწყისი მაინც იქნება...

# აჭარის ტელევიზია სასამართლო სხდომების გაშუქების უფლებას ითხოვს

გულიკო ბალაძე

**სააკაშვილის ხელისუფლებამ მასმედია შეზღუდა და სასამართლო სხდომების გადაღების უფლება ჩამოართვა. მიზეზი სასამართლოებში არსებული ვითარების დამალვა იყო. რა ჰქონდა დასამალი ნაციონალ ხელისუფლებასა და სააკაშვილს? – პოლიტიკური თუ ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირების ინტერესებში მოქცეული საქმეების თავის სასარგებლოდ წარმართვა და შესაბამისი განაჩენების გამოტანა.**




სასამართლო სააკაშვილისა და მისი ხელისუფლებისთვის გახდა არასასურველ ოპონენტებთან ანგარიშსწორების იარაღი, ბიზნესების მისაკუთრების საშუალება. ამ გზაზე მასმედია ზედმეტი გოლი იყო. სამართლიანი სასამართლოს უფლებისა თუ სხვადასხვა დარღვევების გამო საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მოქალაქეების საჩივრებით სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო გაივსო.

გარდა პოლიტიკური ოპონენტების დევნის მანიისა, ყველას ახსოვს, სააკაშვილის მიერ გამოცხადებულმა ნულოვანმა ტოლერანტობამ და მოწოდებამ, ადამიანებისთვის პირდაპირ ესროლათ, თუ ამის საჭიროებას ძალოვნები დაინახავდნენ, როგორი სისხლის გუბეები დააყენა თბილისის ქუჩებსა და მთლიანად საქართველოში.

სააკაშვილის ძალოვნების მიერ ქუჩებში უდანაშაულო ბიჭების ხოცვამ საზოგადოების დიდი გულისწყრომა და მღელვარება რომ გამოიწვია, ამის ვიდეოკადრები, ალბათ, არაერთ მედიასაშუალებას აქვს. მღელვარება სასამართლო პროცესებზეც გადადიოდა. მედია კი მას ასახავდა, რის გამოც ტელევიზიითა და პიარით ქვეყნის მართვას მიჩვეული ხელისუფლება მნიშვნელოვნად დაზარალდა – გამოჩნდა, რომ სასამართლო დამოუკიდებელი არ იყო და იგი პროკურატურის მეშვეობით აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან იმართებოდა.

ვიდეოგადაღება რომ არა, საზოგადოება ვერ იხილავდა, თუ არ ვცდები, გირგვლიანის საქმის მოსამართლე ჩემიას, რომელსაც სასამართლო დარბაზში ურეკავდნენ და კარნახობდნენ, როგორ უნდა წარემართა საქმე.

ამიტომ ნაციონალური ხელისუფლებისთვის დღის წესრიგში დადგა მასმედიის შეზღუდვა და სასამართლოებში ვიდეოგადაღებებისა თუ აუდიოჩაწერების აკრძალვა. არა მხოლოდ სასამართლო დარბაზებში, არამედ დერეფნებშიც კი აიკრძალა აპარატურით შესვლა და იქ ინტერვიუების ჩაწერა.

სამაგიეროდ, უშიშროების სამსახურები ზედმიწევნით იწერდნენ. მოსამართლისა და ადვოკატების მოსასმენად სად აღარ ამონტაჟებდნენ მოსასმენ აპარატებს, სასამართლო დარბაზში ადვოკატის მაგიდის ქვეშ, სასადილო თუ მოსამართლის ოთახში.

სასამართლოს ეზოში კი სპეციალური ჯგუფი მუშაობდა – ისმენდა, ამუშავებდა და ინფორმაციას გადასცემდა დაინტერესებულ უმაღლესი თანამდებობის პირებს. ამ აკრძალვებმა სასამართლოს მასმედია ჩამოაშორა, ხელისუფლებას კი ხელ-ფეხი გაეხსნა.

ახალი ხელისუფლების პირობებში გაჩნდა მისასალმებელი ინიციატივა, სასამართლო დარბაზებში მეოთხე ხელისუფლებად წოდებული მასმედიის დაბრუნების თაობაზე.

ჩვენი აზრით კი ნებისმიერ ჟურნალისტს უფლება უნდა ჰქონდეს, ღია და საჯარო სასამართლო პროცესს დააკვირდეს და ასახოს ის აუდიო თუ ვიდეოფირზე. თუ პროცესი დახურული იქნება, მაშინ გარკვეული აკრძალვაც გასაგები იქნება.

თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების" წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სასამართლო სხდომების მედიით გაშუქების ინიციატივა მეტ დაზუსტებას მოითხოვს.

– საქართველოს სასამართლოებში საქმის განხილვის საქვეყნოობის მნიშვნელოვან გარანტიებს ქმნის „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში ცვლილებების სახით მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა, რომლითაც მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გაშუქების უფლება ბრუნდება. წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი თანაბრად მნიშვნელოვანია სასამართლოს, მედიისა და საზოგადოების პასუხისმგებლობის გაზრდისა და დამოუკიდებლობისთვის. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სასამართლო სხდომების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება სასამართლო ხელისუფლებისთვის ხდება ვალდებულება და არა უფლება, რითაც სასამართლოს მიუკერძოებლობისა და კომპეტენციის საკითხი პირველხარისხოვანი და მაღალი სტანდარტის ხდება, – აცხადებს „ახალგაზრდა ადვოკატების" ლიდერი არჩილ კაიკაციშვილი.

„ახალგაზრდა ადვოკატების" შეხედულებით, წარმოდგენილმა საკანონმდებლო ინიციატივამ ჯეროვნად უნდა გადმოსცეს მედიის წარმომადგენელთა საქმიანობის ფარგლები სასამართლო სხდომაზე, რათა პროცესის მიმდინარეობისას არ მოხდეს მოსამართლის მუშაობის ხელშეშლა.

კანონპროექტში აღნიშნულია, რომ დაუშვებელია სასამართლოს მიერ დადგენილი წესით სასამართლოს შენობაში შესული პირებისთვის პირადი ნივთების, მათ შორის, მობილური ტელეფონის, კომპიუტერის, ფოტო, კინო, ვიდეო ან აუდიოსაშუალებების ჩამორთმევა, თუმცა, დაზუსტებას საჭიროებს, ასეთი ტექნიკური შესაძლებლობებით აღჭურვილ ჟურნალისტს აქვს თუ არა უფლება, სასამართლოს, მოსამართლის თანხმობის გარეშე, თავისუფლად მოახდინოს სასამართლო სხდომის გადაღება ანდა სასამართლო შენობაში აწარმოოს გადაღება-ჩაწერა თუ ტრანსლირება.

ამასთან, მკაფიო განმარტებას მოითხოვს ის შემთხვევაც, რა დროსაც, „თუკი სასამართლო პროცესში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, მედიასაშუალებებმა ისე უნდა გადაიღონ პროცესი, რომ ნაფიცი მსაჯულების ვინაობა და პერსონალური მონაცემები არ გაცხადდეს."

კანონპროექტში არაფერია ნათქვამი აკრძალვების დარღვევის შემთხვევაში სანქციების შესახებაც, მათ შორის იმ პასუხისმგებლობაზეც, რა დროსაც ნაწილობრივ და სრულად დახურული სხდომის პირობებში მხარეებს გადაეცემათ პროცესის აუდიო-ვიდეოჩანაწერი, ისინი წერილობით ადასტურებენ, რომ დაიცავენ გადაცემული ჩანაწერის კონფიდენციალობას, თუმცა, უცნობია, რა პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, თუკი რომელიმე მათგანი ნებსით თუ უნებლიეთ ახდენს გაუმჟღავნებლობის ვალდებულების დარღვევას.

– „ახალგაზრდა ადვოკატები" მნიშვნელოვან წინადადებად განვიხილავთ საზოგადოებრივი მაუწყებლის უფლებამოსილებას, შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის გადაღება, ჩაწერა და ტრანსლირება, ასევე ვალდებულებას, უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მოთხოვნისთანავე. მივიჩნევთ, რომ აღნიშნული მიდგომა, როგორც ზოგიერთი სამართლის სპეციალისტი პირიქით აღნიშნავს, არ არის დისკრიმინაციული, სხვა არხებს არ ამყოფებს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. პირიქით, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებსაც თანაბარი უფლება გააჩნია, მოახდინოს პროცესის გადაღება და ჩაწერა, რა დროსაც სამართლიანია, არხს დასაბუთებული ჰქონდეს კონკრეტული სხდომის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, – აცხადებენ ისინი.

„ახალგაზრდა ადვოკატები" გამოდიან ინიციატივით და პარლამენტს მიმართავენ, დაჩქარებული წესით მიიღოს ინიცირებული კანონპროექტი „აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ", რა დროსაც სასამართლო სხდომების გაშუქების თანაბარი უფლებამოსილება უნდა მიენიჭოს აჭარის ავტონომიაში აჭარის საზოგადოებრივ ტელევიზიასაც.

– ჩვენი აზრით, კანონპროექტში ასევე დასაზუსტებელია შეუზღუდველი უფლებამოსილების დეფინიციაც, რა დროსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი სასამართლო პროცესის გადაღებას, ჩაწერასა და ტრანსლირებას ახდენს. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, კონკრეტულად რა პრინციპით იმუშავებს საზოგადოებრივი მაუწყებელი სასამართლო სხდომების გაშუქებისას. გადაიღებს ყველა პროცესს, შერჩევით თუ რა კრიტერიუმებით მოხდება საზოგადოებრივი მაუწყებლის უფლებამოსილების განხორციელება, – განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა.

საქართველოს პარლამენტში „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში ცვლილებების ინიციატორი საქართველოს იუსტიციის სამინისტროა. აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის საკანონმდებლო ინიციატივა კი ბათუმის მაჟორიტარ დეპუტატს ეკუთვნის.

დღემდე მოქმედი წესით, „სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო, კინო, ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას ახორციელებს სასამართლო ან სასამართლოს მიერ უფლებამოსილი პირი. სასამართლოს შეუძლია გაავრცელოს თავის ხელთ არსებული სასამართლო პროცესის ფოტო, კინო და ვიდეოგადაღების მასალები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლო სხდომის სტენოგრაფირება და აუდიოჩაწერა დაიშვება სასამართლოს (მოსამართლის) მიერ დადგენილი წესით. ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს (მოსამართლის) მოტივირებული გადაწყვეტილებით".

ახალ საკანონდებლო ინიციატივას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი 20 დეკემბერს განიხილავს.

# დააღწევს თუ არა საქართველო თავს მომაკვდავი ერების სიას

მერი ნამორაძე

**დემოგრაფები შობადობის მატების ტენდენციის დაფიქსირებას საქართველოში პატრიარქის დამსახურებად მიიჩნევენ, თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ ეს შეუქცევადი პროცესი ვერ იქნება, რადგან, თუ ოჯახებს სახელმწიფოსგან სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა არ მოჰყვა, შობადობის მატების ტენდენცია ისევ კლებისკენ გადაიხრება. „ახალი თაობა" ამ პრობლემებთან დაკავშირებით დემოგრაფ გიორგი წულაძეს ესაუბრა:**

**გიორგი წულაძე:**

– შობადობის მატების ტენდენცია საქართველოში 2008 წლიდან შეინიშნება, მაგრამ უკვე მეორე წელია, ეს ტენდენცია კლებისკენ შეიცვალა. დემოგრაფთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ შობადობის მატება 2008-2010 წლებში ძირითადად პატრიარქის მოწოდებას და მის მიერ მესამე შვილის მონათვლის ინიციატივას მოჰყვა. ეს მოწოდებითი ფსიქოლოგიური სტიმული მხოლოდ დროებით იმუშავებს, თუ სახელმწიფომ არ განამტკიცა სხვა ღონისძიებებით. პატრიარქის მოწოდება იყო რეალურად სტიმულატორი და სამწუხაროდ, სახელმწიფოს ნაბიჯები ამ კუთხით არ გადაუდგამს. უსასრულო ვერ იქნება შობადობის მატება, ადრე თუ გვიან ისევ შესუსტდება და იმ ეფექტს ვერ იქონიებს, რაც ექნებოდა სოციალ-ეკონომიური სტიმულიც რომ დართვოდა ამას, ბუნებრივია, პატრიარქს და საპატრიარქოს ვერ მოვთხოვთ. უნდა გადაედგა ნაბიჯები სახელმწიფოს. სამწუხაროდ, სახელმწიფომ დღემდე ასეთი ნაბიჯი არ გადადგა, ჯერაც არ ჩანს, გადადგამს თუ არა.

დემოგრაფიული კვლევებიდან გამომდინარე, ზოგადი ტენდენცია ასეთია, ნაკლები ბავშვი იმიტომ ჩნდება, რომ ისტორიული განვითარების მანძილზე ოჯახმა განიცადა ტრანსფორმაცია და ქალს სურს ჰყავდეს იმდენი შვილი, რამდენიც არა წინაპარს ჰყავდა, არამედ რამდენის აღზრდასაც შეძლებს საზოგადოებრივ საქმესთან ერთად. მეორეა, მატერიალური, საბინაო თუ სხვა პრობლემები. ანუ ბავშვების ყოლის მოთხოვნილების შემცირება ხდება. თუ ჩვენი წინაპრები იმპულსურად იქცეოდნენ და ოჯახში აჩენდნენ იმდენ შვილს, რამდენის გაჩენასაც ქალი შეძლებდა, ეს პროცესი თანდათან იცვლება. აცნობიერებს ოჯახი, თუ რამდენი შვილი უნდა იყოლიოს. კიდევ სხვა ცვლილებებია – ქალის ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში, ოჯახიდან ქალის გამოსვლა, რაც ამცირებს მის მისწრაფებას ბავშვების ყოლისადმი. რაც დრო გადის, ორიენტაცია აღებულია ბავშვების კლებაზე ოჯახში.

***– შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი რამდენს შეადგენს?***

– ჯამობრივი კოეფიციენტი გულისხმობს სიცოცხლის განმავლობაში გაჩენილი ბავშვების რაოდენობას. 2011 წელს ოფიციალური სტატისტიკით, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი რომ დავამრგვალოთ, 10 ქალზე მოდიოდა 17 ბავშვი. თუ 2009 წელს 10 ქალი აჩენდა 19 ბავშვს, 2010 წელს ეს ციფრი შემცირდა 18-მდე, 2011 წლისათვის შემცირდა 17-მდე. თუ ავიღებთ მონაცემებს მეცნიერული შეფასებიდან გამომდინარე, თუ 10 ქალზე 23 ბავშვი მოდიოდა, დაიკლო და 2011 წელს დავიდა 21-მდე.

***– ასეთი ტენდენცია გულისხმობს იმას, რომ მომაკვდავი ერების ნუსხიდან ჩვენ ვერ ამოვალთ?***

– მე თუ მკითხავთ, ბოლო წლებში ჩვენთან მოხდა ჩვეულებრივი დემოგრაფიული განვითარებიდან ამოვარდნა, ვგულისხმობ პატრიარქის ინიციატივის შემდეგ შობადობის მატების ტენდენციას. ასეთი ამოვარდნა უსასრულო ვერ იქნება, თუ არ იქნა აქტიური ზომები მიღებული. გაეროს ყველა პროგნოზიდან და ჩვენი პროგნოზითაც საქართველოში 10 ქალზე უნდა მოდიოდეს 21 ბავშვზე ცოტა მეტი მარტივი აღწარმოებისთვის. ჯერჯერობით ასეთი სიტუაცია შეფასებითი მონაცემით არის. მაგრამ 2015 წლისათვის და გაეროს წინასწარი მონაცემებით და ჩვენი გათვლებითაც მოვხვდებით თაობათა განახლების ზღვარს ქვემოთ. ესე იგი, მომდევნო თაობა წინაზე უფრო ნაკლები აღმოჩნდება. ტენდენცია აქეთ მიდის. რაც შეეხება მომაკვდაობას, ასე თუ ვიმსჯელებთ, ყველა ერი მომაკვდავია. ამას წინათ გაეროს ჟურნალისტმა მითხრა, თბილისი შეტანილია მომაკვდავი ქალაქების ნუსხაშიო. რა ეტყობა თბილისს იმისა, რომ მომაკვდავია? ერთ-ერთმა ფრანგმა დემოგრაფმა საუკუნის წინ თქვა, შეიძლება დადგეს მომენტი, დემოგრაფიული განვითრებიდან გამომდინარე, როცა კაცობრიობა ამოწყვეტის წინაშე დადგესო. გააჩნია, დემოგრაფიული განვითარება როგორ მიდის.

***– როდიდან შეწყდა თაობათა განახლების პროცესი საქართველოში?***

– 1991-92 წლიდან შეწყდა ეს პროცესი. უპრეცედენტოა ის, რაც 2008 წლიდან მოხდა საქართველოში, მაგრამ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება ის, რაც პატრიარქის დამსახურებაა. ცხოვრებას თავისი მიაქვს.

***– მეორე შვილის ყოლის მოთხოვნა კვლავ იკარგება ქვეყანაში?***

– თუ არ ჩავთვლით ბოლო 2-3 წელს, ზემოთ დასახელებული მიზეზის გამო, შეიძლება ითქვას, რომ იკარგება. ეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ხდება. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ძალიან მაღალი შობადობით გამოირჩეოდა აზერბაიჯანი, მერე – სომხეთი, შემდეგ ჩვენ ვიყავით. ახლა თუ ავიღებთ და შევადარებთ, დიდი განსხვავება აღარ არის. ეს დემოგრაფიული განვითარების ზოგადი ტენდენციაა.

***– შვილის ყოლის გადავადების მიზეზებზე რას გვეტყვით?***

– 80-იან წლებში როცა ვატარებდით კვლევას, მაშინ პირველ ადგილზე მიზეზთა შორის იყო ჯანმრთელობის მდგომარეობა. დაახლოებით ყოველ მეოთხე ქალს უნდოდა ბავშვის ყოლა, მაგრამ ვერ აჩენდა რაღაც მიზეზის გამო. განსხვავება შეადგენდა 10 ქალზე 5 ბავშვს. თუ უნდოდა 25 ბავშვის გაჩენა 10 ქალს, მიზეზთა გამო კარგავდა 5 ბავშვს. მეორე ადგილზე მოდიოდა მატერიალური პრობლემები, საბინაო პრობლემები და ასე შემდეგ. რამდენიმე წლის წინ ჩატარებულმა კვლევებმა კი აჩვენა, რომ ჯანმრთელობის პრობლემები ჩაანაცვლა მატერიალურმა მდგომარეობამ. მეორე ადგილზე გადავიდა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

***– ქორწინების ასაკი რამდენად ახდენს გავლენას შობადობის მატება-კლებაზე?***

– 1990 წელს მამაკაცთა ქორწინების საშუალო ასაკი იყო 29 წელი, ქალის – 25. შემდეგ დაიწყო კლება. ერთ დონეზე გაჩერდა 1994-95 წლებში, მერე ისევ დაიწყო მომატება. თუ ავიღებთ 2011 წლის მონაცემს, 30 წლამდე ავიდა მამაკაცის ქორწინების ასაკი, ქალის – 27 წლამდე. ეს იმდენად არ ახდენს შობადობაზე გავლენას, რადგან დემოგრაფიაში ყველაზე ნაყოფიერ ასაკად მიიჩნევა 20-24 და შემდგომი ასაკობრივო ჯგუფი – 25-29 წელი, საუბარია ქალზე. საბედნიეროდ, ეს ნორმა საქართველოში შერჩენილია, რომ მეორე შვილი შეიძლება გადაავადონ, მაგრამ პირველ შვილს ყველა აჩენს ქორწინებიდან უახლოეს მომავალში.

***– ესე იგი პირველ შვილზე კვლავ დიდი მოთხოვნაა!***

– პირველ შვილზე მოთხოვნა არ დაკარგულა და ეს კარგი ტენდენციაა. აი, მეორე შეიძლება გადაავადონ, მით უფრო – მესამე.

# ვინ უნდა იყოს თეატრში პირველი პირი?

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აგრძელებს ტრადიციას და კვირაში ერთხელ მრგვალ მაგიდას აწყობს იმ თემებთან და საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ქართული საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კულტურის სამინისტროში გასულ კვირას ორი მრგვალი მაგიდა ჩატარდა, ერთი ეროვნულ ლატარეას მიეძღვნა, ხოლო მეორე – კანონპროექტს „საქართველოს სახელმწიფო თეატრების შესახებ“. პირველი მრგვალი მაგიდის გარშემო შეკრებილებმა განიხილეს საქართველოს ეროვნული ლატარიის, კერძოდ, ლატარიის რეალიზებიდან შემოსავლის შესაძლო სამომავლო განაწილების საკითხი კულტურისა და სპორტის სფეროების ხელშეწყობისა და განვითარებისთვის. განხილვის მიზანს წარმოადგენდა, რეკომენდაციების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა. შეხვედრას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, საქართველოს ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და იუსტიციის სამინისტროების, ასევე საქართველოს ფოსტის წარმომადგენლები და ხელოვანები ესწრებოდნენ.

საკმაოდ ხმაურიანი და ხანგრძლივი აღმოჩნდა მეორე მრგვალი მაგიდა, რომლის დროსაც თეატრალებმა კანონპროექტზე „საქართველოს სახელმწიფო თეატრების შესახებ“ იმსჯელეს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით შეხვედრაზე განიხილა შესაძლო ცვლილებები კანონში „სახელმწიფო თეატრების შესახებ“. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ შემუშავებულ კანონპროექტზე იმსჯელეს კულტურის კომიტეტის წევრებმა, თეატრების მმართველებმა, რეჟისორებმა, თეატრმცოდნეებმა და მსახიობებმა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი და მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი.

როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, ახალი კანონის თანახმდ უქმდება მმართველის ინსტიტუტი და მართვის სადავეები მთლიანად სამხატვრო ხელმძღვანელის ხელში გადადის. ის იქნება პასუხისმგებელი როგორც საფინანსო საკითხებზე, ასევე თეატრის რეპერტუარის დაგეგმვაზე. ცვლილებთა პაკეტი სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევის წესსაც განსაზღვრავს. ყველა სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს სპეციალური საინიციატივო საბჭო წარადგენს და საუკეთესო კანდიდატურას უკვე კულტურის სამინისტრო ექსპერტთა ჯგუფთან ერთად დაამტკიცებს. ამ საკითხზე თეატრალების მოსაზრებები ორად გაიყო და საკმაოდ ცხარე კამათიც გამოიწვია. მსჯელობა ამ საკითხზე უკვე ორ კვირაზე მეტია მიმდინარეობს. კულტურის სამინისტროში მისვლამდე თეატრალები კინომსახიობთა თეატრში შეიკრიბნენ და ახალ კანონპროექტზე იმსჯელეს. კამათი და მსჯელობა მომავალშიც გაგრძელდება და მანამდე არ დასრულდება, სანამ ეს კანონი სრულყოფილ სახეს არ მიიღებს. თუკი ახალი კანონი ძალაში შევიდა, თეატრის მმართველებს პოსტების დატოვება მოუწევთ.

შეხვედრაზე დაისვა ასეთი საკითხიც – თუ მისულა ვინმე კულტურის სამინისტროში და უსაუბრია კულტურის მინისტრთან თეატრების შესახებ, რასაც აკაკი ხიდაშელმა უპასუხა და განაცხადა, რომ ის არაერთხელ ყოფილა კულტურის სამინისტროში ყოფილ მინისტრთან ნიკოლოზ რურუასთან და დაამატა:

– გამსახურდიას მომხრეობის გამო რომ გამათავისუფლეს და ჩემთან ერთად კიდევ სხვებიც რომ გაათავისუფლეს, რომელ კულტურის მინისტრთან მიხვედით, ხუთი თუ ექვსი გამოიცვალა მას შემდეგ?!

ხმაური და დაპირისპირება კვლავ კულტურის მინისტრმა განმუხტა და განაცხადა, რომ არ არის საჭირო პირადი საკითხების განხილვა ამ შეხვედრაზე. დავა და კამათი დიდხანს გაგრძელდა, თუმცა როგორც თეატრის მესვეურებმა განაცხადეს, ეს ისეთი საკითხია, რომელზეც აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იქნება.

**გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:**

– ჩვენი შეხვედრის მთავარ მიზანს ერთმანეთისთვის აზრების გაცვლა წარმოადგენდა. ჩვენ ვისაუბრეთ იმ ცვლილებებზე, რომელიც ახალ კანონში უნდა შევიდეს, განვიხილეთ ისიც, რატომ გვინდა ცვლილებები და როგორი ცვლილებები გვინდა. აქ არის განსხვავებული შეხედულებები, თუმცა ეს დაპირისპირებას არ ნიშნავს. თუკი მე რამე არ მომწონს, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ აგიხსნათ, რატომ არ მომწონს. ჩვენ უნდა მივიდეთ საერთო აზრამდე და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება. ამ მრგვალ მაგიდაზე ცხარე კამათიც ვიხილეთ, მაგრამ აზრთა გაცვლა ვნახეთ და სწორედ აზრთა სხვადასხვაობიდან გამოდის გუნდური დასკვნები, რომ თეატრალური ცხოვრება გახდეს უფრო საინტერესო, მნიშვნელოვანი და არც შეიძლება მეტი კარგი სპექტაკლი ვნახოთ საქართველოს თეატრებში. ეს პრაქტიკა ჩვენთან გაგრძელდება და ჩვენ ყოველთვის მივიღებთ გუნდურ გადაწყვეტილებებს.

**ალექსანდრე მარგიშვილი, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე:**

– ამ საკითხთან დაკავშირებით ნამდვილად არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ისევე როგორც ჩვენს უახლოეს ისტორიაში არსებობს გამოცდილება შეთავსების ან განცალკევებისა სამხატვრო ხელმძღვანელის და მმართველის ფუნქციებთან დაკავშირებით. ამ თემასთან დაკავშირებით ჩვენ მოვაწყეთ მრგვალი მაგიდა, სადაც მოვიწვიეთ როგორც თეატრალები, ასევე ყველა დაინტერესებული პირი, რომ მათ ემსჯელათ და მათგან გაგვეგო როგორ სჯობს სახელმწიფო თეატრებში იყოს მმართველისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ფუნქციები გადანაწილებული. აქვე მინდა განვმარტო, რომ პროექტი პლენარულ სხდომაზე წარდგენილი არ იყო, აქ იყო საუბარი მონახაზზე და მის განხილვაზე პროფესიულ წრეებში. კულტურის სამინისტროსაც გააჩნია თავისი მოსაზრებები ამ პროექტთან დაკავშირებით. ეს მხოლოდ სამუშაო რეჟიმია და კენჭისყრაზე ლაპარაკი ზედმეტია. კარგად გვესმის, რომ მრგვალი მაგიდაც კი არ იქნება საკმარისი, საჭიროა ცალკეული კონსულტაციების გავლა სხვადასხვა ჯგუფებთან. ალბათ საგაზაფხულო სესიაზე მზად იქნება პროექტი და შემდეგ გავიტანთ პლენარულ სხდომაზე.

**აკაკი ხიდაშელი, მსახიობი:**

– იმდენად დრაკონულია შემოთავაზებული კანონი, რომ კამათის საფუძველს კი არ იწვევს მხოლოდ, არამედ აღშფოთების. ეს ყველაფერი სერიოზულად შეშფოთების საფუძველს გვაძლევს. არ ვიცი საიდან დავიწყო და რა ვთქვა, თუ ნაციონალებისთვის სამაგიეროს გადახდა იმაში გამოიხატებოდა, რომ მეორე უკიდურესობაში გადავვარდნილიყავით, უკვე აღარ ვიცი. რადგან „ნაციონალების„ ხელში წინ წამოიწია მმართველის ინსტიტუტმა, ახლა თქვენ მეორე უკიდურესობაში გნებავთ გადახვიდეთ. იქნებ ეს ორივე მხარე რალაცნაირად დავაბალანსოთ. ამ კანონით თქვენ აღზევებთ სამხატვრო ხელმძღვანელს და თრგუნავთ დანარჩენ რეჟისორებს. ჩვენ გვჭირდება არა რამდენიმე სამხატვრო ხელმძღვანელი, არამედ ჩვენ გვჭირდება არმია რეჟისორებისა, რომ ვიმუშავოთ. რატომ გვავიწყდება, რომ ორი შედევრის – „რიჩრდს მესამისა“ და „კავკასიური ცარცის წრის“ დადგმის დროს თვითონ სტურუა არ იყო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, თავად მიხეილ თუმანიშვილი, როცა დადგა „ჭინჭრაქა“, „ესპანელი მღვდელი“ და „ანტიგონე“ არ იყო სამხატვრო ხელმძღვანელი. არც ერთი არ იყვნენ სამხატვრო ხელმძღვანელები. მაშინ იყო კოლეგია, რომელსაც სათავეში ედგა დოდო ალექსიძე.

**ავთო ვარსიმაშვილი, რეჟისორი:**

– რაც არ უნდა ვილაპარაკოთ, ასე თუ ისეა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, თქვენ ვერ დაასახელებთ მსოფლიოში ვერც ერთ კარგ თეატრს, რომელსაც სათავეში არ უდგას სამხატვრო ხელმძღვანელი. თქვენ ვერ დაასახელებთ ვერც ერთ პერიოდს ნებისმიერი თეატრისას, რომელსაც არ უდგას



სათავეში სამხატვრო ხელმძღვანელი. ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი და ქედს ვიხრი დირექტორების წინაშე, რომლებსაც მართლაც ძალიან დიდი ჯაფა ადგათ, როდესაც თეატრებს მართავენ, მაგრამ ავტორიტეტები არიან მაინც სამხატვრო ხელმძღვანელები და არა უბრალოდ დირექტორები. იმ პერიოდში, იმ ხელისუფლებას სჭირდებოდა, რომ ტოტალურად მომხდარიყო ამ ავტორიტეტების გაუქმება, ამიტომ მოყვა ამას ასეთი ხმაური. მაგრამ ჯერ დაიწყეს აკადემიურების გათიშვით, შემდეგ გაუსწორდნენ ავტორიტეტებს, სამხატვრო ხელმძღვანელებს და საბოლოოდ მივიღეთ ის კანონი, რაც დღეს გვაქვს.

**გოგი ქავთარაძე, რეჟისორი, თეატრის მოღვაწეთა კავშირის ხელმძღვანელი:**

– ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია ეს ხმაური და აურზაური. რა საჭიროა ამდენი შეხლა-შემოხლა? წესია, რომ თეატრში პირველი კაცი უნდა იყოს სამხატვრო ხელმძღვანელი და მას უნდა ჰყავდეს დირექტორი. მათ ერთად უნდა დადგან კარგი სპექტაკლი, რომ ჰყავდეთ მაყურებელი და იმუშაონ ნაყოფიერად. ამას ბევრი მტკიცება და კამათი არ სჭირდება.

**კახა ბაკურაძე, მოძრაობის თეატრის ხელმძღვანელი:**

– აბსოლუტურად აპოლიტიკური ადამიანი ვარ, არც ერთ პარტიას არ ვეუკუთვნი, არავისტი არ ვარ, რეალურად ვარ პანტომიმისტი. თეატრი არის ის ორგანიზმი და ის ადგილი, სადაც კანონები ძალას კარგავენ. ჩვენთან კანონები დარღვეულია, გვაქვს მხოლოდ ერთი კანონი, რომელსაც არასოდეს ვარღვევთ, ეს არის ადამიანური ურთიერთობა, შეგნება, შემოქმედებითი პროცესები, ურთიერთობა, ახალი მიგნებები. თუკი ამას ვინმე ჩარჩოებში ჩასვამს, იძულებულები ვიქნებით, ეს ჩარჩოები დავამსხვრიოთ.

**დიმა ჯაიანი, მსახიობი:**

– სიტყვა მმართველზე ტანში მზარავს, ცუდად ვხდები. სიტყვა მმართველი არ ახსენოთ, გეხვეწებით რა. ეს სიტყვა ბოლო 8 წ;ლის განმავლობაში დამარხულ ქართულ თეატრს მახსენებს. სხვა რაც გინდათ ის სიტყვა მოიგონეთ. ზოგიერთი ჩემი ახალგაზრდა კოლეგა არხეინადაა, ისე ლაპარაკობს რობერტ სტურუაზე, თითქოს ყოველი მეორე რობერტ სტურუაა. ეს საუკუნეში ერთხელ ხდება და თუკი ეს იცით, ისე უნდა იცოდეთ, როგორც საჭიროა. პოლიტიკური ნიშნით გააგდეს კაცი! კანონს ალბათ მოევლება, მაგრამ მთავარია მოევლოს რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძეს, არ შეიძლება ამხელა რეჟისორი არ ზრდიდეს რეჟისორებს და არ ხელმძღვანელობდეს რომელიმე თეატრს. არ შეიძლება ამხელა ნიჭი რუსეთში იყოს გაფანტული. მე მაქვს პრეტენზია, პოლიტიკური ნიშნით გაგდებული კაცი უნდა ვიყო პოლიტიკური ნიშნით უკან დაბრუნებული!

**ქეთი დოლიძე, რეჟისორი:**

– არაფერი საჩხუბარი და გასაყოფი არ გვაქვს, ძალიან ვიწრო წრე შევიკრიბეთ და ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ. მმართველი უნდა იყოს გენერალური მენეჯერი, არ უნდა ერქვას მენეჯერი. როგორც კი გვესმის მმართველი, იმ წუთას გვიჩნდება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ვიღაც გვმართავს. 2006 წლის კანონით ნაციონალებს უნდოდათ, რომ გარკვეულ ადამიანებზე ჰქონოდათ ზემოქმედება და მათ გადაეწყვიტათ ერთპიროვნელად მნიშვნელოვანი საკითხები. ზოგმა თეატრმა ცუდად თუ კარგად რალაცნაირად აქედან გამოძრომა მოახერხა. ბევრ თეატრში იქნა მოსხნილი და გაგდებული ზუსტადაც პოლიტიკური ნიშნით ადამიანები. ახლა საჭიროა დაიხვეწოს ეს კანონი, პროცესების წარმმართველი თეატრში უნდა იყოს სამხატვრო ხელმძღვანელი დასთან, მსახიობებთან, კომპოზიტორთან, მხატვართან ერთად. მმართველი არ უნდა ერქვას ადამიანს, რომელიც მენეჯმენტს განაგებს. მთელი მსოფლიოს პრაქტიკა მოწმობს, რომ სამხატვრო ხელმძღვანელი თეატრში აუცილებლად საჭიროა. ყველა კარგი თეატრი, ყველა კარგი ორგანიზაცია არის მართული ადამიანის და მისი თანამოაზრეების მიერ.

**ნინო ბურდული, მსახიობი:**

– ახლანდელ კანონში კონტრაქტს დებს სამხატვრო ხელმძღვანელი, ფინანსურ დოკუმენტს ხელს აწერს დირექტორი. ეს არ არის სწორი. ეს კანონი იცით რატომ არ მომწონს? ეს არის დაბრუნება ბრეჟნევის დროინდელ საბჭოთა კავშირის კანონებთან, რომელიც გამართული მაინცდამაინც არ იყო.

**ნუკრი ქანთარია, რეჟისორი:**

– განხილვა და ეს მრგვალი მაგიდა ნამდვილად სასარგებლოა. ვნახოთ, ეს კანონი კიდევ შეიცვლება და დაიხვეწება, ეს არის კანონპროექტი, მთავარია, რომ პროცესი დავიწყეთ და ვიცით, რომ უცებ არ დამთავრდება. სამხატვრო ხელმძღვანელი იქნება საერთო ხელმძღვანელი და შემოქმედებითი საქმის განმსაზღვრელი, ხოლო ტექნიკური დირექტორი იქნება ტექნიკური მმართველი თუ რა სახელიც ექნება, ამაზე ჯერ კიდევ შეგვიძლია ვიდაოთ, ის გაუძღვება თეატრის ადმინისტრაციულ და ფინანსურ საქმიანობასეს. ჩვენ გვინდა ყველას მოვუსმინოთ და საინტერესო მოსაზრებები გავითვალისწინოთ.

**ეკა მაზმიშვილი, მარჯანიშვილის თეატრის მმართველი:**

– ნებისმიერი კანონი მაქსიმალურად თავისუფლებას უნდა ანიჭებდეს ნებისმიერ შემოქმედებით ორგანოს. მაქსიმალური თავისუფლების განვითარებისთვის ეს აუცილებელი პირობაა. ამ შემთხვევაში ამ კანონში ამას ვერ ვხედავ. მმართველების საკითხზე კი გეტყვით, რომ კანონში მმართველების შესახებ არანაირი ცვლილება არ არის. იმ მოსაზრებას, რომ მმართველებმა არ გაამართლეს და კანონი იქმნება ამის გამო, ვერ დავეთანხმები. სიტყვა მმართველი იცვლება სიტყვა დირექტორით და ინიშნება კულტურის სამინისტროს მიერ სამხატვრო ხელმძღვანელის წარდგენით. სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მაღელვებს რა მერქმევა, დარწმუნებული ვარ ასე იქნება სხვა მმართველებისთვისაც. ამ კანონით მმართველთან დაკავშირებული სიტუაციის მოგვარებას ნამდვილად ვერ ვხედავ.


## SMS-განცხადებები - 3090

❖ მუხრან-თელეთში, თბილისიდან 25კმ-ში, 275კვ.მ. საცხოვრებელ სახლი, 600კვ.მ მიწის ნაკვეთით, ბუნებრივი აირით და საკუთარი წყლით (გასაკეთებელია ვერანდის მოაჯირები და სველი წერტილი). ფასი 25.000 დოლარი. შესაძლებელია განვადება: ჯერ 18.000 დოლარი და 500 დოლარი ყოველთვიურად. ტელ.: 599-72-27-48. გია.

● ცენტრალური გათბობა უმოკლეს დროში (2-3 დღე). საუკეთესო ფირმების, ანუ „ბოშისა“ და „არისტონის“ ქვაბებით, საუკეთესო მასალით, გარანტიითა და ობიექტური ფასებით. მალაზიისა და ბაზრის პრეისკურანტებით. ტელ: 595-67-82-62: 267-82-62, ემზარ ამნიაშვილი.

## უფუნ[ფლტ,ტ,ბ

● ოსტეოქონდროზის, ძლიერ დაქვეითებული სმენის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. გადახდა განკურნების შემდეგ. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული და დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# სამეული ისევ იგებს



## დინამო (თბ) _ ზუგდიდი 2:0

**თბილისი. დინამო არენა**

*1:0 ჩისკო (32), 2:0 დვალი (36)*

**დინამო:** ლორია, სეთურიძე, გ.კვარაცხელია, ხიზანეიშვილი, რეხვიაშვილი, ძარია, ხმალაძე, ალვარო, მერებაშვილი (კოტო 70), ჩისკო (ხოჭოლავა 90), დვალი (ნ.კვეკვესკირი 89)

**ზუგდიდი:** ძაგანია, აფაქიძე, გამეზარდაშვილი, თოდუა, აკობია, ტყემალაძე (გუგუჩია 81), სიხარულია, დ.ბოლქვაძე (კუტალია 66), კოშკაძე, გაბედავა, ქობალია

„დინამომ“ მე-10 საშინაო მატჩი მოიგო და ერთადერთი ქულადაუკარგავი გუნდია. თუმცა, ამჯერად მასპინძლები მოკრძალებულ ანგარიშს დასჯერდნენ.

მეტოქე „დინამოს“ არცთუ იოლი ჰყავდა. ზუგდიდელები მიმდინარე სეზონში კარგად გამოიყურებიან, თუმცა უფრო საშინაო მატჩებში. ამჯერად „ზუგდიდი“ ფრთხილად თამაშობდა, უფრო კონტრშეტევების იმედად იყო, მაგრამ არც ეს გამოუვიდა. რამდენჯერმე ფლანგიდან მწვავედაც შეუტიეს, თუმცა ან მეკარე გიორგი ლორია ეუფლებოდა ბურთს, ან მცველებს გამოჰქონდათ ბურთი. განსაკუთრებული ხიფათი მასპინძელთა კართან არ იქმნებოდა.

„დინამო“ ფლობდა უპირატესობას და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა: ჯერ ჩისკომ ახლოდან ააცილა, დვალსაც გაუცუდდა შანსი, როცა თითქმის პირისპირ დარჩენილმა უზუსტოდ დაარტყა.

32-ე წუთზე გოლი მაინც გავიდა: გიორგი მერებაშვილმა ჯარიმა უცებ გაითამაშა, ჩისკოს გაუკეთა პასი და ესპანელმა ბომბარდირმაც შორეულ კუთხეში დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0.

მალევე, გიორგი სეთურიძემ მშვენიერი დრიბლინგი წამოიწყო მარჯვენა ფლანგზე, გზად სამი ზუგდიდელი მოატყუა და ჯაბა დვალს გადააწოდა, რომელმაც ტექნიკური დარტყმით 2:0 გახადა ანგარიში.

მეორე ნახევარში ტემპი შედარებით დაბალი იყო. „ზუგდიდმა“ დაახლოებით 70-ე წუთიდან მოუმატა თამაშს. ერთ მომენტში ლორიამ კოშკაძის სახიფათო შეტევა გაანეიტრალა, ხოლო რამდენიმე წუთში ლევან კუტალია აქტიურობდა, ახლოდან ურტყამდა და მცველები გადაეღობნენ.

„ზუგდიდი“ შეტევებზე გადავიდა, „დინამო“ კი სივრცეებით ვერ სარგებლობდა. ბოლოს სტუმრებს ჰქონდათ კიდეც გატანის შანსი, თუმცა გიორგი გაბედავას საჯარიმოდან დარტყმული ძელს მოხვდა, ალექსანდრე კოშკაძემ კი ააცილა.

### მატჩის შემდეგ:

**ელგუჯა ქომეთიანი:**

– პირველი ტაიმი ცუდად ჩავატარეთ, მეორეში კი ვცადეთ გამოსწორება და უკეთაც ვითამაშეთ. სამწუხაროდ, მარცხი ვერ ავიცილეთ თავიდან. ფინანსურ სიტუაციას რაც შეეხება, დაგვპირდნენ, რომ 25 დეკემბრამდე გაგვისტუმრებენ დავალიანებას.

**დუშან უჰრინი:**

– პირველ ტაიმში კარგად ვაკონტროლებდით ბურთს და „ზუგდიდს“ შანსი არ მისცემია, მეორე ტაიმში კი მოვდუნდით და მეტოქეს შანსები მიეცა. მთავარია, რომ პირველ ადგილზე ძველებური უპირატესობით დავრჩით და ასევე, გოლი არ გავუშვით. რაც შეეხება მერებაშვილის ტრავმას, ჯერ ვერ გეტყვით, რამდენად სერიოზულია. ხვალ იტყვიან ექიმები.

## ზესტაფონი _ სიონი 1:0

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

*1:0 იელიჩი (90)*

**ზესტაფონი:** რ.კვახაძე, კაჭკაჭიშვილი, თევდორე გრიგალაშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი, ღონღაძე, იელიჩი, მენთეშაშვილი, აფციაური (ბენაშვილი 66), ბაბუნაშვილი (წინამძღვრიშვილი 77), მილხრაუმი, ბოტი გოა

**სიონი:** ბობლიაშვილი, მაჭავარიანი, ლომაია, უგრეხელიძე, ჩიკვილაძე, ნემსაძე, მანწკავა (ქუცურუა 59), თარხნიშვილი, ჭედია (ჯოჯუა 74), ისიანი (ფეიქრიშვილი, 55) ჯიქია

მატჩი კახა კაჭარავასთვის სადებიუტო მატჩი გახლდათ ზესტაფონელთა დამრიგებლის თანამდებობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მოედანზე ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გასული მასპინძლები სერიოზულად მოეკიდნენ მათ წინაშე დასახულ მნიშვნელოვან ამოცანას და ბოლნისელთა დაცვის ხაზს მრავალი სანერვიულო შეუქმნეს. ერთმანეთის მიყოლებით გოლის გატანის შესაძლებლობები ბოტი გოას (ორჯერ), პატრიკ მილხრაუმს, თორნიკე აფციაურსა და ზურამ მენთეშაშვილს მიეცათ, თუმცა იმერლებს ხან შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტე ღალატობდათ, ხანაც კარის ხაზზე სასწაულებს ბოლნისელთა მეკარე მინდია ბობლიაშვილი სჩადიოდა. სტუმრები მასპინძელთა აქტიურობას სწრაფ კონტრშეტევებით უპირისპირებდნენ, თუმცა საბოლოოდ შეხვედრის პირველი ნახევარი უგოლოდ 0:0 დასრულდა.

მეორე ტაიმის პირველი ნაწილი შედარებით თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, სამაგიეროდ, მატჩის დასკვნით ნაწილში ისევ გამოიკვეთა მარგველთა უპირატესობა. ჯერ პატრიკ მილხრაუმის ძალიან სახიფათო დარტყმა ბობლიაშვილმა გააუვნებელჰყო, შემდეგ კი გოლის გატანასთან ძალიან ახლოს იყვნენ თედო გრიგალაშვილი და გიორგი კაჭკაჭიშვილი...

მატჩის ბედი კი მატჩის არბიტრ ხვიჩა გაგნიძის მიერ კომპენსირებულ ბოლო, მესამე წუთზე გადაწყდა. ზესტაფონელთა უკანასკნელი შეტევისას ზურამ მენთეშაშვილმა ბურთი ბოლნისელთა საჯარიმო მოედნისაკენ ჩააწოდა, სტუმრებმა ბურთი საჯარიმოს ფარგლებს გარეთ გამოიტანეს, სადაც მას იგორ იელიჩი დაეუფლა და ძლიერად დაარტყა – ამ მომენტამდე ბრწყინვალედ მოასპარეზე მინდია ბობლიაშვილმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა და...

## ტორპედო _ ვიტ ჯორჯია 2:0

**ქუთაისი. ცენტრალური**

*1:0 ბერიაშვილი (27), 2:0 ტუღუში (29პ)*

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, რიგვავა, გ.გურული, ზ.ჭელიძე, ტაბატაძე, გიგაური, კუხიანიძე, გ.დათუნაიშვილი, ბერიაშვილი (ვ.კვარაცხელია 81), ტუღუში (ფირცხალავა 67), საბანაძე (ფანცულაია 73)

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, ხურცილავა, გოგიაშვილი, ადამაძე (ღიბრაძე 46), გეთიაშვილი, ჯავაშვილი, კასრაძე, ვასაძე, გურეშიძე, კორიფაძე (ლობჟანიძე 86), გაბრიჭიძე (კუხალეიშვილი 72)

„ტორპედომ“ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და კრიზისს თავი დააღწია. გია გეგუჩაძის გუნდმა ამჯერადაც იოლად მოიგო. გიორგი ბერიაშვილისა და ბექა ტუღუშის პენალტით საქმე პირველივე ტაიმში მოილიეს და მშვიდად მიიყვანეს საქმე ბოლომდე.

## დინამო (ბთ) _ დილა 1:2

**ქობულეთი. ჩელე არენა**

*0:1 კვირკველია (14პ), 0:2 სალუქვაძე (64), 1:2 სიჭინავა (81)*

**დინამო ბთ:** ტაკიძე, თოდაძე, ხუხია, ლობჟანიძე, მაკარიანი, გოგიტიძე, ცანავა (დიასამიძე 46), ბერიძე (სიჭინავა 71), მუჯირი, ცნობილაძე, აბუსელიძე (თევდორაძე 46)

**დილა:** სკენდერი, სალუქვაძე, გ.ონიანი, შაშიაშვილი, ახალკაცი (მოდებაძე 46), ხოჯავა (აბურჯანია 80), კახელიშვილი, კვირკველია, ჟუნიორი (გორელიშვილი 60), კლიმიაშვილი, გვალია

გორელებმი კი სტუმრად წარმატებულ სერიას აგრძელებენ. „დილამ“ ამჯერად მცველების, გამოცდილი დავით კვირკველიასა და ლაშა სალუქვაძის გოლებით მოიგო. ერთადერთი საპასუხო სიტყვა დათა სიჭინავამ თქვა.

## მეტალურგი _ ჩიხურა 1:1

**რუსთავი. ფოლადი**

*0:1 ბერიანიძე (12), 1:1 სიხარულიძე (27)*

**მეტალურგი:** ბათიაშვილი, მახვილაძე (ქავთარაძე 84), ჯაფარიძე, სუხიაშვილი, ინწკირველი, რაზმაძე, ი.მაისურაძე, მიქაბერიძე (ჯანელიძე 77), გეწაძე, სიხარულიძე, ტატანაშვილი (თექთურმანიძე 60)

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, ოდიკაძე, ლომაშვილი, ბერიანიძე, ჩიკვაიძე, დილმელაშვილი, ნ.მაისურაძე (ძამსაშვილი, 82), შარაშენიძე (ბაკურაძე, 83), კირკიტაძე, გ.ჩხეტიანი, დეკანოიძე (ქიმაძე, 87)

საკმაოდ საინტერესო და დაძაბულ მატჩში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა მისი რეალიზება ვერ მოახერხეს. არადა, „ჩიხურას“ კართან იმდენი მომენტი შეიქმნა, რომ „მეტალურგს“ მთელი სეზონი ეყოფოდა. აქედან მხოლოდ ერთი გავიდა და ისიც გამთანაბრებელი.

## მერანი _ კოლხეთი 4:0

**მარტვილი. ცენტრალური**

*1:0 ნოზაძე (39), 2:0, 3:0, 4:0 ლომია (65,70,90)*

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 20 | 15 | 4 | 1 | 59:16 | 49 |
| 2.დილა | 20 | 14 | 1 | 5 | 32:13 | 43 |
| 3.ტორპედო | 20 | 13 | 2 | 5 | 37:17 | 41 |
| 4.ჩიხურა | 20 | 12 | 3 | 5 | 33:21 | 39 |
| 5.ზუგდიდი | 20 | 10 | 5 | 5 | 26:18 | 35 |
| 6.ზესტაფონი | 20 | 9 | 4 | 7 | 25:19 | 31 |
| 7.მეტალურგი | 20 | 8 | 3 | 9 | 16:25 | 27 |
| 8.მერანი | 20 | 7 | 2 | 11 | 20:30 | 23 |
| 9.ვიტ ჯორჯია | 20 | 5 | 5 | 10 | 13:27 | 20 |
| 10.სიონი | 20 | 4 | 5 | 11 | 13:34 | 17 |
| 11.დინამო (ბთ) | 20 | 3 | 3 | 14 | 21:44 | 12 |
| 12.კოლხეთი | 20 | 0 | 3 | 17 | 10:41 | 3 |

**ბომბარდირები:** ჩისკო (დინამო თბ) – 16; ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 15; საბა ლომია (მერანი) – 11; ალვარო (დინამო თბ) – 10; ნიკა საბანაძე (ტორპედო) – 9.

# რაგბიში შესვენებაა

## ხარები _ არმაზი 12:19

ჩატარდა კიდევ ერთი გადაგებული მატჩიც და სარაგბო ჩემპიონატმა თებერვლამდე შესვენება გამოაცხადა.

ახლა კი მატჩზეც: თბილისის "არმაზმა" რუსთავში "ხარები" 19:12 დაამარცხა, მე-4 ადგილზე პოზიციები გაიმყარა და უახლოეს მდევარ „ლოკომოტივთან“ უპირატესობა 11 ქულამდე გაზარდა.

პრემიალური ქულა ერგო „ხარებს“, მაგრამ ისინი საპლეიოფო მე-6 პოზიციას მთელი 10 ქულით ჩამორჩებიან, რის აღმოფხვრა რეგულარული პირველობის დარჩენილ ექვს ტურში ძლიერ გაუჭირდებათ.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლელო | 12 | 11 | 0 | 1 | 353:146 | 52 |
| 2.არმია | 12 | 11 | 0 | 1 | 312:176 | 50 |
| 3.აია | 12 | 8 | 1 | 3 | 343:185 | 40 |
| 4.არმაზი | 12 | 9 | 0 | 3 | 239:191 | 38 |
| 5.ლოკომოტივი | 12 | 5 | 1 | 6 | 252:230 | 27 |
| 6.ჯიქები | 12 | 5 | 0 | 7 | 210:222 | 26 |
| 7.ხარები | 12 | 3 | 0 | 9 | 162:271 | 16 |
| 8.ბათუმი | 12 | 3 | 0 | 9 | 191:297 | 14 |
| 9.აკადემია | 12 | 3 | 0 | 9 | 111:320 | 14 |
| 10.ყოჩები | 12 | 1 | 0 | 11 | 178:313 | 7 |

# შედეგები

## ფეხბურთი

### მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მე-3 ადგილისთვის

ალ აჰლი-მონტერეი ........ 0:2

### ინგლისი. პრემიერლიგა

ნიუკასლი-სიტი ........ 1:3
ქპრ-ფულემი ........ 2:1
ლივერპული-ასტონ ვილა ........ 1:3
მანჩესტერი-სანდერლენდი ........ 3:1
ნორვიჩი-უიგანი ........ 2:1
სტოკი-ევერტონი ........ 1:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 17 | 14 | 0 | 3 | 43:24 | 42 |
| 2.სიტი | 17 | 10 | 6 | 1 | 33:15 | 36 |
| 3.ჩელსი | 16 | 8 | 5 | 3 | 28:17 | 29 |
| 4.ევერტონი | 17 | 6 | 9 | 2 | 28:21 | 27 |
| 5.ტოტენჰემი | 16 | 8 | 2 | 6 | 29:25 | 26 |
| 6.ვესტ ბრომვიჩი | 16 | 8 | 2 | 6 | 24:21 | 26 |
| 7.ნორვიჩი | 17 | 6 | 7 | 4 | 19:25 | 25 |
| 8.არსენალი | 16 | 6 | 6 | 4 | 26:16 | 24 |
| 9.სტოკი | 17 | 5 | 9 | 3 | 15:13 | 24 |
| 10.სუონსი | 16 | 6 | 5 | 5 | 26:21 | 23 |
| 11.ლივერპული | 17 | 5 | 7 | 5 | 23:23 | 22 |
| 12.ვესტ ჰემი | 16 | 6 | 4 | 6 | 21:20 | 22 |
| 13.ფულემი | 17 | 5 | 5 | 7 | 28:29 | 20 |
| 14.ასტონ ვილა | 17 | 4 | 6 | 7 | 15:24 | 18 |
| 15.ნიუკასლი | 17 | 4 | 5 | 8 | 19:26 | 17 |
| 16.სანდერლენდი | 17 | 3 | 7 | 7 | 18:24 | 16 |
| 17.საუთჰემპტონი | 16 | 4 | 3 | 9 | 22:32 | 15 |
| 18.უიგანი | 17 | 4 | 3 | 10 | 18:32 | 15 |
| 19.ქპრ | 17 | 1 | 7 | 9 | 15:30 | 10 |
| 20.რედინგი | 16 | 1 | 6 | 9 | 19:31 | 9 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ჰალი-ჰადერსფილდი ........ 2:0
ბარნლი-უოტფორდი ........ 1:1
ბირმინგემი-კრ.პალასი ........ 2:2
ბლექპული-ბლექბერნი ........ 2:0
ბოლტონი-ჩარლტონი ........ 2:0
ბრაიტონი-ნოტინგემი ........ 0:0
ბრისტოლი-დერბი ........ 0:2
კარდიფი-პიტერბრო ........ 1:2
ლიდსი-იფსვიჩი ........ 2:0
მიდლსბრო-ბულვზი ........ 2:0
მილუოლი-ლესტერი ........ 1:0
ბარნსლი-უენსდი ........ 0:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხეტაფე-ოსასუნა ........ 1:1
მალიორკა-ბილბაო ........ 0:1
გრანადა-სოსიედადი ........ 0:0
სევილია-მალაგა ........ 0:2

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 15 | 14 | 1 | 0 | 50:17 | 43 |
| 2.ატლეტიკო | 15 | 12 | 1 | 2 | 35:13 | 37 |
| 3.რეალი | 15 | 10 | 2 | 3 | 37:12 | 32 |
| 4.მალაგა | 16 | 8 | 4 | 4 | 25:10 | 28 |
| 5.ბეტისი | 15 | 8 | 1 | 6 | 24:26 | 25 |
| 6.ლევანტე | 15 | 7 | 3 | 5 | 20:21 | 24 |
| 7.ხეტაფე | 16 | 7 | 3 | 6 | 19:21 | 24 |
| 8.სოსიედადი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:19 | 22 |
| 9.ვალიადოლიდი | 16 | 6 | 3 | 6 | 22:18 | 21 |
| 10.ვალენსია | 15 | 6 | 3 | 6 | 19:23 | 21 |
| 11.ბილბაო | 16 | 6 | 3 | 7 | 21:32 | 21 |
| 12.სევილია | 16 | 5 | 4 | 7 | 21:24 | 19 |
| 13.სარაგოსა | 15 | 6 | 1 | 8 | 18:23 | 19 |
| 14.რაიო | 15 | 6 | 1 | 8 | 18:32 | 19 |
| 15.სელტა | 15 | 4 | 3 | 8 | 16:20 | 15 |
| 16.ოსასუნა | 16 | 3 | 5 | 8 | 13:17 | 14 |
| 17.გრანადა | 16 | 3 | 4 | 9 | 11:24 | 13 |
| 18.მალიორკა | 16 | 3 | 4 | 9 | 14:28 | 13 |
| 19.ესპანიოლი | 15 | 2 | 5 | 8 | 15:24 | 11 |
| 20.დეპორტივო | 15 | 2 | 5 | 8 | 21:37 | 11 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-რეალი ბ ........ 3:2
ალკორკონი-ბარსელონა ბ ........ 1:1
უესკა-კორდობა ........ 1:3
ხირონა-ვილიალრეალი ........ 2:0
მურსია-გვადალახარა ........ 0:1

### იტალია. სერია ა

უდინეზე-პალერმო ........ 1:1
ლაციო-ინტერი ........ 1:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 16 | 12 | 2 | 2 | 33:10 | 38 |
| 2.ინტერი | 17 | 11 | 1 | 5 | 29:18 | 34 |
| 3.ნაპოლი | 16 | 10 | 3 | 3 | 29:14 | 33 |
| 4.ლაციო | 17 | 10 | 3 | 4 | 25:18 | 33 |
| 5.რომა | 16 | 9 | 2 | 5 | 38:26 | 29 |
| 6.ფიორენტინა | 16 | 8 | 5 | 3 | 29:18 | 29 |
| 7.მილანი | 16 | 7 | 3 | 6 | 28:21 | 24 |
| 8.უდინეზე | 17 | 5 | 8 | 4 | 25:25 | 23 |
| 9.კატანია | 16 | 6 | 4 | 6 | 22:24 | 22 |
| 10.ატალანტა | 16 | 7 | 2 | 7 | 17:23 | 21 |
| 11.პარმა | 16 | 5 | 5 | 6 | 19:22 | 20 |
| 12.კიევო | 16 | 5 | 3 | 8 | 19:27 | 18 |
| 13.სამპდორია | 16 | 5 | 3 | 8 | 19:23 | 17 |
| 14.კალიარი | 16 | 4 | 4 | 8 | 14:26 | 16 |
| 15.ბოლონია | 16 | 4 | 3 | 9 | 17:20 | 15 |
| 16.ტორინო | 16 | 3 | 7 | 6 | 17:21 | 15 |
| 17.პალერმო | 17 | 3 | 6 | 8 | 15:24 | 15 |
| 18.პესკარა | 16 | 4 | 2 | 10 | 12:30 | 14 |
| 19.ჯენოა | 16 | 3 | 3 | 10 | 16:28 | 12 |
| 20.სიენა | 16 | 4 | 5 | 7 | 15:20 | 11 |

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*
*ატალანტას დაკებული აქვს 2 ქულა*
*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

### იტალია. სერია ბ

ბარი-ნოვარა ........ 1:3
*ვარეზე-გროსეტო 3:0-ზე შეწყდა*
ლანჩანო-სპეცია ........ 1:1
მოდენა-კროტონე ........ 3:0
პადოვა-სასუოლო ........ 1:3
პრო ვერჩელი-ვერონა ........ 0:0
ემპოლი-ვიჩენცა ........ 2:0
იუვე სტაბია-ჩეზენა ........ 2:2

### გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-ჰამბურგი ........ 3:0
ვოლფსბურგი-აინტრახტი ........ 0:2
ფიურტი-აუგსბურგი ........ 1:1
მაინცი-შტუტგარტი ........ 3:1
ფორტუნა-ჰანოვერი ........ 2:1
შალკე-ფრაიბურგი ........ 1:3

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 13 | 3 | 1 | 43:7 | 42 |
| 2.ლევერკუზენი | 17 | 10 | 3 | 4 | 33:22 | 33 |
| 3.აინტრახტი | 17 | 9 | 3 | 5 | 33:27 | 30 |
| 4.დორტმუნდი | 16 | 7 | 6 | 3 | 32:19 | 27 |
| 6.ფრაიბურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 24:18 | 26 |
| 6.მაინცი | 17 | 8 | 2 | 7 | 24:21 | 26 |
| 7.შალკე | 17 | 7 | 4 | 6 | 27:25 | 25 |
| 8.გლადბახი | 17 | 6 | 7 | 4 | 25:26 | 25 |
| 9.შტუტგარტი | 17 | 7 | 4 | 6 | 21:28 | 25 |
| 10.ჰამბურგი | 17 | 7 | 3 | 7 | 18:21 | 24 |
| 11.ჰანოვერი | 17 | 7 | 2 | 8 | 32:31 | 23 |
| 12.ვერდერი | 16 | 6 | 3 | 7 | 27:28 | 21 |
| 13.ფორტუნა | 17 | 5 | 6 | 6 | 20:22 | 21 |
| 14.ნიურნბერგი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:21 | 19 |
| 15.ვოლფსბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:27 | 19 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 16 | 3 | 3 | 10 | 22:38 | 12 |
| 17.აუგსბურგი | 17 | 1 | 6 | 10 | 12:29 | 9 |
| 18.ფიურტი | 17 | 1 | 6 | 10 | 11:28 | 9 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰერტა-ფრანკფურტი ........ 2:1
ინგოლშტადი-ზ. პაული ........ 0:0

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ტულუზა-მარსელი ........ 0:1
მონპელიე-ბასტია ........ 4:0
ნიცა-ევიანი ........ 3:2
სოშო-ბრესტი ........ 1:2
ტრუა-აიაჩო ........ 3:2
რეიმსი-ლილი ........ 1:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 17 | 10 | 5 | 2 | 30:16 | 35 |
| 2.მარსელი | 18 | 11 | 2 | 5 | 23:20 | 35 |
| 3.პსჟ | 17 | 9 | 5 | 3 | 32:12 | 32 |
| 4.ნიცა | 18 | 7 | 8 | 3 | 26:23 | 29 |
| 5.რენი | 18 | 9 | 2 | 7 | 25:22 | 29 |
| 6.სენტ ეტიენი | 17 | 7 | 6 | 4 | 24:11 | 27 |
| 7.ბორდო | 17 | 6 | 9 | 2 | 20:13 | 27 |
| 8.ლორიანი | 17 | 7 | 6 | 4 | 28:27 | 27 |
| 9.მონპელიე | 18 | 7 | 5 | 6 | 28:20 | 26 |
| 10.ვალანსიენი | 18 | 7 | 5 | 6 | 29:23 | 26 |
| 11.ლილი | 18 | 6 | 8 | 4 | 19:17 | 26 |
| 12.ტულუზა | 18 | 6 | 5 | 7 | 23:20 | 23 |
| 13.ბრესტი | 18 | 6 | 3 | 9 | 20:25 | 21 |
| 14.აიაჩო | 18 | 5 | 6 | 7 | 19:25 | 19 |
| 15.ევიანი | 18 | 5 | 4 | 9 | 21:30 | 19 |
| 16.ბასტია | 18 | 5 | 4 | 9 | 22:39 | 19 |
| 17.რეიმსი | 18 | 4 | 6 | 8 | 14:18 | 18 |
| 18.სოშო | 18 | 4 | 4 | 10 | 17:27 | 16 |
| 19.ტრუა | 18 | 2 | 6 | 10 | 20:37 | 12 |
| 20.ნანსი | 17 | 1 | 7 | 9 | 12:28 | 10 |

**შენიშვნა:**

*აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა*

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ნანტი-კაენი ........ 2:1
დიჟონი-ისტრი ........ 3:1

### ჰოლანდია. ეჩედივიზიონი

ზვოლე-ალკმაარი ........ 1:2
გრონინგენი-ვენლო ........ 0:0
როდა-ბრეფა ........ 0:0
ნაიმეგენი-პსვ ........ 1:1

### პორტუგალია. ა ლიგა

ბეირა მარი-რიუ ავე ........ 3:1
ოლჰანენსე-ჟილ ვისენტე ........ 2:2
ნასიონალი-სპორტინგი ........ 1:1
ბენფიკა-მარიტიმუ ........ 4:1

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-კილმანროკი ........ 0:2
იუნაიტედი-ინვერნესი ........ 4:4
როსი-დანდი ........ 1:1
სელტიკი-სტ.მირენი ........ 2:0
ჰიბერნიანი-მოზერველი ........ 2:3
სტ.ჯონსონი-ჰართსი ........ 2:2

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ინსბრუკი-ადმირა ........ 3:1
ნოიშტადი-რაპიდი ........ 1:0
ზალცბურგი-მატერსბურგი ........ 7:0

### ბელგია. პროლიგა

მეხელენი-სტანდარდი ........ 0:2
ბრიუგე-მონსი ........ 2:0
ბევერენი-კორტრაიკი ........ 1:0
ლოკერენი-გენტი ........ 2:2
ლიერსი-სერკლი ........ 1:1
შარლერუა-ბეერსხოტი ........ 1:0

### საბერძნეთი. სუპერლიგა

კერკირა-პანთრატიკოსი ........ 0:2
ოფი-ასტერასი ........ 2:0
პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი ........ 1:2

### თურქეთი. სუპერლიგა

მერსინი-აკჰისარი ........ 2:1
გენჩლერი-ბეშიქთაში ........ 1:1
ელაზიგი-გაზიანთები ........ 0:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

ატლანტა-გოლდენ სტეიტი ... 93:115
*ზაზა ფაჩულია: 2 ქულა*
დეტროიტი-ინდიანა ........ 77:88
მაიამი-ვაშინგტონი ........ 102:72
ნიუ იორკი-კლივლენდი ........ 103:102
შარლოტი-ორლანდო ........ 98:107
მინესოტა-დალასი ........ 114:106(ოტ)
ჩიკაგო-ბრუკლინი ........ 83:82
მილუოკი-კლიპერსი ........ 85:111
სან ანტონიო-ბოსტონი ........ 103:88
იუტა-მემფისი ........ 86:99

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# კურტანიძე, გოგელია, მალიშევი, ახვლედიანი — ძველ-ახალი პრეზიდენტები

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში ჭიდაობის ფედერაციის არჩევნები გაიმართა. 16:00 საათზე დაწყებულმა არჩევნებმა 20:00 საათამდე გასტანა და საბოლოოდ ლუკა კურტანიძის გამარჯვებით დასრულდა. 110 დელეგატიდან არჩევნებზე 103 გამოცხადდა, საიდანაც 58 ხმა ლუკა კურტანიძე მიიღო, ხოლო 45 გეგა გეგეშიძემ. მომდევო 4 წლის განმავლობაში ჭიდაობის ფედერაციას ლუკა კურტანიძე უთავკაცებს.

ვიცე-პრეზიდენტად თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა კვოტით 54 ხმით დიმიტრი გელაშვილი აირჩიეს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა კვოტა კი თემურ ყაზარაშვილს შეხვდა, ვინც 67 ხმა მიიღო. 87 ხმით დამაჯერებლად იმარჯვა სათათბიროს კვოტით ვიცე-პრეზიდენტობის მსურველმა ედიშერ მაჩაიძემ, რომელსაც კონკურენტი არ ჰყავდა.

ყველაზე დაძაბული გენერალური მდივნის პოსტისთვის ბრძოლა გამოდგა, სადაც მოქმედმა გენდმივანმა მალხაზ ჯორბენაძემ 1 ხმით წააგო გიორგი ლომიძესთან — 47:48. არჩევნების დასრულების შემდეგ პრეზიდენტობის ორივე კანდიდატმა კომენტარი გააკეთა.

**ლუკა კურტანიძე:**

— მადლობა დელეგატებს მხარდაჭერისთვის და ამ დიდი პასუხისმგებლობის მონიჭებისთვის. ყველა პროფესიონალი დაფასებული იქნება და მათ გამოცდილებას სათანადოდ გამოვიყენებთ. ჭიდაობა გახდება ისეთივე საამაყო როგორც ადრე იყო, მოჭიდავეები საკუთარი ქვეყნის და ერის სამსახურში ჩადგებიან და მხოლოდ გულშემატკივრის გასახარებლად იბრძოლებენ. კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის და დაფასებისთვის. მჯერა ერთიანობით ბევრს მივაღწევთ.

**გეგა გეგეშიძე:**

— ორი ღირსეული კანდიდატი იყო და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მე დავმარცხდი. ვულოცავ ლუკას და წარმატებას ვუსურვებ. თუ მისი სურვილი იქნება, მზად ვარ ჭიდაობის სამსახურში ჩავდგე. ახლა მთავარია, რომ ყველამ ერთად გაისად თბილისში გასამართ ევროპირველობაზე ვიფიქროთ და ასეთ დიდ შეჯიბრებას ღირსეულად ვუმასპინძლოთ. ამასთან, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი ბიჭები ევროპის პირველობაზე დამაჯერებლად გამოვიდნენ.



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში ფარიკაობის ფედერაციის არჩევნებიც გაიმართა. არჩევნებში მონაწილე ხმის მიცემის მქონე სუბიექტებმა პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი არჩილ გოგელია პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს.

არჩევნებზევე დამტკიცდნენ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები და გენერალური მდივანი. პირველი ვიცე-პრეზიდენტი ზაზა მჭედლიძე იქნება, ასევე ვიცე-პრეზიდენტებად იმუშავებენ — ირინე სხირტლაძე და არჩილ ლორთქიფანიძე, გენერალური მდივნის ფუნქციებს დავით სხირტლაძე შეასრულებს.

ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა დელეგატებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა, სამომავლოდ კი მიზნად რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებაზე მუშაობა დაისახა. კერძოდ, მწვრთნელთა გადამზადება, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ფარიკაობის უფრო მეტად პოპულარიზაცია.

ფედერაციის პრეზიდენტი აირჩიეს თანამედროვე ხუთჭიდელებმაც — დელეგატებმა ხმა ვიაჩესლავ მალიშევს მისცეს. ვიცე-პრეზიდენტებად კი დაამტკიცეს ნოდარ ალავიძე და სოსო ცომაია, ხოლო გენერალურ მდივნად ნიკოლოზ ახალშენიშვილი.

არჩევნებზევე გაირკვა იმ ადამიანის ვინაობა, ვინც 20 დეკემბერს ოლიმპიური კომიტეტის არჩევნებზე ფედერაციის სახელით დელეგატად წარდგება. ყრილობის გადაწყვეტილებით სეოკ-ის არჩევნებზე დელეგატი ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტი ვიაჩესლავ მალიშევი იქნება.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი კი კვლავ ალექსი ახვლედიანი იქნება. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, დღის წესრიგში ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები არ შედიოდა, თუმცა შემდგომში დაემატა. კენჭი მხოლოდ ყოფილმა პრეზიდენტმა იყარა და დამსწრე 39 დელეგატიდან 37-ის მხარდაჭერა მოიპოვა. 2 მოწინააღმდეგე დელეგატი მაია აზარაშვილი და რეზო კობიაშვილი გახლდათ, რომლებიც ახალარჩეულ ვიცე-პრეზიდენტის, ზურაბ ჯიქიას წინააღმდეგაც წავიდნენ. ერთხმად იქნა არჩეული მეორე ვიცე-პრეზიდენტი ვასილ ბერიშვილი. ახვლედიანმა ფედერაციის გენერალური მდივნის კანდიდატად მაია აზარაშვილი წარმოადგინა. აზარაშვილმა მოსაფიქრებელი დრო მოითხოვა. მის წინააღმდეგ 5 დელეგატი წავიდა. ასევე 2 მოწინააღმდეგით დამტკიცდა გამგეობის 13-კაციანი სია. მათ შორის არიან ზურაბ ჯიქია, ვასილ ბერიშვილი, ალექსანდრე ჯაფარიძე, ნადეჟდა დვალიშვილი.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

კულტურა

# ოთარ მეღვინეთუხუცესი წლის ადამიანია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მხოლოდ მოსაწვევებით იყო შესაძლებელი.

თუკი გასულ წლებში პუბლიცისტური ენციკლოპედია „სახე(ლ)ები“ ორ ტომად გამოიცემოდა, წელს მეათე საიუბილეო ცერემონიალზე გამოცემა სამ ტომად იქნა წარმოდგენილი. პირველ ტომში გაერთიანდა წლის ისტორია, მეორე ტომში — წლის ბიზნესმოვლენა, ხოლო მესამე ტომში — ფრანგულ-ქართული სახელები.

— „ქართულ-ფრანგული სახელები“ პუბლიცისტური ენციკლოპედია „სახე(ლ)ების“ სპეციალური დამატებაა. ამ გამოცემაში წარმოდგენილია საქართველო-საფრანგეთის ბოლო ათწლიანი რეტროსპექტივა, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები, მნიშვნელოვანი ვიზიტები, ისტორიული რაკურსები, ქართველი ემიგრანტები, ქართულ-ფრანგული ოჯახები, საფრანგეთში მოღვაწე წარმატებული ქართველები, საქართველოში მოღვაწე ფრანგები და ფრანგული ინსტიტუტები და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები თუ ფაქრები. ეს გამოცემა განკუთვნილია მათთვის, ვინც დაინტერესებულია საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის გაღრმავებით, ვისი ცხოვრებაც და საქმიანობაც თანაბრად უკავშირდება ამ ქვეყნებს. პროექტის ოფიციალური მხარდაჭერა ითავეს კომპანიამ „ტოიოტა ცენტრი თბილისი“ და საფრანგეთის ბიზნეს-პალატამ საქართველოში. ამ გამოცემის შეძენა უკვე შესაძლებელია წიგნის მაღაზიებში „სახე(ლ)ების“ ორტომეულთან ერთად. ჩვენს ჟურნალს „სახე(ლ)ები“ წელს 10 წელი შეუსრულდა. თავიდან იყო ერთტომოეული, ახლა კი სამტომეულია. პირველ ტომში შეტანილია წლის მნიშვნელოვან მოვლენებზე მომზადებული სტატიები. ყველაფერი მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, მეორე ტომშია ბიზნესსიახლეები, მესამე ტომი კი ქართულ-ფრანგულ გამოცემას ეთმობა, — განაცხადა პროექტის ავტორმა ნანა აკობიძემ.

პუბლიცისტური ენციკლოპედია „სახე(ლ)ები“ გამოდის 2002 წლიდან. პროექტის ავტორი გიორგი ჩადუნელია, მთავარი რედაქტორი — ნანა აკობიძე, მმართველი რედაქტორი — მარიკა დავითაია, სტრატეგიული მარკეტინგის დეპარტამენტის დირექტორი — გიორგი ოქრიაშვილი, მიმართულებების მენეჯერი — ნინო ოქრიაშვილი, ფინანსური დირექტორი — მარინა ბენიძე, დიზაინი კი გიორგი მეგრელიშვილს ეკუთვნის.

წელს „სახე(ლ)ების“ საიუბილეო დაჯილდოების ცერემონიაზე საუკუნის სახელისა და სახის ნომინაციაში 16 ადამიანი გამოვლინდა. უპირველესად ეროვნულ ბიბლიოთეკაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დაჯილდოვდა. მისი უწმინდესობის გარდა, საუკუნის სახეებსა და სახელებს შორის ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების სახელებმაც გაიჟღერეს. დაჯილდოების ცერემონიალის ორგანიზატორებმა გამოარჩიეს მეცნიერები მარიამ ლორთქიფანიძე და ზაზა ალექსიძე, მხატვარი ედმონდ კალანდაძე, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი, საოპერო სფეროში გაწეული ღვაწლისთვის ჯილდო მიიღო მედეა ამირანაშვილმა, ქართული ხალხური სიმღერის განვითარებისთვის კი — ანზორ ერქომაიშვილმა. საუკუნის სახელებს შორის მეათე დაჯილდოების ცერემონიალზე მოხვდნენ მწერლები თამაზ და ოთარ ჭილაძეები, პოეტი ლია სტურუა, მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი, მსახიობები ოთარ მეღვინეთუხუცესი, გივი ბერიკაშვილი, რეჟისორები რევაზ ჩხეიძე, ელდარ შენგელაია და გიგა ლორთქიფანიძე. სპეციალური პრიზი ერგო პროექტს „გააგრძელე საქართველოს ისტორია“, რომელიც ტელემაყურებელს ქართული ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს აცნობს. საუკუნის სახელების გამოვლენისა და მათი საზეიმო ვითარებაში დაჯილდოების გარდა, ღონისძიებაზე დასახელდა ნომინაცია „წლის სახე“, რომელშიც საქართველოს პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გაიმარჯვა. ბატონი ბიძინა ცერემონიალს არ ესწრებოდა.

სპეციალური პრიზები რამდენიმე ნომინაციაში დააწესეს დაჯილდოების ცერემონიალის ორგანიზატორებმა ბიზნესორგანიზაციებისთვისაც. ჯილდოები გადაეცათ „ტოიოტა ცენტრს“, „საირმეს“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს და არქიტექტურულ კომპანია „ლაბორატორია №3“-ს.

დაჯილდოების ცერემონიალის დასასრულს, ჩატარდა საქველმოქმედო აუქციონი, სადაც დაჯილდოებულთა და სხვა ცნობილ ხელოვანთა თუ საზოგადო მოღვაწეთა პირადი ძვირფასი ნივთები იყო წარმოდგენილი, მათ შორის, მათი შემოქმედებისა და ცხოვრების ამსახველი სიმბოლური აქსესუარები თუ კუთვნილებები. მთლიანობაში აუქციონზე ეს ნივთები 14 ლოტად იყო გამოტანილი. როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა ნანა აკობიძემ აღნიშნა, აუქციონიდან შესული თანხის ნაწილი საქართველოს მასშტაბით მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ უხუცესებს გადაუნაწილდებათ, ხოლო შემოსული თანხის ნაწილი კი საპატრიარქოსთან არსებულ უპოვართა სასადილოს გადაერიცხება.

**ნანა აკობიძე, ღონისძიების ორგანიზატორი:**

— წელს იუბილარები ვართ — დაარსებიდან 10 წელი შეგვისრულდა. წელს გამოვუშვით სამტომეული „სახე(ლ)ების“ ენციკლოპედიის. ეს აერთიანებს წლის ისტორიას, ბიზნესისტორიას და ქართულ ფრანგულ სახეებს. ეს „სახე(ლ)ების“ საერთაშორისო პროექტია და ბოლო 20 წლიან ურთიეთობებს მოიცავს. ამ დარბაზში ჩვენი საიუბილეო თარიღიდან გამომდინარე, საკუთარ თავს გავუკეთეთ საჩუქარი და ჩვენს გვერდით დავაჯილდოვეთ საუკუნის 15 ღირსეული სახელი სხვადასხვა სფეროში მიღწეული წარმატებისთვის. ეს სახელები არ გამოუვლენია პუბლიცისტურ ენციკლოპედია „სახე(ლ)ებს“, ჩვენ ვიხელმძღვანელეთ სხვათა მოსაზრებებით და ყველა ის ადამიანი დავაჯილდოვეთ, ვინც ამ ჯილდოს ნამდვილად იმსახურებდა. დაჯილდოების ცეერმონიალის შემდგომ კი საქველმოქმედო აუქციონი ჩატარდა, სადაც ყველასთვის კარგად ცნობილმა ადამიანებმა გაიღეს მათთვის ძვირფასი და საყვარელი ნივთები ავტოგრაფების თანხლებით და ჩვენ ისინი სიმბოლურ ფასად გავყიდეთ.

**გივი ბერიკაშვილი, მსახიობი:**

— მთელი ჩემი შემოქმედება სულ გარეწრებს, ქურდებსა და მამაძაღლებს ვთამაშობდი და საუკუნის სახელი კი არა, ვფიქრობდი, რომ დამიჭერდნენ და ციხეში ჩამსვამდნენ. უბედნიერესი ვარ, ჩვენი უწმინდესის მეთაურობით ამდენი ადამიანი რომ დაჯილდოვდა. მის გვერდით მეღირსა ამ ჯილდოს მიღება და მადლობელი ვარ. მიხარია, რომ ჯერ ისევ შემიძლია ფეხზე დგომა, ჩემი სამშობლოსთვის მსახური და სანამ ღმერთი ძალას მომცემს, თავს არ დავზოგავ. ჯილდოებით განებივრებული არ ვარ, მაგრამ ეს ჯილდო ძალიან გამიხარდა და ჩემთვის განსაკუთრებულია.

**ანზორ ერქომაიშვილი, ლოტბარი:**

— საუკუნის ყველა გამორჩეულ სახელს შორის მოვხვდი და ულრმესი მადლობა ამისთვის ამ ცერემონიალის ორგანიზატორებს. განსაკთრებით მინდა აღვნიშნო ჩვენი პატრიარქის დაჯილდოება, ეს მართლაც გამორჩეული დღე აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში. საერთოდ ნებისმიერი ადამიანისთვის დიდი სტიმულია, როცა თავისი შრომა უფასდება. ამაზე დიდი ბედნიერება და საოცარი შეგრძნება არც არსებობს. ასეა ჩემთვისაც, ვგრძნობ, რომ ჩემი მოკრძალებული შრომა, ვიღაცისთვის სასარგებლო ყოფილა.

**გურამ ქართველიშვილი, მწერალი:**

— ყველას დიდი მადლობა ჩვენი დაფასებისთვის. პროექტი „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ ჩვენი წარსულია, რომელიც თითოეულმა ქართველმა ძალიან კარგად უნდა იცოდეს. ქართულ ტელესივრცეში თითქმის ყველა პროექტს მოეძებნა ბიზნესპარტნიორები ჩვენი პროექტის გარდა. ჩვენც რომ გვყოლოდნენ პარტნიორები, უფრო მეტს შევძლებდით, მაგრამ არა უშავს, როგორც ჩანს, ბიზნესპარტნიორების გარეშეც ყოფილა შესაძლებელი ისეთი საქმეების კეთება, რომელიც წარმატებას მოგიტანს და შეუმჩნეველი არ დარჩები. დიდი მადლობა პირველ რიგში იმ შემოქმედებით ჯგუფს, რომელიც ამ პროექტზე მუშაობს.

# სკანვორდი



1. ... გიბსონი; 2. ..., იგრეკ, ზეტ; 3. ალგორითმული ენა; 4. პორტუგალიური ღვინო; 5. იღბალი; 6. ებრაელთა ხმიადი; 7. შეძახილი ცეკვისას; 8. ნიავი; 9. მზის სისტემის პლანეტა; 10. ......ნიუტონი; 11. ნაბეჭდი ფურცლის გადაკეცვის ხაზი აკინძვისას; 12. საპირისპიროს აღმნიშვნელი წინსართი; 13. უბანი თბილისში; 14. სანელებელი; 15. წილი ბიზნესში; 16. ... ჭავჭავაძე; 17. ... ხაჩატურიანი; 18. კოსმეტიკური საცხი; 19. სურნელოვანი წყალი; 20. მლაშე, კრისტალური ნივთიერება; 21. გემების მისადგომი ნაგებობა ნავსადგურში; 22. ნერვის ანთება; 23. ვერცხლის ფული საქართველოში ძველად; 24. კორეული ავტომობილი; 25. ... ჩილაჩავა; 26. სიგრძის საზომი ინგლისურ ერთეული; 27. ცხენბურთი; 28. ხეთების მთავარი ქალღმერთი; 29. სიმებიანი საკრავი; 30. თიხის ცალყურა ჭურჭელი წყლისთვის; 31. ბერძნული ანბანის ასო; 32. უმაღლესი სამხედრო წოდებულება საზღვაო ფლოტში; 33. მგალობელი ფრინველი; 34. აღლუმი.

**ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ ჰჰჯცღჯჰღტ,ბც გფცე[ტ,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყაზბეგი; 2. ქიზიყი; 3. პროქტიტი; 4. რადიკალი; 7. ქამელეონი; 8. წვეულება; 12. ქარაშოტი; 14. ვოლფრამი; 16. ბეითალი; 17. ჟენშენი; 19. აზია; 20. ვაჩა.

**თარაზულად:** 5. სალამური; 6. ჯვრისწერა; 9. მელასა; 10. ყლორტი; 11. ცეკვა; 13. მარსი; 15. ტოლედო; 18. ჰერტა; 21. ფანატიზმი; 22. ანდანტე; 23. ფაიფური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ობოლონი; 2. გესტაპო; 3. ანდორა; 4. ეპოქა; 5. ქარავანი; 7. აია; 11. გრუნტი; 15. ბორუსია; 16. ბუფონი; 17. სამოა; 18. დორსე; 20. მურეი; 22. ფეტა.

**თარაზულად:** 6. ბილბაო; 8. დესპანი; 9. ლიოტარი; 10. ლუმბაგო; 12. ლორდი; 13. არავა; 14. ესკულაპი; 19. ჰარლემი; 21. პარაფი; 23. ოლიფა; 24. სოფიტი; 25. ვივიენი; 26. კემპინგი.

# ჰილარი კლინტონმა ტვინის შერყევა მიიღო

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, ჰილარი კლინტონმა გონების დაკარგვის შედეგად ტვინის შერყევა მიიღო.

ამის შესახებ უცხოური მედია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტზე დაყრდნობით წერს. მათივე ინფორმაციით, მომდევნო კვირის განმავლობაში ჰილარი კლინტონი სახლიდან იმუშავებს.



აღსანიშნავია, რომ ცოტა ხნის წინ ჰილარი კლინტონი ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა, „სირიის მეგობრების" მორიგ შეხვედრას ვერ დასწრებოდა.

ასევე ცნობილი ხდება, რომ სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ჰილარი კლინტონს სენატორი ჯონ კერი შეცვლის.

უცხოური მედიის ცნობით, პრეზიდენტმა ობამამ სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე სენატორი ჯონ კერი აირჩია და მისი დანიშვნის შესახებ ოფიციალურ განცხადებას უკვე მომავალ კვირას გააკეთებს.

კერის სავარაუდო დანიშვნის შესახებ ინფორმაცია მას შემდეგ მალევე გავრცელდა, რაც აშშ-ის ელჩმა გაერო-ში სიუზან რაისმა სახელმწიფო მდივნის პოსტის დაკავების მსურველთა სიის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

სენატორი ჯონ კერი 2004 წელს აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო. მაშინ მან ჯორჯ ბუშთან წააგო. ამჟამად კერი სენატის საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებს.

მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას თეთრი სახლი ამ დრომდე არ ადასტურებს, თუმცა ამერიკული მედია საკუთარ წყაროდ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს ასახელებს.

ჯონ ფორბს კერი 1943 წლის 11 დეკემბერს კოლორადოში დაიბადა. იგი დემოკრატიული პარტიის წევრია. 1985 წლიდან ჯონ კერი მასაჩუსეტსის შტატის უმცროსი, ხოლო 2009 წლიდან უფროსი სენატორია.

ფორბსის ოჯახის წარმომადგენელმა პრივილეგირებული განათლება მიიღო. საშუალო განათლება მან შვეიცარიაში, კერძო სკოლაში მიიღო. შემდეგ დაამთავრა იელის უნივერსიტეტი, სადაც პოლიტიკით დაინტერესდა. მონაწილეობდა პრეზიდენტ ჯონ კენედის წინასაარჩევნო კამპანიაში. არის ვიეტნამის ომის მონაწილე (1966-1970), სადაც სამჯერ დაიჭრა. 1972 წელს კენჭი იყარა სენატორის პოსტზე და დამარცხდა. შემდგომ დაამთავრა იურიდიული სკოლა. მუშაობდა საოლქო პროკურორის ოფისში, კერძო იურიდიულ ფირმაში. 1982 წელს არჩეულ იქნა მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორ მაიკლ დუკაკისის მოადგილედ. 1985 წელს კი არჩეულ იქნა სენატში.

როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში, სუზან რაისმა, უარი განაცხადა მისი კანდიდატურის აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პოსტზე განხილვაზე.

ბარაკ ობამასთვის გაგზავნილ წერილში რაისმა აღნიშნა, რომ მისმა წარდგენამ აღნიშნულ პოსტზე, შესაძლოა, გამოიწვიოს ცალკეული სიძნელეები და უთანხმოება.

რაისი რესპუბლიკელებმა მკაცრად გააკრიტიკეს მისი კომენტარის გამო, რომელიც დიპლომატმა ლიბიაში აშშ-ის საკონსულოზე თავდასხმის შემდეგ გააკეთა.

დიპლომატმა მაშინ აღნიშნა, რომ ეს იყო ლიბიელების სტიქიური რეაქცია აშშ-ში გადაღებულ ფილმზე „მუსლიმანთა უმანკოება".

რესპუბლიკელებმა საპასუხოდ განაცხადეს, რომ ობამას ადმინისტრაცია ცდილობს, ლიბიაში მიმდინარე მოვლენები პოზიტიურად წარმოაჩინოს, რაც გახდა იმის საფუძველი, რომ აშშ-ის დიპლომატიურ უწყებას დამატებითი ძალები არ იცავდნენ.

# ისრაელის საგარეო მინისტრი თანამდებობიდან გადადგა

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი დაკავებული თანამდებობიდან გადადგა. მან ამის მიზეზად ისრაელში 10 წლის წინანდელ საქმესთან დაკავშირებით აგორებული სკანდალი დაასახელა, რომელიც ფულის გათეთრებას ეხება და რომელშიც მისი გვარიც ფიგურირებს.



ლიბერმანი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, თუმცა თანამდებობას მაინც ტოვებს.

„მართალია, არაფერი ჩამიდენია, გადავწყვიტე, გადავდგე, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი და პრემიერ-მინისტრის მოადგილე", – აღნიშნა ავიგდორ ლიბერმანმა.

ლიბერმანს იმედი აქვს, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელიც ქვეყანაში 22 იანვარს ჩატარდება, ყველაფერი გაირკვევა და მას საშუალება მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ისრაელის პროკურატურის განცხადებით კი ლიბერმანს მალე ბრალს ფინანსურ მაქინაციებსა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში წაუყენებენ.

როგორც ცნობილია, საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში ლიბერმანი მიმდინარე თვეში თბილისს უნდა სწვეოდა, თუმცა ეს ვიზიტი გადაიდო.

# აშშ-ში ოთხდღიანი გლოვაა გამოცხადებული

აშშ-ში ოთხდღიანი გლოვაა გამოცხადებული. აღნიშნული კონექტიკუტის შტატის ქალაქ ნიუტაუნში მდებარე ერთ-ერთ სკოლაში მომხდარ ტერორისტულ აქტს უკავშირდება, როდესაც 20 წლის ადამ ლანცამ 27 ადამიანი, მათ შორის 20 მცირეწლოვანი ბავშვი მოკლა.

მკვლელის მსხვერპლთა შორის არის დედამისიც, რომელიც სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. აღნიშნული მკვლელობა მან სახლში განახორციელა, რის შემდეგაც სკოლაში გაემართა. უკვე სკოლაში მისულ ლანცას დირექტორთან შელაპარაკება მოუვიდა, რის შედეგადაც დირექტორის კაბინეტში ექვსი ადამიანი მოკლა. ამის შემდეგ ის საკლასო ოთახისკენ გაემართა, სადაც სროლა უკვე მოსწავლეების მიმართ განახორციელა.

წინასწარი ბალისტიკური ექსპერტიზის მონაცემებით, მკვლელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და ამგვარად ის ტერორისტული აქტის 28-ე მსხვერპლი გახდა. ცნობილია ასევე ის ფაქტი, რომ იარაღი, რომლითაც მან დანაშაული ჩაიდინა, დედამისს ეკუთვნოდა.



კონექტიკუტის შტატის სამართალდამცავებმა მეორე თავდამსხმელის დაკავება სკოლის მახლობლად, ტყეში შეძლეს.

მომხდართან დაკავშირებით მწუხარებმა გამოთქვეს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის პირველმა პირებმა, ასევე გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა და ევროკავშირის ლიდერებმა – ქეთრინ ეშტონმა და ჟოზე მანუელ ბაროზუმ.

„გაერთიანებული სამეფოს ყველა მცხოვრები ვლოცულობთ გარდაცვლილთა სულებისთვის, ვუსამძიმრებთ მათ ოჯახებსა და ახლობლებს, ყველას, ვინც დაშავდა ამ ტრაგედიის დროს", – ნათქვამია ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ მეორის ბარაკ ობამასადმი გაგზავნილ სამძიმრის წერილში.

ტრაგედიის შემდეგ თანამოქალაქეებს ქვეყნის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მიმართა.

„დაღუპულები ძირითადად 5-დან 10 წლამდე ბავშვები არიან... მე თავად მამა ვარ და მათთვის ძალზე მტკივნეულია ასეთი ამბის გაგება... ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ქვეყანაში მსგავს ფაქტებს ბოლო მოეღოს", – აღნიშნა პრეზიდენტმა, რომელიც სიტყვით გამოსვლისას ცრემლებს ძლივს იკავებდა.

ამერიკის სამთავრობო შენობებზე გლოვის ნიშნად დროშები დაშვებულია, ქვეყნის მასშტაბით კი მოქალაქეები იკრიბებიან და ანთებული სანთლებით დაღუპულების ხსოვნას პატივს მიაგებენ.

„დღეს საზოგადოებას ბოროტება ეწვია", – ასე შეაფასა სკოლაში მომხდარი ტრაგედია კონექტიკუტის შტატის გუბერნატორმა დენ მელოიმ.

ადგილობრივი მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ადამ ლანცა ფსიქიკურად არამდგრადი პიროვნება იყო, თუმცა ამ ცნობას მისი თანაკლასელები არ ადასტურებენ.

„იგი მშვიდი და გულჩათხრობილი ადამიანი იყო.... ნამდვილად შეგეძლოთ, მისთვის გენიოსიც კი გეწოდებინათ", – აცხადებს ლანცას თანაკლასელი ალექს ისრაელი.

ამ დრომდე უცნობია ლანცას ქმედების მოტივაცია. უცნობია ისიც, თუ რის გამო მოხდა კონფლიქტი დედა-შვილს შორის.

ამ ფონზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქალაქეთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთი ნაწილი ხელისუფლებას ქვეყანაში იარაღის შეძენისათვის საჭირო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის გამო აკრიტიკებს.

ისინი მიიჩნევენ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის შეძენისა და გაფორმების პროცედურა არ უნდა იყოს ისეთი მარტივი, როგორიც დღესაა.

ტელეკომპანია „სი-ენ-ენ-მა" შეერთებული შტატების სკოლებში მომხდარი მასობრივი ძალადობების ამსახველი თაიმლაინი წარმოადგინა. აღნიშნული ინფორმაციის მიხედვით, ამერიკის სკოლაში ყველაზე ტრაგიკული შემთხვევა 1927 წლის 18 მაისს დაფიქსირდა, როცა მიჩიგანელმა ფერმერმა ენდრიუ კეჰოემ ერთ-ერთ სკოლაში ორი ბომბი ააფეთქა და 6 მასწავლებელი, ასევე 38 მცირეწლოვანი ბავშვი მოკლა.

1966 წელს არიზონის შტატში 18 წლის რობერტ სმიტმა კოლეჯში 5 სტუდენტი მოკლა. მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

1979 წელს კალიფორნიის შტატის ქალაქ სან დიეგოში 16 წლის ბრენდა სპენსერმა საკუთარი სახლის ფანჯრიდან მშობლის იარაღით სკოლის მიმართულებით ცეცხლი გახსნა. დაიღუპა რამდენიმე ადამიანი.

1984 წლის 24 თებერვალს პროფესიით სნაიპერმა ტაირონ მიტჩელმა საშუალო სკოლის სათამაშო მოედანზე მყოფ ბავშვებს ცეცხლი გაუხსნა, დაიღუპა და დაშავდა 11 ბავშვი. მოგვიანებით მიტჩელმა თავი მოიკლა.

1986 წლის 16 მაისს ცოლ-ქმარმა დევიდ და დორის იანგებმა ვაიომინგის შტატში მდებარე ერთ-ერთი სკოლა დანაღმეს, 150 ბავშვი მძევლად აიყვანეს და გამოსასყიდი თანხის სახით 300 მილიონი დოლარი მოითხოვეს. აღსანიშნავია, რომ ბომბი შემთხვევით აფეთქდა, რის შედეგადაც სკოლაში ხანძარი გაჩნდა, რამაც 74 ადამიანს მიაყენა სხვადასხვა სახის დამწვრობა. დევიდ იანგმა ჯერ ცოლი მოკლა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა.

1988 წლის 20 მაისს ილინოისის შტატში 30 წლის ლორა დანმა სკოლაში 8 წლის ბავშვი მოკლა და ექვსი მოსწავლე მძიმედ დაჭრა. სიცოცხლე მანაც სუიციდით დაასრულა.

1989 წელს კალიფორნიაში 24 წლის ახალგაზრდამ კალაშნიკოვის სისტემის ავტომატით სკოლის სათამაშო მოედანზე ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი მოკლა და თავი მოიკლა.

1992 წლის 1 მაისს ასევე კალიფორნიაში 20 წლის ახალგაზრდამ მასწავლებელი და სამი სტუდენტი მოკლა. მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

1997 წელს მისისიპიში 16 წლის ბიჭმა სახლში ჯერ დედა მოკლა, შემდეგ კი სკოლაში მივიდა და სახლიდან წაღებული იარაღით ორი თანაკლასელი გამოასალმა სიცოცხლეს. მას სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი.

1998 წელს 11 და 13 წლის ახალგაზრდებმა 5 ბავშვი მოკლეს.

ამავე წლის 21 მაისს ორეგონის შტატში 15 წლის ახალგაზრდამ ჯერ თავისი მშობლები და შემდეგ ორი სტუდენტი მოკლა. მას 112-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

1999 წლის 20 აპრილს 18 წლის ერიკ ჰარისმა და 17 წლის დილან კლებოლდმა ცეცხლსასროლი იარაღი ფოსტით გამოიწერეს და საკუთარ სკოლაში შეიჭრნენ. მათ 12 სტუდენტი და ერთი მასწავლებელი მოკლეს, რის შემდეგაც თავი მოიკლეს.

2006 წელს 54 წლის დუეინ მორისონმა ექვსი სტუდენტი გოგონა მძევლად აიყვანა. მას შემდეგ, რაც სკოლაში სპეცრაზმი შევიდა, მორისონმა ერთ-ერთ მძევალს ესროლა და თავი მოიკლა. გოგონა საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ამავე წლის 2 ოქტომბერს 32 წლს ჩარლს რობერტსმა პენსილვანიის შტატში სკოლიდან მძევლად 11 გოგონა აიყვანა, მათგან ხუთი მოკლა და ექვსი დაჭრა, შემდეგ თავი მოიკლა.

# დორდრეხტში ნოეს კიდობანი ჩაუშვეს

ჰოლანდიის ქალაქ დორდრეხტში ტურისტებს უჩვეულო და ძალიან საინტერესო სანახაობა ელით. რამდენიმე დღის წინ წყალში ჩაუშვეს 130 მეტრი სიგრძისა და 23 მეტრი სიმაღლის ნოეს კიდობანი. მშენებლები მაქსიმალურად შეეცადნენ, ნოეს კიდობანი აღწერილობის მიხედვით დაემზადებინათ.

ტურისტებს შეუძლიათ, დაათვალიერონ კიდობანი, სადაც უამრავი ცხოველის ფიგურა დახვდებათ.



ნოეს კიდობანთან ტურისტთა გრძელი რიგები დგას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსოფლიო დასასრულის მოლოდინშია.

შეგახსენებთ, რომ 21 დეკემბერს მაიას ტომის მიერ შედგენილი კალენდარი სრულდება. ადამიანების ნაწილმა მიიჩნია, რომ ეს „სამყაროს აღსასრულს" მოასწავებს. ამ მოსაზრებას მეცნიერები არ ეთანხმებიან. აღნიშნულმა ხმებმა პანიკა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოიწვია, „მოახლოებული საფრთხის" შესახებ საქართველოშიც ხშირად საუბრობენ.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

### ოთხშაბათი 17 დეკემბერი

**07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" **15.00** ტ/სერ. **"კვალდაკვალ"** **17.00** "სპიკერი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ. **"საიდუმლო გამოძიებანი"** **21.00** ტ/სერ. **"სპირალი"** **22.00** "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" **23.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – პორტრეტი – ბ. ხარანაული **00.00** "საფარი" **00.50** მხ/ფ **"ფოტო გადიდება"** **02.50** მხ/ფ **"კარზე ვინ მიკაკუნებს"** (ჰ.კეიტელი) **04.20** მხ/ფ "დავიწყებული გოგონები" (ტიტ.) **1-2** სერ.

**08.00** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ამსტერდამი" **09.00** მხ/ფ **"ელისაბედ სმარტის ამბავი"** (კრ/დრამა) **10.40** მხ/ფ **"უცხო გული"** **12.20** მხ/ფ **"ჰოლივუდელი დედის საიდუმლო"** **14.00** საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" მე-**6** ნაწილი **20.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **22.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **00.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ/ფ **"მე ვარ ლეგენდა"** (თრილერი, უ.სმიტი)

**08.00** ან.ფ. "პიტერ პენი და მეკობრეები" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **09.15** ან.ფ. "სამსონი და ნეონი" **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"კამელოტი"** **14.45** სერ. **"თვალი არ მომაცილო"** **15.50** სერ. **"მოჯადოებული"** **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **19.05** სერ. **"სახიფათო ვნება"** **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ **"კომანდო"** (ა. შვარცენეგერი) **01.50** მხ/ფ **"მოგზაური"** (დ.არკეტი) (ტიტ.) **03.25** მხ/ფ **"ბოროტების სავანე – 3"** (მ.იოვოვიჩი) **04.55** მხ/ფ **"კასანდრას ოცნება"** (კ.ფარელი) (ტიტ.) **06.40** მუსიკა

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი** **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50, 20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** ქ.მხ/ფ. **23.00** შიშის ფაქტორი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შუადღის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **06.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.55** მხ/ფ **"უკანასკნელი ჯვაროსნები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.15** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"ცხელი ზაფხულის სამი დღე"** **13.25** კონცერტი - დები გოგოჭურები **15.10** პატრიარქის ქადაგება **15.15** სპექტაკლი **"შიში"** **17.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **17.50** დებიუტი **18.05** პატრიარქის ქადაგება **18.15** გუთნისდედა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"დიდედები და შვილიშვილები"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სღვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "წმინდა დიდმოწამე ბარბარე" **22.35** დოკ/ფ "ფთილა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "სულიკო კოროშინაძე" **00.35** უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები **01.00** ირაო

მაესტრო **07.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00, 01.00, 03.00, 05.00, 06.00** ახალი ამბების კოლაჟი. **07.30, 10.35, 13.25, 15.30, 17.35, 20.45, 21.40, 23.50, 00.25, 02.45, 04.25, 05.25, 06.25** უცხოეთის ამბები. **10.00, 20.10, 23.15** ღია კარის დღე. **10.50** პრეს-პრესი. **12.30, 13.05** აკრედიტაციის გარეშე. **14.05** დოკ.ფ. **16.05** "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად. **17.05** მონიტორის ჟურნ. გამოძიება. **19.00, 03.25** დისკუსია - სტუდია "რე". **22.00, 01.30** ნანა ლეჟავას "კვირის რეპორტაჟი".

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

17 dekemberi

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6644
ევრო —2,1571
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6755
რუსული რუბლი — 5,4126

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> დღისით წვიმა, დღისით — 6–8, ღამით — 0–2.
<u>დასავლეთ საქართველო:</u> დღისით წვიმა, დღისით — 14–16, ღამით — 4–6
<u>სამხრეთ საქართველო:</u> დღისით მოღრუბლულობა, დღისით — 7–9, ღამით — 0–2

ამინდის პროგნოზი 17 დეკემბრისთვის




18 დეკემბრიდან
სერია დიდი ქართველები
„ახალ თაობასთან“
ერთად
დიმიტრი ყიფიანი
ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი







მალე!
„ახალ თაობასთან“
ერთად
ბ ჳბდ 66
ოქროს ხანა
სამტომეული

მალე! მალე! მალე!
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ფაჩულიას მცირე დრო

**ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ წარმატებული სერია საკუთარ დარბაზში, დასავლეთის რიგით გუნდ „გოლდენ სტეიტთან“ შეწყვიტა. ჯორჯიელებმა პირველ მეოთხედში გაუწიეს მეტოქეს წინააღმდეგობა, მეორე და მესამე პერიოდები კი ჩააგდეს და საბოლოოდ 93: 115 წააგეს.**




გოლდენ-სტეიტელთა წინააღმდეგ ზაზამ მხოლოდ 3,26 წუთი ითამაშა. სავარაუდოდ, ფაჩულიას ტრავმა აწუხებდა, რადგან ასე მცირე ხნით მისი მოედანზე გაყვანა ცოტა უცნაურია. ქართველმა ცენტრმა ასე მცირე დროში 2 ქულის და თითო მოხსნა-პასის გაკეთება მოასწრო, ბურთიც ერთხელ დაკარგა. ზაზამ 1 ორიანი ააცილა და ორივე საჯარიმო ჩააგდო.

14 მოგების მქონე „ატლანტასთვის“ ეს გახლდათ მე-7 მარცხი, თუმცა აღმოსავლეთ კონფერენციის მესამე ადგილი „ქორებს“ არ დაუკარგავთ. მეხუთეზეა თორნიკე შენგელიას „ბრუკლინი“, რომელმაც დღეს გამთენიისას 1 ქულით – 82:83 წააგო ჩიკაგოში. ქართველი ფორვარდი გუნდთან ერთად ჩავიდა ჩიკაგოში, მაგრამ განაცხადში არ ყოფილა.

ქართველების გუნდები მომდევნო მატჩებს 18 დეკემბერს გამართავენ. „ბრუკლინი“ „იუტას“ უმასპინძლებს, ხოლო „ატლანტა“ ვაშინგტონში „ვიზარდსს“ დაუპირისპირდება.

**ქ. ჟ.**

## ოთარ მეღვინეთუხუცესი წლის ადამიანია

ეკა ირემაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა „სახე(ლ)ების“ ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიალი. ღონისძიების ფარგლებში შედგა საუკუნისა და წლის სახეების დაჯილდოება და პუბლიცისტური ენციკლოპედია „სახე(ლ)ების“ მეათე – საიუბილეო ორტომეულის წარდგინება. ღონისძიების ფორმატი მოიცავდა საუკუნისა და წლის სახეების დაჯილდოებას, პუბლიცისტური ენციკლოპედია „სახე(ლ)ების“ ორტომეულის და სპეციალური გამოცემის „ქართულ-ფრანგული სახელების“ წარდგინებას, სადღესასწაულო ფურშეტსა და საქველმოქმედო აუქციონს. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე დასწრება

გაგრძელება მე-10 გვერდზე





## h3xცeх3ცბ

**თარაზულად:** 1. იტალიური „ნიღბების კომედიის“ პერსონაჟი; 6. პურის ცომის გამხმარი მილაკები; 7. შიიტური სექტის უმაღლესი სასულიერო პირი; 9. ღვინით მოვაჭრე; 10. ხელოვნების დარგი; 11. პატივმოყვარეობა; 13. თოჯინების წარმოდგენის კომედიური პერსონაჟი ინგლისში; 15. ფილიპინების დედაქალაქი; 17. ერთგვარი პისტოლეტი; 18. მრავალნიჩბიანი ხის სამხედრო ხომალდი; 19. ერთი იდეით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი; 20. სესილია თაყაიშვილის კინოროლი.

**შვეულად:** 1. პერანგი; 2. კურკოვანი ხილი; 3. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 4. მონღოლი მმართველი დაპყრობილ ტერიტორიაზე; 5. ინგლისელი ფიზიკოსი; 8. სისხლის შენადედი; 9. სახელმწიფოს დახმარება სტუდენტებისათვის; 12. ყარყატების ჯგუფის ფრინველი; 14. ქანი სამშენებლო მასალად; 16. მეფის თანმხლები.

*შეადგინა ოლივერ კოხიძე*

·ღტჯფვ უფბსღფჯბცრბყტს=

fcnhjghjuyjpb !& ღტhტ3,ჰბცსღბც

### წარმატებული დღეა

**ვერძი** – საქმე წინ მიდის, ფული გექნებათ. **კურო** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ტყუპები** – არავის ენდოთ, მხოლოდ საკუთარ თავს. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ლომი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **სასწორი** – გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის საჩუქრები ჩამოაქვს. **ღრიანკალი** – პრობლემი წინაშე დგახართ, დამშვიდდით და გამოსავალსაც იპოვით. **მშვილდოსანი** – სიტუაცია დალაგდება, ფულს იშოვით. **თხის რქა** – ყურადღების ცენტრში ხართ, ბედს ეწევით. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, რამდენიმე საქმეს ერთდროულად მოაგვარებთ. **თევზები** – აფორიაქებული ხართ, სერიოზულ გადაწყვეტილებას დღეს ნუ მიიღებთ.

უბცეჰღტ,ს ,ტცყბტჰ ღქტს=